ეროვნული ბიბლიოთეკა

№266 (12 336) 14 ნოემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

იაშვილის გუნდი დიდ სკანდალშია

სანდრო იაშვილის კლუბი დიდ სკანდალში გაეხვა - გუშინ, ბერნის პოლიციამ დააკავა „თუნის" 12 მოქმედი და ყოფილი ფეხბურთელი, რომელთაც ბრალად ედებათ არასრულწლოვან გოგონასთან სექსუალური კავშირი. პოლიციის ცნობით, წლის დასაწყისიდან ამ ფეხბურთელებს 15 წლის გოგონასთან მრავალჯერ ჰქონდათ სექსუალური კავშირი. ახლა გოგონა უკვე 16 წლისაა, რაც შვეიცარიაში სრულწლოვან ასაკს ნიშნავს. ამასთან არავინ უთითებს, რომ გოგონა ფეხბურთელებმა თავისი სურვილის გარეშე დაითანხმეს სექსზე. კლუბის პრეზიდენტმა **კურტ ვედერმა** განაცხადა, რომ თუ პოლიციის ბრალდება დამტკიცდება, დამნაშავეებს კლუბიც სერიოზულად დასჯის. სულ ამ საქმეზე 21 კაცია დაკავებული, თუმცა „თუნთან" კავშირი მხოლოდ 12 მათგანს აქვს. ფეხბურთელთა გვარების გახმოვანებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. შეგახსენებთ, რომ სანდრომ „თუნის" რიგებში პირველი გოლი შაბათს „გრასჰოპერსთან" მატჩში გაიტანა.

საქართველოს ნაკრების ვარჯიში მიხეილ მესხის სტადიონზე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

16 ნოემბერი. ყატარი-საქართველო

ნაკრები დღეს შეივსება

გუშინ პირველი ვარჯიში იყო. დღეს სალუქვაძე, ასათიანი და სირაძე დაგვემატებიან

გუშინ გამთენიისას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი**, თანაშემწეებთან **ზაურ სვანაძესთან** და **ბესიკ ფრიდონაშვილთან** ერთად თბილისში დაბრუნდა. გუშინვე საქართველოს ეროვნული ნაკრები ნაშუადღევის 3 საათზე ტენიკურ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბა, საღამოს 6 საათზე კი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პირველი ვარჯიშიც გამართა.

ყატართან და ლიტვასთან მატჩებისთვის გამოძახებული ფეხბურთელებიდან გუშინდელ ვარჯიშში 4 მათგანი არ მონაწილეობდა. **გოგიტა გოგუას** მსუბუქი ტრავმა აქვს და ყატართან მატჩს გამოტოვებს, თუმცა ნაკრების სამწვრთნელო შტაბი და სამედიცინო პერსონალი იმედს არ კარგავს, რომ ის ლიტვასთან მატჩისთვის მწყობრში იქნება. გუშინდელ წვრთნაში ასევე არ მონაწილეობდნენ **დავით სირაძე, მალხაზ ასათიანი** და **ლაშა სალუქვაძე**. საქმე ის გახლავთ, რომ სირაძეს თამაში ჰქონდა მეორე ბუნდესლიგაში, სალუქვაძე და ასათიანი კი სხვადასხვა ქალაქების გავლით მოემზადრებიან თბილისში. ეროვნული ნაკრები დღეს სავარაუდოდ სრული შემადგენლობით ივარჯიშებს.

2

ლევან ქენია:

ერთ წელიწადში შალკეს ძირითადში ვიქნები

3

ყატართან რთული მატჩი გველის

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

2

www.kazbegi.com

გაახლენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკრები დღეს შეიკვლება

პირველი გვერდიდან

გიორგი მაკარიძე, როინ კვასხვაძე, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ამირან სანაია, შოთა გრიგალაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ჯაბა კანკავა, ლევან ცქიტიშვილი, დავით კვირკველია, გიორგი დეკანოსიძე, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, ოთარ მარცვალაძე, ნიკა გელაშვილი და ლაშა ჯაკობია - ეს 18 ფეხბურთელი მონაწილეობდა გუშინდელ ვარჯიშში.

მოთელვა, მოედნის გარშემო სირბილი, კვადრატი, გრძელი და მოკლე პასები, კარში დარტყმები. ბოლოს კი ორკარა, ჯერ მოედნის ნახევარზე, მერე კი მეოთხედზე – ასეთი იყო გუშინდელი წვრთნა, რომელმაც თითქმის საათნახევარს გასტანა. ახალბედები ნაკრების გამოცდილ წევრებთან თავს უცხოდ არ გრძნობდნენ.

კვასხვაძე, შაშიაშვილი, სანაია, კანკავა, ცქიტიშვილი, კვახაძე, მენთეშაშვილი, დეკანოსიძე მარცვალაძე – ასეთი იყო ერთი გუნდი. დანარჩენები, **მაკარიძე, კალაძე, ხიზანიშვილი, გრიგალაშვილი, ყენია, მჭედლიძე, გელაშვილი, კვირკველია** – მწვრთნელმა მეორე გუნდში გაამწესა. თუმცა ტოპმიოლერმა მეორე ორკარაში კიდევ შეცვალა შემადგენლობები.

წვრთნის ბოლოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაციც** გამოჩნდა და ვარჯიშს მედიელებთან ერთად მიადევნა თვალი.

წვრთნის დასრულების შემდეგ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს გავესაუბრეთ.

გიორგი მაკარიძე საკმაოდ თავდაჯერებული ჩანდა ვარჯიშზე და ეს აღნიშნა კიდეც ჩვენთან საუბარში: *"გერმანიაში ვარჯიშმა ბევრი რამ შემძინა. აშკარად ვგრძნობ, რომ თავდაჯერება შემემატა, ჩინებულ პირობებში ვვარჯიშობდი და ვგრძნობ ახლა უფრო უკეთ ვითამაშებ"*.

ლევან ცქიტიშვილის ამბავი გეცოდინებათ, კლაუს ტოპმიოლერმა მისი წაყვანა „კაიზერსლაუტერნს" შესთავაზა...

- "კაიზერსლკაუტერნში" გადასვლაზე ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. Eეს საკითხი სანაკრებო მატჩების შემდეგ განიხილება.

- რა ხანგრძლივობის კონტრაქტზეა საუბარი ცნობილია?

- ამ ეტაპზე ყატართან და ლიტვასთან თამაშებზე ვფიქრობ და მეტს ვერაფერს გეტყვით.

ცქიტიშვილის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილს გავესაუბრეთ.

- იმედი მაქვს ამ ორ მატჩს წარმატებით ჩავატარებთ. ყატარზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ალბათ, ამ მატჩს შეთამაშების გარდა, ლიტვასთან თამაშისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია და იმედი მაქვს ისინი კარგად წარმოჩნდებიან.

- ზამთრის პაუზისას კლუბს ხომ არ შეიცვლით?

- ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. სანაკრებო მატჩების შემდეგ ინგლისში დავბრუნდები და ყველაფერი იქ გაირკვევა. "ბლექბერნმა" ახალი კონტრაქტი შემომთავაზა და ვნახოთ.....

- სხვა კლუბის ვარიანტებიც განიხილება?

- ჯერ მეტს ვერაფერს გეტყვით. ზუსტად არ ვიცი ჩემით რომელი კლუბები არიან დაინტერესებულნი.

დაბოლოს, ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს** მივმართეთ.

- წინ ორი რთული მატჩი გვაქვს, უცნობ ყატართან და ლიტვასთან. ჩვენ გვინდა ორივე თამაში მოვიგოთ, ქართველი ქომაგებიც გავახაროთ და ფიფას რეიტინგშიც იმ პოზიციაზე ვიყოთ, მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრისას მეოთხე კალათაში რომ დაგვიმკვიდრებს ადგილს. ამჯერად კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელია ნაკრებში გამოძახებული. ჩვენ მათ მხარში ამოვუდგებით და იმედი მაქვს, ისინიც გაამართლებენ იმედებს.

დავით ცაბაძე

ლევან ცქიტიშვილი

ნაკრების დებიუტანტი როინ კვასხვაძე

კახა კალაძე

ბლიც ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

ყატართან რთული მატჩი გველის

გუშინ ჩატარებული ვარჯიშის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერთან გასაუბრება გადავწყვიტეთ. საუბარი ნაკრების მომდევნო მატჩების გარდა "კაიზერსლაუტერნთან" თანამშრომლობასა და ამ კლუბში ლევან ცქიტიშვილის შესაძლო ტრანსფერს შეეხო.

- წინ ორი მნიშვნელოვანი მატჩია. ყატართან ამხანაგური და ლიტვასთან ოფიციალური და პრინციპული. რას გვეტყოდით ამ თამაშებზე?

- ყატარზე გარკვეული წარმოდგენა მაქვს და ვფიქრობ, დოჰაში იოლი გასეირნება არ გველის. ყატარმა ბოლო მატჩებში ორჯერ მოუგო შრი ლანკას და შინ ერაყის ეროვნული გუნდი დაამარცხა. მჯერა, ეს თამაში ჩვენს ნაკრებს წაადგება.

- გოგიტა გოგუა როგორ გრძნობს თავს?

- გოგუას მსუბუქი ტრავმა აქვს. ის ყატართან მატჩს გამოტოვებს, მაგრამ მწყობრში ალბათ, მალე ჩადგება და ლიტვასთან თამაშს შეძლებს.

- ცოტა ხნის წინათ "კაიზერსლაუტერნის" საპატიო სპორტულ მრჩევლად დაინიშნეთ...

- „კაიზერსლაუტერნი" ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია და ის ჩემთვის რიგითი კლუბი არაა. ახლა ამ გუნდს უჭირს და დიდი სურვილი მაქვს დავეხმარო. კარგად გამიგეთ, ჩემი სურვილია ამ გუნდს დავეხმარო და ამის სანაცვლოდ არანაირ გასამრჯელოს არ ვითხოვ. მინდა ჩემი რჩევებით, ზამთრის პაუზისას გუნდი კარგი ფეხბურთელებით გავაძლიეროთ. ამ მხრივ ჩემეული ჩანაფიქრი მაქვს და მჯერა, "კაიზერსლაუტერნი" მეორე წრეში ბევრად უკეთესი გუნდი იქნება. კლუბთან ჩემი ურთიერთობა მხოლოდ თანამშრომლობაა დახმარების სურვილით და მეტი არაფერი. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილიც მაქვს და ამის გამო არაერთ მომხიბლავ წინადადებაზე უარიც განვაცხადე.

- "კაიზერსლაუტერნში" ლევან ცქიტიშვილის შესაძლო ტრანსფერზე პოპულარული "კიკერიც" წერდა. ეს ტრანსფერი რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?

- მჯერა ტრანსფერი რეალურად განხორციელებადია. ცქიტიშვილი მაღალი კლასის ფეხბურთელია და "კაიზერსლაუტერნსაც" გააძლიერებს.

დავით ცაბაძე



www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა მოხსნილია

ვინც ჩამოსასვლელია, ჩამოვა

თბილისში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ რუსეთის ახალგაზრდული და ლიტვის ეროვნული ნაკრებები ცოტა არ იყოს დააფრთხო. საუბარი თამაშების გადადებას შეეხო. გუშინ "ლელო" ამის თაობაზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძეს** გაესაუბრა, დღეს კი საკითხი საბოლოოდ **ნოდარ ახალკაცთან** დავაზუსტეთ.

"ლიტვისა და რუსეთის მხარეები თბილისში შექმნილი მდგომარეობით დაინტერესდნენ. ჩვენ მათ განვუმარტეთ თუ რა ხდება, უსაფრთხოების გარანტია მივეცით და დავარწმუნეთ, რომ თბილისური მატჩების გადადების არანაირი საჭიროება და აუცილებლობა არ იყო. ამ საკითხზე ფიფასა და უეფასთანაც გვქონდა კონსულტაციები. დღეს კი ლიტვისა და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებს ვესაუბრეთ. ასე რომ არანაირი პრობლემა არაა", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

შური დავინახე

ჰანს მიულერი ერთ წელიწადში ძირითადს შემპირდა

ბანგრძლივი ლოდინის შემდეგ ლევან ყენია, როგორც იქნა, ჩაირიცხა"შალკეში". მართალია, მას ჯერ მხოლოდ იუნიორებში თამაში შეუძლია, მაგრამ ესეც დიდი შეღავათია არაევროკავშირელი ბიჭისთვის.

"ლევანი ნაკრების შეკრებაზე ჩამოვიდა და გავესაუბრეთ.

- ლევან, კონტრაქტი გააფორმე?

- დიახ, ეს საკითხი მოგვარდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ 18-ლამდელებში გადამიყვნენ, 18 წლის გავხდები და მერე პრობლემა აღარ შემექმნება. ახლა ძირითადებთან ჩემი ვარჯიში გამორიცხულია.

- უეფამ და ფიფამ თავის დროზე არაევროკავშირელ მესიზე გამონაკლისი დაუშვა. შენ ასეთი შეღავათის იმედი არ გაქვს?

- მითხრეს, რომ ასეთი რამ ვერ გაკეთდება. არაფერია, ერთი წელი ვივარჯიშებ, გერმანიას შევეჩვევი და მერე ვითამაშებ.

- რთული ვარჯიშები და მძიმე დატვირთვებია?

- განსაკუთრებული არაფერია, იოლად შევეჩვიე.

- ეს ყველაფერი კარგი და მსაჯებთან კამათს ასე იოლად ვერ გადაეჩვეოდი.

- (იცინის) არა, არა, ამას უკვე მოვრჩი.

- თანაგუდელები როგორ დაგხვდნენ?

- საკმაოდ კარგად, თუმცა დასამალი რაა, ზოგიერთს შური შევნიშნე, თითქოს არ ესიამოვნათ ჩემის მიმართ ასეთი ყურადღება.

გუნდის ხელმძღვანელობაზე კი კარგის მეტი არაფერი მეთქმის. თანადგომასა და ნდობას ვგრძნობ.

- ეს შური რაში გამოიხატება? თამაშის დროს პასს არ გაძლევენ თუ უბრალოდ, არ გეკონტაქტებიან?

- ასე ცხადად არ გამოხატავენ არაფერს. ვგრძნობ, რომ შურის თვალით მიყურებენ, თორემ, თამაშის დროს პასს როგორ არ მაძლევენ.

- იქნებ ეს ჩვეულებრივია - უცხოელებს ნებისმიერ ქვეყანაში თანაგუნდელები უფრო მეტად აკვირდებიან და ცდილობენ, მისი ყველა ნაკლი შენიშნონ.

- რა ვიცი, რა გითხრათ, ფაქტია, რომ ზოგიერთის დახვედრა არ მომეწონა. თუმცა ახლა შედარებით უკეთესი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა.

- ერთ წელიწადში უკვე ძირითად გუნდში შენი ვარჯიში გადაწყვეტილი ამბავია?

- დიახ, ასეა. "შალკეს" მენეჯერი ჰანსი მიულერი მესაუბრა და ეს მან მითხრა. თუ დაკვირდებით, ის თამაშის დროს მთავარი მწვრთნელის, სლომკას გვერდით ზის.

- ბევრის აზრით, შენნაირი მონაცემების მქონე ფეხბურთელს სამხრეთულ გუნდებში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, საფრანგეთში უფრო აძლევენ გასაქანს, გერმანელები ინდივიდუალიზმს არ გიკრძალავენ?

- არა, რას მიკრძალავენ, არაფერში მზღუდავენ. მთავარია, მეტისმეტი არ მოგვივიდეს და მატაობით არ გაერთო.

მერაბ მამულაშვილი



ლევან ყენია ჰოლანდიასთან მატჩში

რალფ მინგე

45 წლის სტუდენტი, რომელიც შუმახერთან კაცობაში არ ჩაიჭრა

კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე **რალფ მინგეს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალ თანამდებობას უმზადებს - თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მინგე ფედერაციაში სპორტულ დირექტორად იმუშავებს და ალბათ, ტოპმიოლერის თანაშემწეობასაც გააგრძელებს ეროვნულ გუნდში.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფედერაციის პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** იყო, **გაიოზ დარსაძე** ამბობდა, ტექნიკური დეპარტამენტი უნდა შევქმნათ, საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის ეს აუცილებელიაო. დარსაძეს მაშინ ყური არავინ დაუგდო, ფედერაცია ალბათ, არც იყო მზად ტექნიკური დეპარტამენტის შესაქმნელად, რამეთუ საამისოდ არც ტექნიკური და არც ადამიანური რესურსი არ გააჩნდა.

საშუალოდ რამდენ კილომეტრს დარბის ფეხბურთელი მატჩში; რამდენჯერ კარგავს ბურთს; რამდენ ზუსტ გადაცემას აკეთებს წინ, უკან თუ განივად; რამდენჯერ ართმევს ბურთს მეტოქეს; რამდენჯერ ურტყამს კარში თავით თუ ფეხით... სხვათა გარდა, ამის გარკვევაც შედის ტექნიკური დეპარტამენტის საქმიანობაში, ანუ ქვეყნის ყველა ნაკრების ყველა ფეხბურთელზე ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება.

მას შემდეგ, რაც ტოპმიოლერი შეიქნა ჩვენი ნაკრებების ხელმძღვანელი, ფედერაციამ შეიძინა ის ძვირადღირებული აპარატურა, რომლითაც შესაძლებელია ფეხბურთელებს კილომეტრები და ყველაფერი დაუთვალო. მაგრამ ჯერაც არ შექმნილა ტექნიკური დეპარტამენტი და თუ მინგე ფედერაციის ტექნიკური დირექტორი გახდება, ალბათ ტექნიკური დეპარტამენტიც შეიქმნება. ფედერაციაში ტექნიკური დირექტორის ყოლა უკვე ფიფა-უეფას დირექტივაცაა.

ფედერაციის ხელმძღვანელებს არაერთხელ უთქვამთ, რომ მინგე საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ერთობ საკვანძო ფიგურაა. ფედერაციის ოპონენტებისგან კი ხშირად გაგვიგონია, მსოფლიოში მთავარი მწვრთნელის არც ერთ თანაშემწეს არ აქვს იმდენი ხელფასი, რამდენიც მინგეს. ფედერაციის პასუხი ამაზე ასეთია: მინგეს ხელფასი ტოპმიოლერთან კონტრაქტზე მოლაპარაკების ერთ-ერთი საკითხი იყოო.

მინგე იმავდროულად საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი შეიქნა. ამ თანამდებობაზე მას მნიშვნელოვანი მიღწევები არ ჰქონია, თუმცა კვლავ წონიან ფიგურად რჩებოდა ტოპმიოლერისთვისა და ფედერაციისთვის. მინგე მერე **პეტარ სეგრტმა** შეცვალა და ვერც ის გამოდგა დიდი ხვითო ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებისთვის.

მინგეზე ისიც ითქვა, ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერებში უშნოდ აფათურებს ხელებსო, მაგრამ ამის დამადასტურებელი ვერაფერი წარმოადგინეს. თუმცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წლევანდელი არჩევნების წინ **გიორგი ლომაიამ** "ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, 2006 წლის შემოდგომაზე რომ გამოჩნდა შანსი იენის "კარლ ცაისში" გადასასვლელად, იენელები ჩემზე მინგეს დაეკითხნენ და როგორც კლუბში მითხრეს, მინგეს ჩემზე უთქვამს, არასტაბილური მეკარეაო. ლომაიას იენური ტრანსფერი შემოდგომაზე ვერ განხორციელდა, გიორგი "კარლ ცაისში" წლეულს ზამთარში ჩაირიცხა.

და, რა კაცია მინგე? ის გედეერელია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში 1983-86 წლებში 36-ჯერ ითამაშა. 1980-91 წლებში დრეზდენის "დინამოს" ფორვარდი გახლდათ და აღმოსავლეთ გერმანიის ჩემპიონატის 222 მატჩში103 გოლი გაიტანა. ფეხბურთელობის შემდე ის რამდენჯერმე "დრეზდენის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე, 1998 წელს კი აუეს მთავარი მწვრთნელი გახდა, თუმცა სეზონის დამთავრებას ორი თვე რომ უკლდა, იქიდან დაითხოვეს. მომდევნო სეზონისთვის მინგემ დასავლეთ გერმანიაში გადაინაცვლა და კიოლნის "ფორტუნაში" მოეწყო მთავარი მწვრთნელის ასისტენტად - ეს მინგეს პირველი გამოცდილება იყო სახელიან კაცთან მუშაობაში - კიოლნის "ფორტუნას" მაშინ **ტონი შუმახერი** თავკაცობდა. შუმახერი "ფორტუნადან" 1999 წლის დეკემბერში გაუშვეს და მინგეც კაცურად მოიქცა - სოლიდარობის ნიშნად საკუთარი ინიციატივით მიატოვა იქაურობა.

2000 წელს ჰერ რალფი "ლევერკუზენში" მივიდა. იყო ტოპმიოლერის თანაშემწე, ხოლო, როცა ტოპი "ლევერკუზენიდან" წავიდა, მინგე იქ დარჩა და ამ კლუბის მოყვარულთა გუნდი ჩაიბარა. მოყვარულებთან მინგემ წარმატებით იმუშავა - გუნდი ობერლიგიდან რეგიონალლიგაში დაწინაურდა, თუმცა მიუხედავად ასეთი წარმატებისა, მინგემ მოყვარულებთან მუშაობა აღარ ისურვა და "ლევერკუზენის" ბავშვთა გუნდების კურატორი გახდა. ის გულს ვერ უდებდა ამ საქმეს და ლევერკუზენში ცხოვრებას, ამიტომაც 2005 წელს მშობლიურ დრეზდენში დაბრუნდა. 45 წლის მინგემ დრეზდენის უნივერსიტეტში ჩააბარა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტობა ვერ გამოდგა მისთვის ტკბილი, გული ისევ ფეხბურთისკენ მიუწევდა და იმავე წელს ტოპმიოლერმა მას საქართველოში დაუძახა.

ამასობაში კი ქვეყანა გამეცნიერდა, ტექნიკური დირექტორი და ტექნიკური დეპარტამენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც სჭირდება. ვნახოთ, როგორი დირექტორი დადგება მინგესგან.

ისე, მინგეზე შარშან ითქვა, ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა მომზადების საქმე უნდა ჩაიბაროსო. მანამდე ამას გაიოზ დარსაძე უძღვებოდა, მაგრამ წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში მწვრთნელთა მომზადება და ლიცენზირება შეჩერებულია...

რაც შეეხება მის გემოვნებას, სიყმაწვილეში მინგეს ჯილა **პეტერ დაკე** იყო, "კარლ ცაისის" ცენტრფორვარდი 70-იან წლებში. ვისაც 1974 წლის მუნდიალი უნახავს, იქნებ ახსოვს კიდეც დაკე, ვინც გედეერის ნაკრებში მაშინ მხოლოდ შეცვლებზე თამაშობდა.

დავით თავართქილაძე

ვინ აჩვენებს საქართველოს თამაშებს?

ტელეკომპანია "იმედის" მაუწყებლობის დროებით შეჩერების შემდეგ კითხვის ნიშნები გაჩნდა საქართველო-ლიტვის მატჩის ტრანსლაციასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ჯვაროსანთა საშინაო შეხვედრების ჩვენების ექსკლუზიური უფლება "იმედს" ჰქონდა. ტელეკომპანია 21 ნოემბრამდე აღადგენს თუ არა მაუწყებლობას და თუ აღადგენს, ტრანსლაციისთვის საჭირო ეპარატურა არის თუ არა ნესრიგში, ჯერაც უცნობია.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სპორტულ განყოფილებაში მატჩის ტრანსლაციის სურვილი დაგვიდასტურეს, თუმცა გვითხრეს, ეს მთლიანად "იმედზეა" დამოკიდებულიო, ანუ ჯერ კიდევ გაურკვევლობაა. თუმცა, თუკი "იმედი" მანამდე არ გავა ეთერში, მაშინ სახელმწიფო არხით ვიხილავთ შეხვედრას.

ამ დროისთვის ასევე უცნობია, ყატარი-საქართველოს შეხვედრას იხილავს თუ არა ქართველი გულშემატკივარი. ერთი დანამდვილებით ვიცით, "რუსთავი 2" არ აქტიურობს და ახლა ყველაფერი "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მონდომებასა და მარიფათზეა დამოკიდებული.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

გიორგი მაკარიძე

გიორგი მაკარიძე: არაფერი ვიცი, მხოლოდ კლაუსმა მითხრა...

გიორგი მაკარიძემ შოტლანდიასთან თამაშით კარიერაში უდიდესი ნახტომი გააკეთა. მთელი ევროპა უცებ დაინტერესდა 17 წლის ჭაბუკით, სელექციონერები კი ინტერესში ჩავარდნენ, ემანდ, ნიჭიერი ბიჭი არ გამოგვეპაროსო.

გიორგი ორი კვირით "მიუნხენ 1860"-ში ისინჯებოდა. იქ მწვრთნელმა შეაქო და მას შემდეგ გაუგებრობაა - გიორგი თბილისის "დინამოში" დარჩება თუ "მიუნხენ 1860"-ში ითამაშებს.

პარალელურად, გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, **კლაუს ტოპმიოლერის** ინტერვიუ, სადაც ის გიორგის გამორჩეულ ტალანტს უწოდებს.

რეალურად რა ხდება გიორგის თავს? ამ კითხვით ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა მეკარეს მივმართეთ. თუმცა, როგორც ჩანს, ის ჯერ მზად არაა ამ თემაზე ისაუბროს.

"ჯერ ვერაფერს გეტყვით. მთხოვეს, თავი შეიკავეო. არც იმის თქმა შემიძლია, დავრჩები თუ არა "მიუნხენ 1860"-ში, ზუსტად ვერც იმას გეტყვით, მწვრთნელი დატოვებას მპირებს თუ არა. ერთი ის ვიცი, რომ კლაუს ტოპმიოლერმა გაზეთში ჩემზე ისაუბრა და დაინტერესებულ კლუბებში "ჩელსი" ახსენა".

ერთ-ერთი დაუზუსტებელი ინფორმაცია ფედერაციის მაღალჩინოსანმა პრივატულ საუბარში გაგვიმხილა - არსენ ვენგერი ძალიან დაინტერესდა და გიორგის "არსენალში" წაყვანა სურსო.

გიორგიმ ამაზეც არაფერი გვითხრა - როდმდე გაგრძელდება ეს "ჯერ ვერაფერს გეტყვით", მალე შევიტყობთ. ეს დღეების საქმეა. აბა, ასეთი ტრანსფერი როგორ დაიმალება.

მერაბ მამულაშვილი



დავით კვირკველია

კვირკველია სიმბოლურს გაუშინაურდა

დავით კვირველია უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში რომ მოხვდება, უკვე ორი აზრი არაა. ყოველ შემთხვევაში, უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" მას ასეთი პატივი უნდა დასდოს, რადგან საშემოდგომო ეტაპზე საქართველოს ნაკრებისა და ზაპოროჟიეს "მეტალურგის" მარცხენა ნახევარმცველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მეოთხედ მოხვდა.

ბოლო ტურში "მეტალურგმა" გასვლითი მატჩი ლვოვში "კარპატს" 3:1 მოუგო. კვირკველიამ გოლი გაიტანა და საგოლე გადაცემა ჩაიწერა.

უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" ქართველი ლეგიონერის დასახელებას ამგვარად ასაბუთებს: *"ის არის "მეტალურგის" ხერხემალი. თავადაც გაიტანა და პარტნიორსაც დაეხმარა გატანაში. მეტოქის დაცვა მუდმივად დაძაბული ჰყავდა".*

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაშლა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ამხანაგური საგურამოში

საქართველოში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ ეროვნულ ჩემპიონატში საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა გამოიწვია. ბუნებრივია, მისი მონაწილენი მზადებას განაგრძობენ. 21 ნოემბერს საქართველო-ლიტვის სანაკრებო მატჩებია, უმაღლესი ლიგა კი 23-ში განახლდება.

საგანგებო მდგომარეობა არაოფიციალური ამხანაგური შეხვედრების ჩატარებას არ კრძალავს. დღეს "ამერი" საგურამოს ბაზაზე ტესტ-მატჩში დედაქალაქურ "მერანს" უმასპინძლებს. შეხვედრა 14 საათზე დაიწყება.

ზესტაფონი თბილისსა და ზესტაფონში

რამდენიმედღიანი შესვენების შემდეგ, "ზესტაფონი" გუშინწინ თბილისში შეიკრიბა. ნაკრებებში გამოძახებულთა გამოკლებით (რ. კვასხვაძე, ლობჟანიძე, ხიდეშელი, დაუშვილი, ბ. გოცირიძე) **თემურ მახარაძის** განკარგულებაში ყველა ფეხბურთელია. გუნდის ყველა წევრი ჯანმრთელადაა. ფეროელები ზესტაფონში 17 ნოემბერს გადაინაცვლებენ და ჩემპიონატის განახლებამდე, შესაძლოა, ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარონ. უახლოეს ოფიციალურ შეხვედრას კი "ზესტაფონი" ჩემპიონატში გამართავს, 24 ნოემბერს შინ, "ბათუმთან". რაც შეეხება სავარაუდო უცხოელ ახალწვეულებს, მათ შესახებ კლუბის ხელმძღვანელობა კონკრეტულად პირველი წრის დასრულების შემდეგ ისაუბრებს.

ლევან ჯანეზაშვილი

ბაზა რა საჭიროა

უხსნის კობი რუსებს

გელზენკირხენის "შალკეს" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ლევან კობიაშვილი** ტრავმას მკურნალობს და თავისუფალი დრო თავზესაყრელად აქვს. მან ამით ისარგებლა და სამარაში უახლოეს მეგობარს, **დავით მუჯირს** ესტუმრა. "კრილია სოვეტოვის" ლიდერმა ის თანაგუნდელებს გააცნო და სტადიონი და ბაზა დაათვალიერბინა.

"სამარსკი ფუტბოლმა" ხელიდან შანსი არ გაუშავ და ქართველ ლეგიონერს გაესაუბრა. ლევანს ჰკითხეს, სამარის სტადიონი და გუნდის ბაზა თუ მოეწონა.

"მთლიანობაში სტადიონიც მომეწონა და გულშემატკივრებიც. იგივეს ვიტყვი ბაზაზეც, თუმცა გერმანიაში სხვაგვარი წესებია მიღებული. "შალკეს" აქვს მხოლოდ სტადიონი და სავარჯიშო მოედნები. ისეთი გაგება, როგორიცაა ბაზა, ჩვენთან არ არსებობს. რა თქმა უნდა, ჩემთვის ასეთი რამ ცნობილია, როდესაც თბილისის "დინამოსა" და ვლადიკავკაზის "ალანიაში" ვთამაშობდი. თუმცა ვიმეორებ, ევროპაში სხვაგვარი ინფრასტრუქტურაა დანერგილი".

მერაბ მამულაშვილი

მალხაზ ასათიანი

ასათიანი ბიშოვეცის გაშვებამ არ გააკვირვა

მალხაზ ასათიანის მწვრთნელი თანამდებობიდან გადააყენეს. **ანატოლი ბიშოვეცმა** მოსკოვის "ლოკომოტივში" ვერაფერს მიაღწია და თანამდებობასაც ამად გამოეთხოვა.

ქართველ ლეგიონერს მომხდარზე კომენტარი სთხოვეს.

"ვერ ვიტყვი, რომ მისი წასვლა მოულოდნელი იყო. თავად განსაჯეთ, "ლოკომოტივმა" ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა. აბა, რაზე უნდა ვილაპარაკოთ? თუმცა ბიშოვეცის ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დადანაშაულებაც არ იქნება გამართლებული. მოთამაშეებსაც გარკვეული პასუხისმგებლობა გვაკისრია, მაგრამ შედეგზე პასუხს მაინც მწვრთნელი აგებს.

იური სიომინმა კლუბში 15 წელი წარმატებით იმუშავა და პრეზიდენტად დაწინაურებაც დაიმსახურა. თუმცა ბიშოვეცი რომ დანიშნა, ძალიან გამიკვირდა. რინატ ბილიალეტდინოვის მწვრთნელობა კი, ვფიქრობ, დღეისთვის იდეალური ვარიანტი იყო", - განუცხადა ასათიანმა "სოვეტსკი სპორტს".

მერაბ მამულაშვილი

ლვინიანიძე დაბრუნდა

ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, **მათე ლვინიანიძე** მოედანს დაუბრუნდა. მან "მიუნხენ 1860"-ისა და ლიდერ "გლადბახის" შეხვედრაში დაცვის ცენტრში ითამაშა და მინდორზე 90 წუთი დაჰყო. ახალგაზრდა ქართველ უკანახაზელს ახალი იმიჯი აქვს - თმები შეუთხელებია.

"შპორტალისგან" ლვინიანიძემ 3-იანი მიიღო, რაც მის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა. "მიუნხენ 1860"-მა მესამედან მეოთხე პოზიციაზე ჩამოინაცვლა, მესამედადგილოსან "მაინცს" "ცისფერი ლომები" ერთი ქულით ჩამორჩებიან. შეგახსენებთ, პირველ ბუნდესლიგაში სამი საუკეთესო გუნდი გადადის.

ქართველთა კლუბებიდან სადღეისოდ საუკეთესო მაჩვენებელი "ფრაიბურგს" აქვს, რომელიც მეორე ადგილზეა, მას ლიდერი "გლადბახი" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. "კარლ ცაისსა" და "პადერბორნს" კი საქმეები ცუდად მისდით, სატურნირო ცხრილში ისინი შესაბამისად ბოლოსწინა და ბოლო ადგილებს იკავებენ 6 და 5 ქულით.

ლევან ჯანეზაშვილი

მათე ლვინიანიძე

ჩვენ გვახსოვს ნიაზ ძიაპშიპა

დღეს იგი 80 წლისა გახდებოდა

ნიაზ ძიაპშიპა ნოდარ ახალკაცთან და დავით ყიფიანთან

უფროსი თაობის ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად გვახსოვს და არასოდეს დაგვავიწყდება **ნიაზ ძიაპშიპა** შესანიშნავი ფეხბურთელი (ცენტრალური მცველი) და კეთილშობილი პიროვნება, რომელიც, შეიძლება ითქვას, ასახიერებდა ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიულ ერთიანობასა და მეგობრობას, მათ განუყრელ ნათესაურ და სულიერ კავშირს.

ის, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა გამოჩენილი ფეხბურთელი (მათი ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანდა), აფხაზური საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ შესანიშნავი სპორტსმენების დამსახურება ქართული ფეხბურთის, კერძოდ, მისი ფლაგმანის თბილისის "დინამოს" ისტორიაში. მოსკოვში 1997 წელს გამოცემული ცნობარი ასეთ დახასიათებას აძლევს ნ. ძიაპშიპას: "Прыгучий, быстрый и смелый, хорошо играл головой, был стержнем оборонительной линии «Динамо» (Тб.) в 50-х".

ძიაპშიპამ თამაში დაიწყო ჯერ ოჩამჩირის "ნორჩ დინამოელში", ხოლო შემდეგ სოხუმის "დინამოში". 19 წლის ჭაბუკი ჩაირიცხა რესპუბლიკის მთავარი გუნდის, თბილისის "დინამოს" სათადარიგო შემადგენლობაში, რომელმაც 1946 წელს დუბლების ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. სწორედ აქ მიიქცია პირველად ნიაზმა გულშემატკივრების ყურადღება ტექნიკური და თავდადებული თამაშით. კერძოდ, კარგად დამამახსოვრდა დრამატული თამაში მოსკოვის სპარტაკის დუბლ შემადგენლობასთან (24 სექტემბერი), რომელიც ჩვენების გამარჯვებით 4:3 დამთავრდა. ამ შეხვედრის მთავარი გმირები, საერთო აზრით, იყვნენ ნიაზ ძიაპშიპა და **სპარტაკ ჯეჯელავა** (დიდი **გაიოზ ჯეჯელავას** უმცროსი ძმა), რომელმაც ორი ბურთი გაიტანა საჯარიმო დარტყმებით (უძლიერეს დარტყმას ფლობდა).

1947 წელს ნიაზი უკვე ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა. იგი 15-ჯერ გამოვიდა შეცვლაზე (ძირითადი ცენტრალური მცველი იმ წელს **ნ. ნაუმცევი** იყო), ხოლო 4-ჯერ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ნათლად ჩანდა, რომ სულ მალე მას ძირითად შემადგენლობაში ვიხილავდით. ასეც მოხდა. მომდევნო წელს (1948) ნიაზმა 25 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (მხოლოდ ერთი გამოტოვა) და გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად მოგვევლინა. მეტიც! სეზონის ბოლოს იგი საკავშირო ჩემპიონატის 33 საუკეთესოშიც შეიყვანეს.

იმ წლის თამაშებიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო გამარჯვება სსრკ ჩემპიონთან მრისხანე ცდკა-სთან (1:0, **ანთაძის** გოლი, 21 მაისი), სადაც ძიაპშიპამ, როგორც იტყვიან, ფეხი არ გაანძრევინა მოსკოველთა ცენტრფორვარდს, განთქმულ **გრიგორი ფედოტოვს,** რომელიც მეორე ტაიმში შეცვალეს კიდეც.

ისტორია განმეორდა მოსკოვის ტორპედოსთან შეხვედრაში (6 ივლისს), რომელიც ჩვენების გამარჯვებით 3:1 დამთავრდა (შეუდარებელი გაიოზ ჯეჯელავას ჰეთ-თრიკი!). აქაც ნიაზმა ჩაკეტა არანაკლებ განთქმული **ალექსანდრ პონომარიოვი,** ისე რომ, მგონი, მას კარშიც არ დაურტყამს.

სხვათა შორის, იმ სეზონში დაფიქსირდა თბილისის "დინამოს" ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება სსრკ ჩემპიონატში - 9:2 მოსკოვის "ლოკომოტივთან" 2 ივნისს (ყველაზე დიდი ანგარიშით 11:0 სსრკ თასზე გავიმარჯვეთ ბ კლასის გუნდთან პეტროზავოდსკის "ლოკომოტივთან" 1951 წლის 15 აგვისტოს).

საკმაოდ უიღბლო აღმოჩნდა ჩვენი გუნდისათვის 1949 წლის ჩემპიონატი, რომელშიც დავიკავეთ უჩვეულოდ დაბალი მე-6 ადგილი (მაშინ ეს, ლამის კატასტროფად აღიქმებოდა!). უიღბლო გამოდგა იგი ძიაპშიპასათვისაც, რომელმაც მძიმე ტრავმა მიიღო და 34 თამაშიდან 16 გამოტოვა. მაგრამ ეს წელიწადი მას კარგითაც დაამახსოვრდა. პირველად თავის საფეხბურთო კარიერაში გოლი გაიტანა!

პირველ სამ თამაშში გუნდმა მხოლოდ სამი ქულა დააგროვა. გუნდის ლიდერი გენიალური **ბორის პაიჭაძე,** რომელიც მანამდე მძიმე ტრავმის გამო თითქმის ორი წლის მანძილზე არ გამოსულა მოედანზე, პირველ მატჩებში თავის თავს არ ჰგავდა. ასე იყო მეოთხე შეხვედრაშიც ხარკოვის "ლოკომოტივთან", რომლის კარსაც გოლიათური აღნაგობის მეკარე **ნიკოლაი უგრაიცკი** იცავდა. თამაშის დასაწყისში ხარკოველებმა გაგვიტანეს ბურთი. გაქვითვა ვერაფრით ხერხდებოდა. ის კი არა, მწვავე მომენტებიც ვერ შევქმენით მეტოქის კართან. თამაშის დამთავრებას სულ რაღაც ხუთი წუთი აკლია. ნიაზ ძიაპშიპა ტოვებს თავის სადარაჯო პოსტს, ჯიქურ მიინევს წინ და ძლიერი დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს! ქულა გადარჩა. მოედნის ცენტრში ბორის პაიჭაძე მაგრად ართმევს ხელს გოლის ავტორს (ასეთი იყო მაშინ გოლის გამტანისათვის მილოცვის ფორმა!).

შემდგომი თამაში მოსკოვში ადგილობრივ "სპარტაკთან" ჩვენებმა კარგად წარმართეს. პაიჭაძემ გოლი მალევე გაიტანა, რაც მას ძვირად დაუჯდა - დაიმტვრა და თითქმის ჩემპიონატის ბოლომდე გამოეთიშა გუნდს. დაშავებული მოთამაშის შეცვლა მაშინ არ იყო ნებადართული. მოსკოველებს გული მიეცათ, დაიწყო ჩვენი კარის შტურმი, რომელსაც თავგამოდებით იცავდა დაუვიწყარი **ვლადიმერ მარლანია** და დაცვა, ძიაპშიპას თავკაცობით. დამამახსოვრდა ცნობილი რადიოკომენტატორის **ვადიმ სინიავსკის** ფრაზა: - до чего же хладнокровно выносит Дяпшипа мяч из штрафной площади! საბოლოოდ, მაინც გავიმარჯვეთ 1:0.

მინდა გავიხსენო 1949 წლის ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე დაუვიწყარი მატჩი. მოსკოვის ცდკა-სთან 1:6 ნავაგეთ (7 აგვისტო). გენიალურმა **ვსევოლოდ ბობროვმა** როგორც იტყვიან მარტომ მოგვიგო (გაიტანა 4 გოლი), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ გუნდს პაიჭაძე და ძიაპშიპა აკლდნენ. ერთი თვის შემდეგ კი ბრწყინვალე გამარჯვებები მოვიპოვეთ კიევის "დინამოსთან" (6:1, 13 სექტემბერი) და სტალინოს (დღეს დონეცკის) "შახტიორთან" (5:0, 17 სექტემბერი). პირველი მათგანი საზოგადოდ, ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენი გუნდის ისტორიაში. მაშინ ბრწყინავდა **ანდრო ზაზროევი** იმ წლის მთავარი ბომბარდირი, ხოლო მეორე თამაშში პირველად ვიხილეთ ნახევარმცველის ამპლუაში ჩვენი უბადლო **ავთანდილ (ბასა) ღოლობერიძე.** და ეს მოხდა იმ უბრალო მიზეზით, რომ იმ მატჩისათვის თბილისის "დინამოს" აღმოაჩნდა 6 ძირითადი თავდამსხმელი: **მ. ჯოჯუა, რ. მახარაძე, ა. ზაზროევი, ა. ღოლობერიძე, ნ. თოდრია** და გამოჯანმრთელებული **ბ. პაიჭაძე.** ამიტომ გადაწყდა ღოლობერიძის უკან დახევა. ფაქტობრივად, კი იგი მეექვსე თავდამსხმელი იყო და ერთი ბურთიც გაიტანა.

1950-1951 სეზონები "დინამომ" შესანიშნავად ჩაატარა (შესაბამისად მე-3 და მე-2 ადგილები). ძიაპშიპას სპორტულ კარიერაშიც ეს იყო საუკეთესო წლები. რაც მთავარია, იგი ტრავმებს გადაურჩა და თითქმის ყველა თამაში ჩაატარა. ჩვენთვის გულშემატკივრებისათვის კი ამ ჩემპიონატებს დამატებით ინტრიგას სძენდა ორი ქართული გუნდის თბილისის "დინამოსა" და "სპარტაკის" მონაწილეობა. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მათი მეტოქეობა 1950 წელს, სადაც პირველ წრეში გაიმარჯვა "დინამომ 3:1 (ბ. პაიჭაძის ჰეთ-თრიკი), მეორეში კი "სპარტაკმა" 1:0.

მაგონდება ძიაპშიპასთან დაკავშირებული დაუვიწყარი ეპიზოდი. შეხვედრა მოსკოვის "სპარტაკთან" (1950. 31 ივლისი). შორიდან ჩაკიდებულ მაღალ ბურთზე ერთდროულად წავიდნენ ჩვენი მეკარე მარლანია და მოსკოველთა ცენტრალური თავდამსხმელი ცნობილი **ნიკიტა სიმონიანი.** ჰაერში შეჯახების შემდეგ ორივენი მინაზე დაეცნენ, თუმცა წაქცეულმა სიმონიანმა მოახერხა უკუდარტყმით მაღალი ბურთის გაგზავნას თბილისელთა კარში. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მას ნიაზმა მიუსწრო. ეს ძალზე დრამატული მომენტი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. თამაში მოვიგეთ 1:0 (თოდრიას გოლი).

განსაკუთრებით კარგად ჩვენებმა 1951 წლის ჩემპიონატი ჩაატარეს და რამდენიმე ბრწინვალე გამარჯვებაც მოიპოვეს. რომელი ერთი გავიხსენო? მაგალითად, შეხვედრები სსრკ ჩემპიონთან ცდკა-სთან და მოსკოვის "სპარტაკთან" (შესაბამისად 2:0 და 3:1) და ბევრი სხვაც. ცხადია, შესანიშნავად თამაშობდნენ ჩვენი თავდამსხმელები - **ღოლობერიძე, ზაზროევი, გაგნიძე, ჯოჯუა,** ნახევარმცველები **ანთაძე, პანიუკოვი, კილაძე,** მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამავე დროს, გუნდს ჰყავდა თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველები **სარჯველაძე, ძიაპშიპა, ელოშვილი** და მეკარე **მარლანია.**

სხვათა შორის, 1951 წელთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მოგონება, თუმცა მისი გმირი არის არა თავად ძიაპშიპა, არამედ ძიაპშიპას ვიზავი გამოჩენილი პონომარიოვი, რომელსაც ნიაზი, ჩვეულებრივ, წარმატებით უმკლავდებოდა ხოლმე. ეს იყო სეზონის ბოლო მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩემპიონატის მომავალი მეორე და მესამე პრიზიორები თბილისის "დინამო" და სტალინოს "შახტიორი". პირველ ტაიმში, როდესაც ანგარიში იყო 1:0 ჩვენების სასარგებლოდ (**იური ვარდიმიადის** გოლი), თბილისელთა საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი მიიღო პონომარიოვმა. მის წინ ძიაპშიპაა. მოუხელთებელი ფინტი და თბილისელი ფეხბურთელი უკან რჩება. უძლიერესი დარტყმით პონომარიოვი ბურთს კარის მარჯვენა მაღალ კუთხეში აგზავნის. რეაქტიული მარლანია, ვერ ასწრებს მის გადაკეტვას, მეტიც, მეკარე ძლიერად ეჯახება თავით ძელს, რამდენიმე წუთით კარგავს გონებას და საკაცით გაყავთ მინდვრიდან. გაოგნებული ტრიბუნები დიდხანს გუგუნებენ...

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ "დინამომ" პოლონეთში ამხანაგურ მატჩებში პირდაპირ შემუსრა იქაური უძლიერესი გუნდები და ოთხ თამაშში სულ ერთი ბურთი გაუშვა, რაც თავისთავად მეტყველებს ჩვენი დაცვისა და მისი ბურჯის ნიაზ ძიაპშიპას მაღალ კლასზე.

ვერაფერს ვიტყვი 1952 წლის ჩემპიონატზე, რადგანაც იგი მთლიანად მოსკოვში ჩატარდა (მსოფლიო ოლიმპიადის მოლოდინში). ჩვენმა გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა, ნიაზმა კი ცამეტივე შეხვედრაში ითამაშა. იმავე წელს მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

აი, 1953 წლის სეზონი კი, რომელიც "დინამომ" ბრწყინვალედ ჩაატარა, ყველაზე უიღბლო აღმოჩნდა ნიაზისათვის. პირველივე თამაშში იგი იმდენად მძიმედ დაშავდა, რომ ორი სეზონი გამოტოვა და გუნდს მხოლოდ 1955 წელს დაუბრუნდა.

იმ წელიწადს ნიაზმა სულ 9 შეხვედრა ჩაატარა და ყველას გვეგონა, რომ ეს მისი უკანასკნელი სეზონი იყო. მაგრამ მოულოდნელად 1956-ში ჩვენ კვლავ ვიხილეთ ძველი ძიაპშიპა: ენერგიული, თავდადებული და ტექნიკური. მან ყველა 22-ვე მატჩი ითამაშა და საქართველოს ნაკრების (ფაქტობრივად, თბილისის ?ინამოს) შემადგენლობაში, გუნდთან ერთად, ვერცხლის მედალი მოიპოვა სსრკ ხალხთა მე-2 სპარტაკიადის ტურნირში (მწვრთნელი გ. ჯეჯელავა).

1957 წლის სეზონში ნიაზმა გოლიც გაიტანა, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ჩვენ გუნდს მოსკოვის "ლოკომოტივთან" შეხვედრაში (2:1. 21 აპრილს). 1958 წლის ბოლოს კი ნიაზი დაემშვიდობა თავის საყვარელ გუნდს.

მოგვიანებით იგი მუშაობდა "დინამოს" მწვრთნელად, იყო გუნდის უფროსიც, ნვრთნიდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს, რომელმაც გაიმარჯვა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე (1958), აგრეთვე სოხუმის გუნდებს.

ნიაზ ძიაპშიპა გარდაიცვალა 1993 წლის 5 იანვარს. ჩვენ კი დაუვიწყარი მოგონებები დაგვიტოვა.

გულბათ ტორაძე

საფეხბურთო კლუბი "ლოკომოტივი" თანაგრძნობას უცხადებს ამავე კლუბის დირექტორს დიმიტრი ობოლაძეს მამის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედიის კვალდაკვალ

ყოველ ტურს თითო პოლიციელი შეეწირება!

ფანები არ ცხრებიან. შეწყდა სერია B და C, მერე A-ც?

არეულობამ ჩემპიონატი შეაჩერა

იტალია არეცოს ტრაგედიის ჭრილობებს იშუშებს. გუშინ, პოლიციელის მიერ მოკლული "ლაციოს" ფანი **გაბრიელე სანდრი** დაკრძალეს. პროცესიას ათი ათასამდე ადამიანი დაესწრო. პარალელურად, იტალიის პოლიცია იმ ფანებს დასდევს და აპატიმრებს, ვინც ბერგამოსა და რომში არეულობები მოაწყო. გუშინ კრიზისის კერა მილანშიც გაჩნდა. "სან სიროსთან" დააკავეს ორი ფანატი, რომლებმაც კედელზე ასეთი წარწერა დატოვეს: "ყოველ ტურს თითო პოლიციელი შეეწირება"! გუშინ, კარაბინიერებმა სხვადასხვა ქალაქში 10 "ულტრასი" დაატუსაღეს...

მაგრამ ცხადია, რომ ეს ყველაფერი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. იტალიური ფეხბურთის ჩინოსნები გამოსავალს მთავრობასთან ერთად ეძებენ. თუმცა ჯერჯერობით, იმის თქმა, რომ რაიმე განსაკუთრებულ ზომას მიაგნეს, ნაადრევია. ფეხბურთის ფედერაციას ერთადერთი არგუმენტი აქვს: ჩემპიონატის შეჩერება. ასე მოხდა ამა წლის 2 თებერვალსაც, როცა კატანიაში პოლიციელი **ფილიპო რაჩიტი** მოკლეს. თუმცა ამით პრობლემა არ მოგვარებულა და, ალბათ, ვერც მოგვარდება. გუშინაც, ერთადერთი გადაწყვეტილება, რაც მოიფიქრეს, ეს იყო: ორსაათიანი თათბირის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციამ და პროფესიულმა ლიგამ გადაწყვიტეს, რომ მომავალ კვირაში, არც ერთ დონეზე, ჩემპიონატის მატჩები არ გაიმართოს. სერია A ისედაც არ იყო დაგეგმილი სანაკრებო პაუზის გამო. რა იქნება მერე, როცა ეს პაუზა გაივლის, ძნელი სათქმელია.

გაურკვევლობაშია მთავრობაც. პრობლემის გადაჭრის მექანიზმი არც ხელისუფლებას აქვს. სპორტის მინისტრმა **ჯოვანა მელანდრიმ** იმედი გამოთქვა, რომ საფეხბურთო სამყარო სწორ ნაბიჯებს გადადგამს. "სწორ ნაბიჯებში" ისიც ჩემპიონატის დროებით შეჩერებას გულისხმობს: *"იმედი მაქვს, კალჩოს სამყარო შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ვფიქრობ, ჩემპიონატი გარკვეული პერიოდით უნდა შეწყდეს. ჩვენ გვჭირდება დრო იმისთვის, რათა სტადიონებზე ძალადობის აღკვეთის ღონისძიებები დავსახოთ. მანამდე კი ეს უნესრიგობა აუცილებლად უნდა შეჩერდეს, თუნდაც იმიტომ, რომ პატივი ვცეთ დაღუპული ფანის ხსოვნას".*

გაცილებით რადიკალური წინადადება აქვს "ჯენოას" პრეზიდენტ **ენრიკო პრეციოზის**, რომელმაც სერია A-ს ხანგრძლივი დროით შეჩერება მოითხოვა: *"არ შეიძლება, პრობლემის ისე მიჩუმათება, თითქოს კვირას არაფერი მომხდარიყოს. ეს გახლდათ იმის დემონსტრირება, რომ ვიღაც თავის საქმეს კარგად ვერ აკეთებს. არ ვეთანხმები წინადადებას, რომ გუნდებს გასვლით მატჩებზე ფანების ნაყვანა უნდა ავუკრძალოთ. წარმოუდგენელია, საფეხბურთო მატჩზე დასწრება ავუკრძალოთ იმ ხალხს, ვინც არაფერს აშავებს, ვისთვისაც ფეხბურთი დღესასწაულია. არ შეიძლება, რამდენიმე ასეული ხულიგნის გამო, ათიათასობით ადამიანი დაისაჯოს. ამიტომ, ჩემი წინადადებაა, შევწყვიტოთ ჩემპიონატი მანამ, ვიდრე ქმედით ზომებს არ გავატარებთ. ვფიქრობ, ამაზე უნდა წავიდეთ იმ შემთხვევაშიც, ორ-სამთვიანი პაუზაც რომ დაგვჭირდეს. უნდა დავარწმუნოთ საფეხბურთო სამყარო, რომ ჩვენ აქ ტყუილად არ ვმსახურობთ, რომ რაღაცას ვაკეთებთ. აკრძალვის კულტურა ჩემთვის მიუღებელია, ამის არ მჯერა. ჩვენ უნდა ავამუშაოთ ის მექანიზმები და წესები, რაც გვაქვს. საქმეც იმაშია, რომ კანონებს არავინ ასრულებს. მოვიდა დრო, როცა გულგრილობას ბოლო უნდა მოვუღოთ".*

ნედო სონეტი კალიარიში დაბრუნდა

"სიენის" ხელმძღვანელობამ ალოგიკური გადაწყვეტილება მიიღო. ახლავე მოგახსენებთ, თუ რატომ. გუშინდელ მასალაში მოვიყვანეთ ტოსკანური კლუბის გენერალური მენეჯერის **ჯოვანი სტრონატის** სიტყვები, რომელშიც კითხვაზე - დაბრუნდებოდა თუ არა მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მარიო ბერეტა,** ასეთი პასუხი მივიღეთ: *"ბერეტა? ჩვენი მხრიდან ეს ალოგიკური გადაწყვეტილება იქნებოდა".*

...და აი, გუშინ "სიენამ" მთავარ მწვრთნელად სწორედ ბერეტა დაამტკიცა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. 48 წლის ბერეტა ის სპეციალისტია, გასულ წელს "სიენა" სერია A-ში რომ დატოვა, თუმცა ამაგი არ დაუფასეს და ვითომ უკეთესი **ანდრეა მანდორლინით** შეცვალეს. ამ უკანასკნელის მონაგარი, ჯერჯერობით, ერთადერთი გამარჯვებაა. მანდორლინის გუშინ გენერალურ მენეჯერთან უნდა ესაუბრა. ისაუბრეს კიდეც და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ორივე მხარისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ კონტრაქტის მოქმედება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდებოდა. იქვე, "სიენის" უფროსობამ სპეციალური განცხადება გაავრცელა: *"კლუბი მადლობას უხდის სინიორ მანდორლინის აქამდე გაწეული სამუშაოსთვის და აფასებს მის შრომას, მაგრამ დღეიდან გუნდი მარიო ბერეტას კონტროლის ქვეშ იქნება".*

განმარტება იმაზე, თუ რამდენწლიანია ბერეტას კონტრაქტი, ჯერჯერობით არ გაკეთებულა. როგორც მინიმუმ, ის გუნდში ივნისამდე იმუშავებს.

სამწვრთნელო რყევები

ბერეტა სიენაში, სონეტი კალიარიში

მანდორლინის ჯამპაოლოც მიჰყვა. ორი სამწვრთნელო ცვლა ერთ დღეში

სამწვრთნელო ცვლილება მოხდა "კალიარიშიც". ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე, ამ გუნდს გავარდნის უპირველეს კანდიდატად მიიჩნევდნენ. თუმცა სარდინიელებმა სეზონი ნეაპოლში ხმაურიანი გამარჯვებით (2:0) დაიწყეს. ვარდნა კი ამ ერთი თვის წინათ დაიწყო. ბოლო უიქენდზე "კალიარიმ" შინ "სამპდორიასთან" წააგო (0:3). როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კრიზისს დროულად უშველოს და გუშინ მწვრთნელ **მარკო ჯამპაოლოს** კარისკენ მიუთითა...

სხვათა შორის, ბოლო ორ სეზონში ჯამპაოლოს უკვე მეორედ ათავისუფლებენ. გასულ წელს ის შეცვალა **ფრანკო კოლომბამ,** რომელმაც გუნდი სერია B-ში გავარდნას გადაარჩინა. თუმცა მიმდინარე გათამაშების დაწყების წინ, 40 წლის სპეციალისტს კიდევ ერთხელ გამოუცხადეს ნდობა. ამჯერად კი, მას გამოცდილი **ნედო სონეტი** შეცვლის. 66 წლის სონეტის "კალიარიში" ადრეც უმუშავია. 2001/02 წლების სეზონში, როცა ეს გუნდი სერია B-ში ასპარეზობდა, მხოლოდ მე-12 ადგილზე გაიყვანა, 2005/06 წლების სეზონში კი (უკვე სერია A) ორიოდ თვით მოუწია მუშაობა. ვნახოთ, რას მოიტანს სონეტის მესამე კალიარული მოსვლა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე ოთხი მწვრთნელი შეიცვალა. გუშინდლამდე პოსტები დატოვეს **ფერნანდო ორსიმ** ("ლივორნო") და **მასიმო ფიკადენტიმ** ("რეჯინა").

კაკა: თუ ასე გაგრძელდა, იტალიას ბევრი ვარსკვლავი დატოვებს

იტალიაში გამეფებული ძალადობის გამო, მარტო ხელისუფლება და საფეხბურთო ჩინები არ არიან შეწუხებულნი. გუშინ თავისი პოზიცია "მილანისა" და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავმა **კაკამაც** დააფიქსირა. ის ფიქრობს, რომ თუ ეს ყველაფერი დროულად არ აღიკვეთა, სერია A მალე დიდი ფეხბურთელების გარეშე დარჩება.

"იტალიური ფეხბურთი ნდობას კარგავს, - ამბობს კაკა "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში, - სასწრაფოდ რაღაც ზომებია გასატარებელი, თორემ მარტო ფეხბურთი კი არა, იტალიაში მთლიანად სპორტიც მოკვდება. "კალჩოპოლის" სკანდალი, მერე პოლიციელის სიკვდილი, ახლა კი ფანის ტრაგიკული დაღუპვა... აუცილებლად უნდა შეჩერდეს ეს არეულობა, წინაღმდეგ შემთხვევაში, გარწმუნებთ, დიდი ფეხბურთელები იტალიას ერთმანეთის მიყოლებით დატოვებენ".

კაკა "ოქროს ბურთის" მოპოვების ყველაზე რეალური პრეტენდენტია. პრინციპში, თითქმის 100-პროცენტიანი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ 2 დეკემბერს "ფრანს ფუტბოლი" სწორედ მას გადასცემს წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებულ უპრესტიჟულს ჯილდოს. ცხადია, იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენები თითოეული მოთამაშის სატკივარია. კაკა აბსოლუტურად გულწრფელია, როცა ფეხბურთელების შესაძლო აბარგებაზე საუბრობს. ისეთ არასტაბილურ გარემოში, როგორიც დღეს იტალიური ფეხბურთია, მომავალში ანალოგიურ წარმატებებზე ფიქრიც კი ზედმეტია.

"თუ 2 დეკემბერს გავიმარჯვებ, პირველ რიგში მადლობას ღმერთს გადავუხდი, შემდეგ კი ყველას, ვინც ამაში დამეხმარა, დაწყებული ჩემი მეუღლით... მაგრამ მე ყოველთვის გამარჯვებები მინდა. დარწმუნებული ვარ, სკუდეტოსთვის ბრძოლა კიდევ შეგვიძლია. სულაც არ ვდარდობ, რომ "ინტერს" უკვე ძალიან ჩამოვრჩით. წინ კიდევ დიდი გზაა და შეიძლება, ბევრი რამ შეიცვალოს. მაგრამ პირველ რიგში სიმშვიდე უნდა იყოს. თუ ჩემპიონატი შეწყდა, ეს ყველას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. ამიტომ, მოვუწოდებ ფანებს, დაწყნარდნენ და სტადიონზე ლამაზი ფეხბურთის სანახავად მოვიდნენ".

შემდეგ, კაკამ გაამხილა, რომ თურმე "მილანი"-"ბარსელონის" საჩემპიონთალიგო ფინალზეც ოცნებობს და არა მხოლოდ ამაზე: *"კიდევ ბევრი საინტერესო მატჩი და, რაც მთავარია, ორი დერბი გველის. ამასთან, ვოცნებობ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბარსელონას" შევხვდეთ. და კიდევ ერთი: ვოცნებობ იმაზეც, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად პეკინის ოლიმპიადაზეც გავიმარჯვო. ჩვენს ქვეყანას ხომ ოლიმპიური ოქრო არასოდეს მოუგია. პრობლემა ისაა, რომ ჩემი ასაკი (25) ოლიმპიური ნაკრებისთვის დასაშვებზე მეტია. იმედი მაქვს, კარლოს დუნგა ასაკგადაცილებულთა კვოტიდან მეც შემარჩევს. ჩინური თავგადასავალი ძალიან საინტერესო იქნება".*

შემდეგ, ჟურნალისტმა კაკას ყავლგასული შეკითხვა დაუსვა "რეალთან" დაკავშირებით, რაზეც ფეხბურთელმა ასე უპასუხა: *"ამ მომენტისთვის მადრიდში გადასვლის საკითხი ჩემთვის დახურულია. კიდევ ერთხელ ვამბობ იმას, რაც არაერთხელ მითქვამს: თუ "მილანს" სურს, შემიძლია ახლავე გავაგრძელო კონტრაქტი, რომელიც 2011 წელს იწურება. არავის არ უნდა ჰქონდეს ეჭვი, რომ მზად ვარ, "როსონერიში" კიდევ დიდხანს დავრჩე".*

დაბოლოს, **ადრიანოს** თემა. რამდენად რეალურია "იმპერატორის" "მილანში" გადასვლა? კაკა ასე ფიქრობს:

კაკა ფანებს აფრთხილებს...

"მას რამდენჯერმე ვესაუბრე და ბედნიერი ვიქნები, თუ "მილანში" გადმოვა. ეს მართლაც დიდი ტრანსფერი იქნება. ადრიანო აქ სიმშვიდეს იპოვნის... მაგრამ ახლა ვერ ვიტყვი იმაზე მეტს, ვიდრე ვიცი. სჯობს, მოვიცადოთ".

ადრიანოს მომავალი სატრანსფერო სპეკულაციების ერთ-ერთი მთავარი თემაა. "იმპერატორს" "ინტერში" რომ აღარ დაედგომება, ამის მიზეზებზე გუშინ ვრცლად ვისაუბრეთ. მისი და **რობერტო მანჩინის** ურთიერთობა ჩიხში შევიდა. გარდა იმისა, რომ ადრიანო არ ფიგურირებს "ინტერის" საჩემპიონთალიგო განაცხადში, მანჩინი მას აღარც სერია A-ს მატჩებში ათამაშებს. პრესას არ სჯერა კლუბის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციისა, თითქოს ადრიანო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ერთგვარი სარეაბილიტაციო კურსის გავლას საჭიროებს. სხვათა შორის, სწორედ ამ მიზეზით, "ინტერის" ხელმძღვანელობა მას კონტრაქტის შეწყვეტასაც სთავაზობდა. ეს ამბავი ადრიანოს აგენტმა **ჟილმარ რინალდიმ** გაამხილა...

"რეაბილიტაციაზე" ცოტა ქვემოთ, მანამდე კი სატრანსფერო თემას შევეხოთ. გუშინ ითქვა, რომ თავად ადრიანოს "მანჩესტერ სიტიში" სურს გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ მას და მის აგენტს ოფიციალური შეთავაზება არც ერთი კლუბისგან არ მიუღიათ (ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ), დასამალი არც ის არის, რომ ბრაზილიელი ფორვარდით "ვესტ ჰემი", "მილანი" და "რომაც" არიან დაინტერესებულნი. თუმცა გუშინ ცნობილი გახდა, რომ "მანჩესტერ სიტის" ვარიანტი თითქმის გამორიცხა. **სვენ გორან ერიქსონმა** პრესასთან საუბარში განმარტა:

"გარწმუნებთ, რომ არანაირი გეგმა ადრიანოსთან დაკავშირებით, უბრალოდ, არ არსებობს. და საერთოდაც, ამ მომენტისთვის ახალი ფეხბურთელების საჭიროებას მაინცდამაინც ვერ ვხედავთ. ეტყობა, ხალხი ფიქრობს, რომ ბევრი ფული გვაქვს და ჩვენი გუნდის სახელს ამა თუ იმ ვარსკვლავთან აკავშირებს. გაზეთებისთვის მართლაც კარგი თემაა. მაგრამ თუ ბაზარზე დაბრუნდებით, შეიძლება, ერთი ფეხბურთელი ვიყიდოთ, ოღონდ ეს ფეხბურთელი დიდი ჩემპიონი უნდა იყოს".

არის თუ არა ერიქსონი გულწრფელი, ხოლო ადრიანო "დიდი ჩემპიონი", ამას მომავალი გვიჩვენებს. ასეა თუ ისე, სვენის განცხადება იმედს გაუცრუებდა "მანჩესტერ სიტის" იტალიელ ფორვარდ **როლანდო ბიანკის**, რომელსაც ამ კლუბში ადრიანოს შესაძლო გადასვლის წყალობით, სამშობლოში დაბრუნების იმედი ჰქონდა. ასე რომ, ბიანკიმ უნდა მოითმინოს.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ სარეალიბიტაციო კურსს. ტურინში გამმავალი "ლა სტამპას" ინფორმაციით, გუშინ გაიმართა შეხვედრა "ინტერის" ვიცე-პრეზიდენტ **რინალდო გელფის,** ტექნიკურ დირექტორ **მარკო ბრანკასა** და ადრიანოს აგენტს შორის. მხარეები ერთ რამეზე ულაპარაკოდ შეთანხმდნენ - ფეხბურთელს დახმარება სჭირდება. "ინტერის" ჩინოსნებმა გამოთქვეს მზადყოფნა, უახლოეს მომავალში ადრიანო აშშ-ის ან შვეიცარიის რომელიმე კლინიკაში მიავლინონ, სადაც ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური კონდიციების აღსადგენ სპეციალურ სარეაბილიტაციო კურსს ჩაიტარებს. ისინი თვლიან, რომ ფეხბურთელი დროებით უნდა მოწყდეს მილანურ გარემოს და თავის მომავალზე დაფიქრდეს. მისი აგენტი შეხვედრის შემდეგ კმაყოფილი იყო - საუკეთესო გამოსავალს მივაგენითო. ვნახოთ.

გამოსავლის ძიებაში

ერიქსონმა ადრიანო უარყო

ინტერი მზადაა, ბრაზილიელ ფორვარდს დახმარების ხელი გაუწოდოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთი აფრიკა 2010

მუნდიალს საფრთხე ემუქრება?

აფრიკელები სტადიონების აშენებას ვერ ასწრებენო...

2010 წლის მუნდიალის სამხრეთ აფრიკაში ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საორგანიზაციო კომიტეტი აღიარებს, რომ ათიდან ორი სტადიონის აშენება ვერ ესწრება. კომიტეტს იმედი გადაწურული არ აქვს, მაგრამ არ მალავს, რომ მშენებლები დროში ძალიან შეზღუდულები არიან. რა უნდა მოიმოქმედოს ფიფამ? რამდენიმე კვირის წინ პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** პირადად ეწვია სამხრეთ აფრიკას და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. ვიზიტის დასრულების შემდეგ ბლატერმა გამოთქვა რწმენა, რომ უკლებლივ ყველა სტადიონის მშენებლობა დათქმულ დროს დასრულდებოდა. შესაბამისად, არც მუნდიალის ჩატარებას დაემუქრებოდა საფრთხე. ორგანიზატორთა განცხადების შემდეგ მას კომენტარი არ გაუკეთება. მიმომხილველები კი უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ, რომ დადგა დრო, ფიფამ სათადარიგო გეგმა აამუშაოს. ეს სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკისათვის მასპინძლობის უფლების ჩამორთმევასა და ახალი მასპინძლის შერჩევას გულისხმობს - თანაც ისეთი მასპინძლის, რომელსაც ტურნირის მასპინძლობისათვის საჭირო სტადიონები მზყობრში ექნება. ასეთი გამართული ინფრასტრუქტურით მხოლოდ ევროპული ქვეყნები თუ დაიკვეხნიან. თუ მუნდიალს ევროპაში გადმოიტანენ, მასპინძლობის ყველაზე რეალური კანდიდატი ინგლისი იქნება. აფრიკას მსოფლიო ფეხბურთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის ტალანტების ამოუწურავი წყაროა. მაგრამ ერთია ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი და მეორე უმაღლესი დონის ტურნირის ორგანიზება, თანაც ბოლო ორი მუნდიალის შემდეგ. სამხრეთი კორეა-იაპონიისა და გერმანიის მუნდიალებმა ორგანიზაციის თვალსაზრისით ყველა მოლოდინს გადააჭარბა, მაგრამ ეს შემთხვევითი არ ყოფილა. სამივე სახელმწიფომ ჩემპიონატის მასპინძლობისათვის არნახული სამუშაოს გასწია. ამ ქვეყნებისა და სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის ფინანსური შესაძლებლობები საგრძნობლად განსხვავდება. ექსპერტთა ერთი ნაწილი აფრიკაში მუნდიალის ჩატარების იდეას იმთავითვე ეჭვით შეხვდა. ექსპერტები არც მუნდიალების კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობის იდეას იწონებდნენ. მათი სკეპტიციზმი 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლის შერჩევისას დადასტურდა. ბრაზილიამ კონკურსი კორკურენციის გარეშე მოიგო. მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზება საპატიოა, მაგრამ ამავე დროს დიდ რესურსებს მოითხოვს. ამის გაკეთება კი ბევრს ქვეყანას არ შეუძლია. სამხრეთაფრიკელები ბრძოლის შენყვეტას არ აპირებენ. სულ მალე შევიტყობთ, მოახერხებენ თუ არა ისინი მასპინძლის სტატუსის შენარჩუნებას.

სამხრეთი აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დანი ჯორდაანი აღიარებს, რომ მის ქვეყანას პრობლემები აქვს

მეკარე გასაჭირში

ლემანი მეორე გუნდესლიგაზეც თანახმაა

ვენგერი იენსს არ დააბრკოლებს...

თადარიგში გამწესებული ლემანი არსენალიდან ნასვლაზე ფიქრობს

„არსენალისა" და გერმანიის ნაკრების მეკარე **იენს ლემანი** ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. როგორც იცით, ლონდონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და საქმეს ისეთი პირი უჭანს, რომ „მეთოფეების" მთავარი მწვრთნელის **არსენ ვენგერის** ნდობას ვეღარც მოიპოვებს. ვენგერი ამბობს, ლემანის გაშვებაზე არ ვფიქრობო, მაგრამ იქვე ამატებს, თუ ზამთრამდე არაფერი შეიცვალა, აღარ გვექნება იმის უფლება, რომ იენსს სხვა გუნდში გადასვლა ავუკრძალოთო.

თვითონ იენსი სასოწარკვეთილია და იმაზე ფიქრიც კი არ უნდა, რომ სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, ევროპის ჩემპიონატზე მის ასპარეზობას საფრთხე დაემუქრება. ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გარკვევით თქვა, თუ ლემანს სათამაშო პრაქტიკა არ ექნება, ავსტრიასა და შვეიცარიაში მის იმედად ნამდვილად ვერ ვიქნებითო. შესაბამისად, ვეტერანი გოლკიპერი გუნდის გამოცვლაზე სერიოზულად ფიქრობს.

„ლიოვის პოზიცია ცნობილია, ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ ზამთრამდე „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში არ დავბრუნდები, მაშინ ტრანსფერზე ვიფიქრებ. ერთი რამ ფაქტია: ევროპის ჩემპიონატზე თამაში ძალიან მინდა და ეს ჩემი მიზანია. შესაბამისად, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ პრაქტიკა არ მომაკლდეს. თუ საჭირო გახდა, არც მეორე ბუნდესლიგაში თამაშზე ვიტყვი უარს," – აცხადებს ლემანი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ბუნდესგუნდის მეკარეების მწვრთნელის **ანდრეას კიოპკეს** თქმით, იენსს სასწრაფოდ პრაქტიკა სჭირდება. 17 და 21 ნოემბერს გერმანიის ნაკრები კვიპროსსა და უელსს ხვდება და ლიოვის გადაწყვეტილებით, ამ შეხვედრებში გერმანიის ნაკრების კარს ისევ იენსი დაიცავს...

პრემიერლიგა

არსენალი ისევ პირველია

მეთოფეებმა პრემიერლიგაში მეათასედ გაისროლეს

ორშაბათს "არსენალმა" აუღელვებლად მოუგო "რედინგს" (3:1). მან პრემიერლიგის ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. "მეთოფეებმა" 12 მატჩში 30 ქულას მოუყარეს თავი. 30 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ "მანჩესტერ იუნაიტედსაც", თუმცა "ეშმაკებმა" ერთი თამაშით მეტი ჩაატარეს. გუნდებს ბურთების თანაბარი ბალანსი აქვთ - პლუს 17. "არსენალმა" 27 გოლი შეაგდო, "იუნაიტედმა" - 23. ამიტომაც პირველ ადგილზე ლონდონელები არიან. "არსენალის" ნაუგებელი სერია 27 მატჩს მოიცავს. "რედინგს" გოლები გაუტანეს **მატიო ფლამინიმ, ემანუელ ადებაიორმა** და **ალექსანდ გლებმა**. ფლამინიმ დეკემბრის შემდეგ პირველად შეაგდო. ადებაიორის გოლი პრემიერლიგაში "არსენალის" მე-1000 გოლი აღმოჩნდა. გლების ბურთს განსაკუთრებული ისტორიული დატვირთვა არ ჰქონია. **არსენ ვენგერს** შეგირდების თამაშით კმაყოფილება არ დაუმალავს: *"მატჩს მთლიანად ჩვენ ვაკონტროლებდით. ეს ტურის უკანასკნელი შეხვედრა იყო. მეტოქეთა ანგარიშები ვიცოდით. ამიტომ გამარჯვება გვჭირდებოდა. მიხარია, რომ ამოცანა შევასრულეთ. ლიგას სათავეში ვუდგავართ და ვითარებას ჩვენ ვაკონტროლებთ."* "არსენალმა" უკანასკნელად 7 აპრილს ნააგო. "რედინგთან" მატჩში მას უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვება შეეძლო. ადებაიორმა ბურთი ძელს გაარტყა. მეორე ტაიმში მას ერთი გოლი არ ჩაუთვალეს. არბიტრმა საკამათო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. მასპინძლებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე **ნიკი შორიმ** ერთი ბურთი გაქვითა.

ფიფა და უეფა უფუნქციოდ?

"სელტიკის" თავკაცი **გორდონ სტრაჩანი** დარწმუნებულია, რომ ფეხბურთში ფიფასა და უეფას ძალაუფლებას წერტილი დაესმება. შოტლანდიელი მწვრთნელის აზრით, ამ ორგანოებს მდიდარი ინვესტორები ჩაანაცვლებენ. *"ეფიქრობ, შორს არაა ის დღე, როცა ახალი სტრუქტურები და ახალი მმართველი ორგანო შეიქმნება. ბიზნესმენები, რომლებიც ფეხბურთში მოდიან, იტყვიან, რაში გვჭირდება ფიფა ან უეფა, ჩვენ საკმარისი ფინანსური რესურსები გვაქვს, რათა, პირობითად, ევროპის 60 საუკეთესო კლუბისაგან სამი ევროპული ლიგა ჩამოვაყალიბოთ,"* - განუცხადა სტრაჩანმა მიმომხილველებს. შოტლანდიურ გრანდებს - "რეინჯერსსა" და "სელტიკს", დიდი ხანია, ინგლისურ პრემიერლიგაში განევრიანებას უნინასნარმეტყველებენ. დრო და დრო ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდება ხოლმე, მაგრამ ჯერჯერობით საქმე საუბარს არ გასცილებია. სტრაჩანი ამბობს, რომ გლაზგოური კლუბები ინგლისელებს მომავალ ევროპულ ლიგაში შეხვდებიან. ფიფასა და უეფას წარმომადგენლებს მისტერ გორდონის მოსაზრებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ტურამი ნაკრებიდან წასასვლელად ემზადება

ლილიან ტურამი სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს. თუ საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდება, ბარსელონელი მცველი გუნდს დაუყოვნებლივ გამოეთხოვება. მაგრამ თუ "ლურჯები" ავსტრიასა და შვეიცარიაში წავლენ, ტურამი განაცხადში მოსახვედრად იბრძოლებს. საფრანგეთი ბოლო მატჩს კიევში გამართავს. რაიმონ დომენეკის შეგირდებს ერთი ქულაც ჰყოენით მიზნის მისაღწევად. მაგრამ თეორიულად, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ტურამის სანაკრებო კარიერას უკრაინის დედაქალაქში დაესვას წერტილი. აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს ფლორენ მალუდა ვერ დაეხმარებათ. 27 წლის ნახევარმცველმა მუხლის დაზიანა და კიევში გამგზავრებას ვერ ახერხებს.

კანუტეს ორი კვირა

ფრედერიკ კანუტე 14 დღე დაისვენებს. მალელი თავდამსხმელი "ვილიარეალთან" ბოლო ტურის მატჩში (2:3) დაშავდა. მან წვივის კუნთი დაიზიანა. 30 წლის კანუტემ მიმდინარე სეზონში ექვსი გოლი გაიტანა. ის ანდალუსიელთა მეორე საუკეთესო ბომბარდირია. 27 ნოემბერს, ჩემპიონთა ლიგაში, "სევილია" "არსენალს" შეხვდება. კანუტეს ამ მატჩის გამოტოვება ემუქრება. ფრედერიკი მალის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება. მალელები სენეგალსა და ალჟირთან ამხანაგურ თამაშებს მართავენ. გუნდი აფრიკის ერთა თასისათვის ემზადება. შაბათს სენეგალთან მატჩი პარიზში გაიმართება.

ადვოკაატი პეტერბურგში რჩება

დიკ ადვოკაატმა "ზენიტთან" კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა. რუსმა მიმომხილველებმა ეს ინფორმაცია კონფიდენციალური წყაროებით მოიპოვეს. ჰოლანდიელი მწვრთნელი ოფიციალურ განცხადებას 29 ნოემბერს, საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთებს. იმავე დღეს შევიტყობთ, შეითავსებს თუ არა ადვოკაატი ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელობას. შეგახსენებთ, გასულ უქმეებზე "ზენიტი" რუსეთის ჩემპიონი გახდა. ეს პეტერბურგელთა ისტორიაში მეორე საჩემპიონო ტიტულია 1984 წელს მოპოვებული საბჭოეთის ჩემპიონობის შემდეგ.

ბიშოვეცი დაითხოვეს, სიომინიც...

მოსკოვის "ლოკომოტივი" უმწვრთნელოდ დარჩა. რკინიგზელებმა კარისკენ მიუთითეს **ანატოლი ბიშოვეცს**. ეს გადაწყვეტილება მოსალოდნელი იყო. მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ ბიშოვეცის კვალს გაუყენეს პრეზიდენტი **იური სიომინიც**, თუმცა ამ უკანასკნელს ადმინისტრაციაში სხვა, ნაკლებად საპასუხისმგებლო პოსტი შესთავაზეს. "ლოკომოტივის" დროებით მწვრთნელად მეორე გუნდის თავკაცი **რინატ ბილიალეტდინოვი** დანიშნეს. მისი შემცველელის ვინაობა უუახლოეს მომავალშ გაირკვევა. ცნობილია, რომ "ლოკომოტივში" არ იმუშავებს **ვალერი გაზაევი**. ამ უკანასკნელმა ცსკასთან კონტრაქტი ერთი წლით გაგრძელა. მას ყოველთვიური ხელფასი 3.5 მილიონ რუბლამდე გაუზარდეს.

ჩელსი. ტრანსფერები

გრანტის ახალი კონტრაქტი

შესუსტებული დაცვა და კერჟაკოვის მოსალოდნელი ტრანსფერი



ავრაამ გრანტი ლონდონში 2010 წლამდე დარჩება

"ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, "ჩელსიმ" **ავრაამ გრანტს** ხანგრძლივი კონტრაქტი შესთავაზა. ლონდონელებს მწვრთნელთან თანამშრომლობა 2010 წლამდე სურთ. ისინი ამ ხნის განმავლობაში 12.3 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. ვარაუდობენ, რომ გრანტი ხელშეკრულებას ათი დღის განმავლობაში გააფორმებს. ამით საბოლოოდ დაესმება წერტილი სპეკულაციებს მწვრთნელის მოსალოდნელი აბარგების თაობაზე. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ "ჩელსის" ბოლოდროინდელი წარმატებების ფონზე, გრანტის შეცვლაზე ისედაც აღარ ლაპარაკობდნენ.

"ჩელსიზე" საუბარს საკადრო პრობლემებით გავაგრძელებთ. "არისტოკრატებს" **რიკარდო კარვალიოც** დაუშავდათ. გრანტს მის გარდა, ძირითადი შემადგენლობის კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი აკლია. იძულებით შვებულებაში იმყოფებიან **პეტრ ჩეხი, ჯონ ტერი, ეშლი კოული** და **პაულუ ფერეირა**. ლონდონელებს დაცვაში პრობლემები აქვთ. ჩამოთვლილ მოთამაშეთაგან ყველაზე მალე ეშლი კოული უნდა გამოჯანმრთელდეს. ვარაუდობენ, რომ ის ერთი კვირის შემდეგ ხორვატების წინააღმდეგ ითამაშებს.

და კიდევ, "ჩელსიმ" რუსი თავდამსხმელი **ალექსანდრ კერჟაკოვი** მოიკითხა. ეს ინფორმაცია რამდენიმე დღის რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელს. მოსალოდნელ ტრანსფერს ინგლისური მედიაც აქტიურად განიხილავს. კერჟაკოვი "სევილიაში" ირიცხება. "სანის" ცნობით, რომან აბრამოვიჩი და ავრაამ გრანტი მას ისრაელი-რუსეთის მატჩისასაც დააკვირდებიან. "ჩელსი" თავდამსხმელს ეძებს. იანვარში, აფრიკის ერთა თასისას, **დიდე დროგბასა** და **სალომონ კალუს** კოტდივუარის ნაკრებში ელიან. ისინი "არისტოკრატებს" შეიძლება ერთი თვეც კი ვერ დაეხმარონ. კერჟაკოვს მათი შეცვლა მოუწევს. ამ ფეხბურთელს "მანჩესტერ იუნაიტედიც" აკვირდება.

ამსტერდამულ გრანდს კლაას იან ჰუნტელაარის, დენის რომედალისა და ლუის სუარესის ოსტატობა არ ჰყოფნის

ევროგრანდი

აიაქსის დაცემა

ჰოლანდიის დედაქალაქი გაზაფხულის მოლოდინში

"აიაქსმა" ბოლო 3 წელიწადი პირწმინდად ჩააგდო. ამ დროის განმავლობაში მან ვერ მოახერხა ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, ხოლო ზედიზედ ორჯერ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვარდა. გუნდის ხელმძღვანელობა ცდილობს, პრობლემებს მწვრთნელების ცვლით უწამლოს, მაგრამ ჯერჯერობით ამას შედეგი არ მოაქვს. სპეციალისტები დიდი ხანი ფიქრობდნენ და ბოლოს დასკვნეს, რომ ძირეული მიზეზი არა შემადგენლობის სისუსტე ან დამრიგებლების არასაკმარისი კვალიფიკაცია, არამედ, საკლუბო ფილოსოფიის მოძველება და მისი ახალ ეპოქასთან შეუთავსებლობაა.

2004 წელს, "აიაქსმა" 29-ედ და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიგო ჩემპიონის ტიტული. მაშინდელი ტრიუმფის მთავარი შემოქმედი **რონალდ კუმანი** გახლდათ. მან "ბარსელონასა" და ჰოლანდიის ნაკრებში **გუუს ჰიდინკისა** და **ლუი ვან გაალის** სკოლა გაიარა. ამას დაუმატა დამოუკიდებელი სამწვრთნელო პრაქტიკა "ვიტესში". ჰოლადიური ფეხბურთის ლეგენდა 2001 წელს ამსტერდამში სწორედ იმ დროს მივიდა, როდესაც ეს ქალაქი დიდ გამარჯვებებს ძალიან მონატრებული იყო და კლუბიც საოცრად უნიათოდ გამოიყურებოდა. პირველი რაც კუმანმა გააკეთა, ეს იყო 4-3-3 სქემაზე უარის თქმა. მისი ხელმძღვანელობით "აიაქსი" 4-2-2-ზე გადაეწყო, ხანდახან კი 4-5-1-ზეც (ოი, საშინელებავ!) კი არ ამბობდა უარს. პუბლიკა მწვრთნელს მთელი სეზონი ობსტრუქციებს უწყობდა. ეს გაგრძელდა 2002 წლის მაისამდე. იქამდე, ვიდრე კლუბმა 3-წლიანი პაუზის შემდეგ საჩემპიონო ტიტული არ დაიბრუნა, რასაც ქვეყნის თასიც მიაყოლა. ერთი წლის შემდეგ სცენარი აღარ განმეორდა, ჰიდინკის პსვ-მ ქულით მეტი მოიპოვა. სამაგიეროდ კუმანის კრებული ჩემპიონთა ლიგის 1\4-ფინალში გავიდა. სადაც ღირსეული ბრძოლა გაუმართა ლიგის მომავალ გამარჯვებულ "მილანს". ჰოლანდიურმა პრესამ ამ ეპოქას "აღორძინების ხანა" უწოდა. 2004-ში გუნდმა ჩემპიონობა დაიბრუნა.

ამ წარმატების საიდუმლო არა იმდენად ტაქტიკური სქემების ბნელ ლაბირინთებსა და გუნდის უკეთეს ფიზიკურ მომზადებაში იმალებოდა, არამედ იმაშიც, რომ კუმანმა 90-იანი წლების შუა ხანების შემდეგ ყველაზე ნიჭიერი თაობას მოუყარა თავი. სწორედ მის დროს გამოჩნდნენ **ვან დერ ვაარტი, ვან დერ მეიდე, ჰეიტინგა, სნეიდერი, დე იონგი, დე მული, დე რიდერი,** ასევე ლეგიონერები **პიენაარი, იბრაჰიმოვიჩი, გალაშეკი, გრიგერა, პასანენი, მაქსველი, ტრაბელსი.** ამას დავუმატოთ **კრისტიან კიკუ** და **მიდო,** რომლებიც კლუბში იქამდეც თამაშობდნენ. რონალდის ხელში აღმოჩნდა ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც მზად იყო ძველებურად დაექუხა. *"თუკი ჩვენ ამ ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს 5 წელიწადი მაინც შევინარჩუნებთ, მაშინ ჩემპიონთა ლიგაშიც შეგვეძლება გამარჯვება",* - ამბობდა გუნდის თავკაცი. თუმცა ოცნებებს ახდენა არ ეწერა. 2003 წელს კლუბის ხელმძღვანელობამ კიკუ, მიდო და ვან დერ მეიდე, საერთო ჯამში, 36 მილიონად გაყიდა, 2004-ში "იუვენტუსმა" გუნდის უმთავრესი ვარსკვლავი იბრაჰიმოვიჩი 16 მილიონად შეიძინა. "ამსტერდამ არენაზე" ისევ ნისლმა იწყო ჩამოწოლა. 2005 წლის თებერვალში გუნდი სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე დაეშვა, ხოლო უეფა-ს თასზე 1\16-ფინალში "ოსერთან" გამოვარდა. კუმანი საკუთარი ინიციატივით გადადგა: *"ძნელია მოტივაცია შეინარჩუნო და დარჩე იმ სახლში საცხოვრებლად, როდესაც იცი, რომ მომავალ წელს ის ხელახლა ასაშენებელი გექნება",* - განაცხადა მან. მას მერე ამსტერდამში გაზაფხული აღარ მოსულა.

კლუბის ხელმძღვანელობა კუმანის შემდეგ გუნდის ლეგენდა **დანი ბლინდს** ენდო. ნდობის მანდატმა სულ რაღაც 422 დღე გასტანა. ძნელია ითქვას, ჰქონდა თუ არა ილუზია ვინმეს, რომ ბლინდს შედეგები ექნებოდა. დიახ, ის "აიაქსის" უნიჭიერეს თაობას ჯერ კიდევ დუბლებში წვრთნიდა, მთელი ცხოვრება ამ კლუბს ემსახურებოდა და ყოველი დეტალი გუნდის ცხოვრებისა საკუთარი ხუთი თითივით იცოდა, მაგრამ წინაპირობა დედაქალაქში გაზაფხულის დასაბრუნებლად მას იმთავითვე მოუსპეს. 2004\05-ის სეზონის დასრულების უმალ გუნდიდან "ჰამბურგში" გადაბარგდნენ ვან დერ ვაარტი და დე იონგი, **ესკუდე** "სევილიაში" მოეწყო, ხოლო **ლობონტი** - "ფიორენტინაში". "აიაქსის" იმდროინდელ ლიდერ ვან დერ ვაარტს ჯერ კიდევ კუმანის დროიდან გადაულახავი პრობლემები წარმოექმნა ხელმძღვანელობასთან, რაც, ცივილიზებული წესით, მათი დაშორებით დასრულდა. სასაცილო ის იყო, რომ 4 ფეხბურთელის სანაცვლოდ კლუბმა 10 მილიონი ევრო მიიღო (საკლუბო ბიუჯეტის 1\5 ნაწილი). გუნდისთვის კატასტროფა იყო ცხრილში დაკავებული მე-4 ადგილი, ასევე ჩემპიონ პსვ-სთან განსხვავებაც 24 (!) ქულით. ზამთრის სატრანსფერო პაუზისას 9 მილიონად შეძენილი **კლაას იან ჰუნტელაარი** სულაც არ აღმოჩნდა ჯადოქარი და მან გუნდი კოლაფსისგან ვერ იხსნა. ბლინდის მოღვაწეობა დასრულდა ისე როგორც ეს იწინასწარმეტყველეს - უშედეგოდ. 2006 წელს "აიაქსში" მწვრთნელად "ბარსელონიდან" **ფრანკ რაიკაარდის** ასისტენტი **ჰენკ თენ კატე** მოვიდა, ვისაც ესპანეთიდან "ტაქტიკის გენიოსის" დახასიათება მოჰყვა. სულ ტყუილად.

გუნდის სათავეში მოსვლისას ახალ დამრიგებელს ჯერ კიდევ ჩაესმოდა ყურებში ის ოვაციები, რაც მისმა წინა კლუბმა "ბარსელონამ" დაიმსახურა ლიგაში გამარჯვების შემდეგ. თენ კატემ მსგავსი ვერაფერი დაიმსახურა "აიაქსის" გულშემატკივრისგან. მეტიც, ლიგის ჰიმნსაც კი ვერ აღირსა. კოპენჰაგენში პირველი მატჩის მიცემის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბოლო-ბი გემბანს მიღმა დარჩებოდა, თუმცა ეს მაინც მოხდა - 1:2 ამსტერდამში. ამის შემდეგ მთელი კონცენტრაცია ჩემპიონატზე მოხდა, სადაც ვან გაალისა და **შოთა არველაძის** "ალკმაარი" ლიდერობდა. ბოლო ტურამდე ასე გრძელდებოდა და მოხდა ისე, რომ მათ გადამწყვეტი თამაში "ექსელსიორთან" ნააგეს. პსვ-მ და "აიაქსმა" კი საკუთარი ბრძოლები მოიგეს და იმის გამო, რომ ქულები თანაბარი ჰქონდათ, საქმე ბურთების ბალანსზე მიდგა - "ეინდჰოვენს" ის +50 აღმოაჩნდა აიაქსელთა + 49-ს სანინაალმდეგოდ. რეგლამენტს რა ვუთხრით, თორემ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას დედაქალაქელები ფლობდნენ.

რევანშისთვის სამზადისი **ბაბელის,** სნეიდერის, დე მულისა და **პერესის** გაყიდვით დაიწყო. ვერაფერს იტყვი, შესანიშნავი წინაპირობაა. 4 ფეხბურთელში "აიაქსმა" 50 მილიონი მიიღო. უმძიმესი დანაკარგების მიუხედავადაც კი, პრაღის "სლავია" სულაც არ ჩანდა გადაულახავი ბარიერი... თენ კატეს შეგირდები ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს წლეულსაც ტელევიზორიდან ისმენენ. მეტიც, უეფას თასზე ზაგრების "დინამოსთან" განცდილი კრახიც ლოგიკური ჩანდა, ის არავის გაკვირვებია. ისევე როგორც "ტაქტიკის გენიოსის" სამწვრთნელო საქმიანობიდან ჩამოშორება. თენ კატე საკლუბო ფილოსოფიის ისეთივე მსხვერპლია, როგორც მისი წინამორბედები. გაუგებარია, რატომ ხდება, რომ აქამავალი ვარსკვლავები კლუბს იქამდე ტოვებენ, ვიდრე ისინი კლუბს მაქსიმალურ სარგებელს მოუტანენ. თენ კატე არ უნდა იყოს უკმაყოფილო იმით, რომ ამსტერდამიდან წავიდა ბევრად უფრო ამბიციურ "ჩელსიში", სადაც ეცდება **ავრაამ გრანტს** დაეხმაროს ჩემპიონთა ლიგის მოგებაში.

"ამსტერდამ არენაზე" "აიაქსი" დროებით ფართო საზოგადოებისთვის უცნობ **ადრი კოსტერს** გამოყავს. იმის მიუხედავადაც კი, რომ მის ხელში კლუბი დაუმარცხებლად ასპარეზობს, არავის ეპარება ეჭვი, რომ მას მალე მოუწევს თანამდებობის დატოვება. თვალწინ ყველას აქვს დანი ბლინდის წარუმატებელი მაგალითი. მით უფრო, რომ თავადაც არ იწვის სურვილით, განაგრძოს ეს სამუშაო. მას ახალგაზრდულ გუნდში დაბრუნება სურს. თითქოს იყო ლაპარაკი **ვან ბასტენის** დანიშვნაზე, მაგრამ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, განაცხადა რა, რომ ამ პირობას არანაირი კომპენსაციის ხათრით არ დათანხმდებოდა. ახლა ხშირად **მარტინ იოლის** კანდიდატურაზე საუბრობენ. ეს უკანასკნელი კი ჯერ მხოლოდ ფიქრობს.

კარლ-ჰაინც რუმენიგე სიტყვით გამოსვლისას

ბაიერნი. წლის საერთო კრება

ახალი ფინანსური რეკორდები

რუმენიგემ ჰიტცფელდს შერიგების ხელი გაუწოდა...

მარიალი, „ბაიერნს" სპორტული თვალსაზრისით ცოტათი უჭირს და შეიძლება ითქვას, რომ მცირე კრიზისშია, მაგრამ ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით გუნდის ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც გუნდის საერთო კრებამ, წელიწადში ერთხელ რომ ტარდება ხოლმე, კიდევ ერთხელ დაადასტურა. ამას გარდა, სხდომაზე გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** განაცხადა, რომ **ოტმარ ჰიტცფელდთან** არანაირი პრობლემა არ აქვს.

სხდომა, რა თქმა უნდა, რეკორდმაისტრის პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** გახსნა და პირველი მისალმების შემდეგ, განსაკუთრებული სალამი უძღვნა გუნდის მთავარ მწვრთნელ ჰიტცფელდს, რაც ერთობ გასაკვირი გახლდათ იმდენად, რამდენადაც ბეკენბაუერი წლის საერთო კრებებზე კონკრეტულ პიროვნებებს არასდროს ესალმება ხოლმე. ერთი სიტყვით, ეს მეგობრული და მშვიდობიანი ჟესტი იყო ჰიტცფელდისადმი, რომელიც ხუთშაბათის შემდეგ რუმენიგემ არაერთხელ გააკრიტიკა. ბეკენბაუერის ამ ჟესტს ტაში და ოვაციები მოჰყვა. კაიზერის შემდეგ კი ტრიბუნაზე ვიცე-პრეზიდენტი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე რუმენიგე ავიდა, რომელსაც აუდიტორიისთვის წლის ბალანსის გაცნობა და სპორტული წლის შეფასება ევალება ხოლმე.

საუბარი კალემაც ჰიტცფელდით დაიწყო და განაცხადა, ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი გუნდის მწვრთნელი ისევ ჩვენი მეგობარი ჰიტცფელდიაო. *„სამწუხაროდ, ბევრს გაუჩნდა ეჭვი, რომ მეოტმართან პრობლემები მაქვს. მინდა გითხრათ, რომ ეს მტკნარი სიცრუეა. ჩვენ მეგობრები ვართ და აი, სიმბოლურად ხელსაც გავუწვდი,"* – განაცხადა რუმენიგემ და ტრიბუნიდან ჰიტცფელდს ხელი მართლაც გაუწოდა, რასაც აუდიტორიის ტაში მოჰყვა.

რაც შეეხება კრების უმთავრეს საკითხს, გუნდის ფინანსურ მდგომარეობას: ამ მხრივ ბავარიული გიგანტი იდეალურ მდგომარეობაშია და რეკორდს რეკორდზე ამყარებს. 2006/2007 წლების სეზონში გუნდის ბიუჯეტმა 225.8 მილიონი ევრო შეადგინა, რაც „ბაიერნის" არსებობის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია. მოგება 18.9 მილიონით განისაზღვრა, საკუთარი კაპიტალი კი 175.9 მილიონით, რაც ასევე საუკეთესო მაჩვენებელია.

„მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესლიგაში ცუდად ვიასპარეზეთ და ვერც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, გუნდის არსებობის 107 წლიან ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელი გვქონდა. სწორედ ამიტომ გარისკა გუნდმა ისეთი ძვირადღირებული ფეხბურთელების ყიდვა, როგორებიც არიან ტონი, რიბერი და კლოზე," – განაცხადა ბავარიული გრანდის ფინანსების განმკარგველმა **კარლ ჰოპფნერმა.**

მიუხედავად ზემოთხსენებული ტრანსფერებისა, ბიუჯეტი 10.6 პროცენტით გაიზარდა, მოგება კი დაახლოებით სამჯერ. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნის" ბიუჯეტმა 100 მილიონიან ზღვარს პირველად 1997/98 წლების სეზონში გადააჭარბა.

ლუსიოს ოთხი მატჩი, ფლაუდრაფმა ჰანოვერი იუარა

ამასობაში, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ „ბაიერნის" ბრაზილიელ მცველ **ლუსიოს** ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შეგახსენებთ, რომ ლუსიო „შტუტგარტისა" და „ბაიერნის" მატჩის 70-ე წუთზე, შვაბი ფეხბურთელის სასტიკი მოცელვის გამო გააძევეს. ამრიგად, ბრაზილიელისთვის ბუნდესლიგის პირველი წრე დასრულებულია – ლუსიოს მოედანზე დაბრუნების უფლება მეორე წრის პირველ ტურში, თებერვალში, „ჰანზასთან" შეხვედრაში ექნება.

...და კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც მიუნხენურ კლუბს ეხება: ბავარიელთა 24 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **იან შლაუდრაფმა,** რომელიც რეკორდმაისტერში ზაფხულში აახენის „ალემანნიიდან" გადავიდა, "ჰანოვერში" არენდით წასვლაზე უარი თქვა. შლაუდრაფი „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ბოლო დროს მოყვარულთა გუნდში თამაშობს. სწორედ ამიტომ, „ჰანოვერის" თავკაცმა **დიტერ ჰეკინგმა,** რომელიც მას „ალემანნიაში" წვრთნიდა, იანის „ჰანოვერში" წაყვანა მოისურვა, მაგრამ ფეხბურთელისგან უარი მიიღო. შლაუდრაფი ამბობს, ჩემი მიზანი „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებაა. მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები მაინც არ გამორიცხავენ, რომ შლაუდრაფმა „ჰანოვერს" მიაშუროს, რადგან ფაქტია, რომ „ბაიერნში" მას შანსი არა აქვს, „ჰანოვერში" კი სათამაშო პრაქტიკა ექნება, რაც მის შანსებს, ითამაშოს ევროპის ჩემპიონატზე, მნიშვნელოვნად გაზრდის.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ტიერი ანრისთან

გაგიკვირდებათ და იტალიას ვქომაგობ

ანრისთვის ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონის გარეშე წარმოუდგენელია

ეს საინტერესოა

საფრანგეთის ნაკრების ბომბარდირები

ფეხბურთელი	პერიოდი	თამაში	გოლი
1. ტიერი ანრი	1997-?	95	43
2. მიშელ პლატინი	*1976-1987	72	41
3. დავიდ ტრეზეგე	1998-?	69	31
4. ზინედინ ზიდანი	1994-2006	107	31
5. ჟუსტ ფონტენი	1953-1960	21	30
6. ჟან-პიერ პაპენი	1986-1995	54	30
7. იური ჯორკაეფი	1993-2002	81	28
8. სილვენ ვილტორი	1999-2006	92	26
9. ჟან ვენსანი	1953-1961	46	22
10. ჟან ნიკოლა	1933-1938	25	21

საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის B ჯგუფში პირველ ადგილზეა და მხოლოდ ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი – სტუმრად უკრაინასთან. ფრანგებმა ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოიგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენის საფრთხე დაემუქრებათ. თუმცა ამ მხრივ საფრანგეთის ნაკრებს შედარებით მშვიდად ყოფნის საფუძველი აქვს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით იტალიის ნაკრებზე – დონადონის გუნდმა შოტლანდიაში არ უნდა ააგოს. ერთი სიტყვით, ჩვენს ჯგუფში, რომელიც მონტროში ჩატარებულ წილისყრაზევე სიკვდილის ჯგუფად მოინათლა, ძალიან დაძაბული ვითარებაა. გერმანულმა გამოცემა „კიკერმა“ ორშაბათის ნომერში ტიერი ანრის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ფრანგი ფორვარდი ამბობს, რომ შაბათს, შოტლანდიისა და იტალიის შეხვედრაში იტალიელებს უქომაგებს...

- მოსიე ანრი, თქვენს ნაკრებს მხოლოდ ერთი მატჩი დარჩა და ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩება. როგორ ფიქრობთ, დასაშვებია ის, რომ საფრანგეთმა უკრაინა ვერ დაამარცხოს?

- რა თქმა უნდა, დასაშვებია. ის, რაც ჯერ არ მომხდარა, არ მომხდარა და მორჩა – ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც ასე იქნება. ფაქტი ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზური ჯერ არ მოგვიპოვებია.

- მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას მერე, რაც შოტლანდიამ საქართველოში ააგო, არა მარტო იტალიელების, არამედ ფრანგების მდგომარეობაც გაცილებით გაუმჯობესდა...

- დიახ, ეს მართალია, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ჯერ არაფერი გარკვეულა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბოლო მატჩამდე და საერთოდ ბოლო წუთამდე კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან სერიოზული, კოლაფსის საფრთხე დაგვემუქრება. არასდროს არაფერი არაა გამორიცხული, სწორედ ამიტომ, უკრაინაში მაქსიმალური მობილიზება გვმართებს.

- შაბათს საფრანგეთის ნაკრები ისვენებს. შესაბამისად, თქვენ ლიდერის რანგში შეგიძლიათ ადევნოთ თვალი შოტლანდიისა და იტალიის გადამწყვეტ დაპირისპირებას. ეს მატჩი ალბათ ნებისმიერი ფრანგისთვის სასიამოვნო საყურებელი იქნება...

- დიახ, შეიძლება ასეც ითქვას. ფარერებთან და ლიტვასთან მოგებული მატჩების შემდეგ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა და ეს ძალიან სასიამოვნოა. ასე რომ, თამამად შეგვიძლია, შაბათს ტელევიზორებს განტვირთულები მივუსხდეთ და ვნახოთ, რა მოხდება გლაზგოში. ამ მატჩს მოუთმენლად ველი. სნორედ ამ შეხვედრის შემდეგ გვეცოდინება, თუ რა შედეგი დაგვჭირდება ოთხშაბათს, უკრაინაში.

- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება გლაზგოში?

- შესაძლოა, ვინმემ არ დაიჯეროს ან ჩემი სიტყვები სასაცილოდ არ ეყოს, მაგრამ დამიჯერეთ, შაბათს პირადად მე იტალიას ვუქომაგებ. მართალია, ახლაც მეხამუშა, ეს რომ ვთქვი, მაგრამ ასე იქნება: მე მაინც იტალიას ვუქომაგებ.

- რატომ?

- მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ჩვენ და იტალიელებს ერთმანეთისადმი მტრული დამოკიდებულება გვაქვს და მგონი, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. დიახ, მე არ მიყვარს „სკუადრა აძურა“, მაგრამ ბერლინის ფინალის შემდეგ ჩვენ იტალიელებს 4 ქულა ნავართვით და გარკვეულწილად შურიც ვიძიეთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონის გარეშე ძალიან რთული წარმოსადგენია და ესეც არ იყოს, იტალიის ნაკრები ის გუნდია, რომლის გარეშეც ევროპის ჩემპიონატი ევროპის ჩემპიონატი არ იქნება.

- ფარერებთან და ლიტვასთან გატანილი გოლებით თქვენ უდიდესი წვლილი შეიტანეთ იმაში, რომ საფრანგეთის ნაკრები დღეს ამ ჯგუფში ყველაზე მომგებიან სიტუაციაშია...

- ფარერებთან მოგება გარდაუვალი იყო და ეს ყველამ კარგად ვიცოდით. აი, ლიტვასთან კი ძალიან გაგვიჭირდა. ვიცოდით, რომ ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო და შესაბამისად, აშკარად ვნერვიულობდით. ძალიან ხშირად ვუყურებდი ტაბლოს და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვიძაბებოდი. ბოლოს უკვე სერიოზულად ვფიქრობდი, რომ ეს ჩვენი დღე არ იყო, რადგან რიბერიმ და მალუდამ ბურთი ძელს მოარტყეს, ხოლო ბენზემამ და გალასმა კი შესანიშნავი მომენტები გააფუჭეს. არ გვიმართლებდა: ბურთი ხან რომელიმე ლიტველის ფეხს ხვდებოდა, ხანაც ძელს...

- და თქვენ ანგარიში 79-ე წუთზე გახსენით...

- ძალიან გამიმართლა, რადგან საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი და ჩემი დარტყმა ზუსტი გამოდგა. ამ გოლმა უდიდესი სიხარული მომანიჭა და ყველანი გაგვათავისუფლა. სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი, ალბათ გახსოვთ, მინდორზე ზუსტად ისე გავსრიალდი, როგორც ამას „არსენალში“ ვაკეთებდი. დიახ, თქვენ ლიტვა ეძახეთ და ამ გუნდმა ძალიან გვანერვიულა.

- ამ ორი გოლით თქვენ საფრანგეთის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახდით და მიშელ პლატინის გაასწარით. რას ნიშნავს თქვენთვის ეს რეკორდი?

- პლატინის დარი გენიალური ფეხბურთელისთვის გასწრება, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მოვლენაა. სიმართლე გითხრათ, დღემდე არ მჯერა, რომ ეს ასეა. ყველამ მომილოცა, მეუბნებოდნენ, შენ შეუძლებელი მოახერხეო.

- როგორც გაირკვა, მატჩის შემდეგ, გასახდელში თქვენ სიტყვა წარმოთქვით...

- დიახ, ეს სიმართლეა. ისე მოხდა, როგორც ყოველთვის: ერთმანეთს ტაშს ვუკრავდით და გამარჯვებას ვულოცავდით. მე უბრალოდ მინდოდა, რომ ბიჭებისთვის მადლობა გადამეხადა და მათთვის მეთქვა, რომ ეს რეკორდი ჩემი პირადი დამსახურება კი არა, მთელი გუნდის დამსახურება იყო. მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ევროპის ჩემპიონატზე თამაშია.

- როცა დარწმუნდით, რომ რეკორდსმენი იყავით, პირველად ვინ გაგახსენდათ?

- პირველად მამაჩემი გამახსენდა – ის რომ არა, ასეთი ფეხბურთელი ვერასდროს გავხდებოდი. სხვათა შორის, ის მაისურა მამას ვაჩუქე. ბავშვობის მწვრთნელიც გამახსენდა და რა თქმა უნდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი დავიდ ტრეზეგეც. თამაშის წინ ტრეზეგემ ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა და პლატინის რეკორდის დამხობა მისურვა. ვისურვებდი, რომ დავიდი მალე დაბრუნდეს ნაკრებში. მის გვერდით თამაში მომენატრა.

- ამრიგად, საფრანგეთის ნაკრებში 43 გოლი გაქვთ გატანილი. რომელი გოლი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?

- პირველი ყოველთვის და ყველაფერი განსაკუთრებულია. ეს იყო მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მატჩი სამხრეთ აფრიკასთან - ჩემი დარტყმის შემდეგ ბურთი პიერ ისას მოხვდა და კარში გავიდა.

- და ყველაზე ლამაზი გოლი?

- 2002 წლის მატჩი მახსენდება, რომელშიც შოტლანდიას ვხვდებოდით და რომელიც 5:0 მოვიგეთ. შორეულ კუთხეში ძალიან ლამაზად დავარტყი. ასევე ძალიან ლამაზი იყო 2006 წლის მუნდიალზე, ბრაზილიის კარში გატანილი გოლი – ზიდანმა გენიალური პასი მომცა. მოკლედ, კარიერის დასრულების შემდეგ ჩემს გოლებზე უფრო დანვრილებით ვისაუბრებ. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამ გოლებით გუნდი იგებს.

გოტფრიდ ლენცი

ნავა მარიკა შტუტგარტიდან?

მას მერე, რაც ჩიპრიან მარიკა „შტუტგარტის“ ფეხბურთელი გახდა, დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ უკვე ისმის სპეკულაციები იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, რუმინელი თავდამსხმელი შვაბური კლუბიდან წავიდეს. „შტუტგარტმა“ მარიკა ზაფხულში, დონეცკის „შახტარიდან“ იყიდა და აღსანიშნავია, რომ 22 წლის რუმინელი VFB-ს არსებობის ისტორიაში ყველაზე ძვირფასი ფეხბურთელი გახდა, მაგრამ მან იმედები ვერ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე გუნდის ნომერ პირველი იმედგაცრუებაა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მარიკას ბუქარესტის „სტიაუა“ ეპატიჟება. რუმინულ კლუბს მისი არენდით აყვანა აქვს გადაწყვეტილი და მზადაა, მთელი ხელფასი (1.5 მილიონი) გადაუხადოს.

წინასწარი კონტრაქტი

შალკემ შტრაიტი დაიბეჭა

გელზენკირხენის „შალკემ“ მომავალი სეზონისთვის პირველი ტრანსფერი სრულყო: **ლევან კობიაშვილის** გუნდმა ბოლოს და ბოლოს მოახერხა და წინასწარი კონტრაქტი გაუფორმა ფრანკფურტის „აინტრახტის“ ნახევარმცველ **ალბერტ შტრაიტს**. 27 წლის მარჯვენა გარმარბის გადაბირება „ხუმარებს“ ჯერ კიდევ სეზონის წინ უნდოდათ, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა, რადგან ფრანკფურტულმა კლუბმა ძალიან დიდი თანხა მოითხოვა.

„დიახ, მე უკვე შევუთანხმდი „შალკეს“ ხელმძღვანელებს და მომავალი სეზონიდან გელზენკირხენში ვითამაშებ,“ – განაცხადა შტრაიტმა. „აინტრახტთან“ მას კონტრაქტი 2009 წლამდე კი აკავშირებს, მაგრამ ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც, 2008 წლის ზაფხულში შტრაიტს გუნდის დატოვება სულ რაღაც 1 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია. „შალკემ“ სწორედ ეს პუნქტი გამოიყენა და ამრიგად, გელზენკირხენელები ფრანკფურტელებს სწორედ 1 მილიონს გადაუხდიან.

ერთი სიტყვით, ტრანსფერი გადაწყვეტილია, მაგრამ „შალკეს“ ხელმძღვანელები მაქსიმალურად შეეცდებიან, რომ მათთვის სასურველი ფეხბურთელი ხელში უფრო ადრე, კერძოდ ზამთარში ჩაიგდონ. „ხუმარების“ პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** დაადასტურა, რომ „შალკეს“ შტრაიტის გადაბირება ახლავე უნდა. ამისათვის კობიაშვილის გუნდს მილიონზე გაცილებით მეტის გადახდა მოუწევს. თვითონ შტრაიტი ამბობს, რომ ამის შესახებ კლუბებმა უნდა მოილაპარაკონ.

„ალბერტი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ნახევარმცველია. მისი ძლიერი მხარე ძალიან სახიფათო ჩაწოდებები და საჯარიმო დარტყმებია. ამას გარდა, შტრაიტი ძალიან სწრაფია, ტექნიკური და ერთი სიტყვით, შემტევი ნახევარმცველისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს,“ – მომავალ შეგირდს აქებს „შალკეს“ თავკაცი **მირკო სლომკა**. აქვე გეტყვით, რომ ალბერტს ბუნდესლიგაში 94 თამაში აქვს ჩატარებული („ვოლფსბურგი“, „კიოლნი“, „აინტრახტი“) და 11 გოლი გაიტანა. მეორე ბუნდესლიგაში კი 83 თამაშში 4-ჯერ იხეირა.

დორტმუნდი

რიკენს კონტრაქტს გაუნყვეტენ...

1997 წელს მან დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოაგებინა, გაუტანა რა გენიალური გოლი ტურინის „იუვენტუსს“. მაშინ **ლარს რიკენი** 20 წლის გახლდათ და გერმანიაში სუპერტალანტად მიიჩნეოდა. ის მაინც ვერ გახდა დიდი ფეხბურთელი, მაგრამ ბოლომდე „დორტმუნდის“ ერთგულად დარჩა.

სეზონის წინ, BVB-ს მთავარმა მწვრთნელმა **თომას დოლმა** 30 წლის რიკენი მოყვარულთა გუნდში გადაიყვანა, პირველ გუნდში არ მჭირდებიო. მას მერე ლარსს მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ არ ნავიდა, მირჩევნია „დორტმუნდის“ ფორმა მეცვას, თუნდაც მოყვარულებში, ვიდრე „გლადბახისა“ პირველ გუნდშიო. ფაქტია, რომ რიკენს „ბორუსიის“ ძირითად გუნდში მოხვედრის შანსი აღარ აქვს და სწორედ ამიტომ, ის კლუბის ბოსებს ამა წლის 31 დეკემბერს პროფესიული კონტრაქტის განყვეტაზე შეუთანხმდა. ამრიგად, ხსენებული დღიდან რიკენი BVB-ს ფეხბურთელი აღარ იქნება, ხოლო 2008 წლის 1 იანვრიდან კი, კლუბის მარკეტინგის განყოფილებაში დაიწყებს მუშაობას. ამას გარდა, რიკენი დარჩება მოყვარულთა გუნდში და „ბორუსია II“-ს სეზონის ბოლომდე დაეხმარება.

„მიხარია, რომ ჩემს გუნდში ვრჩები, მაგრამ კარს მაინც ღიას ვტოვებ და თუ „დორტმუნდს“ ოდესმე დავჭირდები, მზად ვარ, ისევ გავაფორმო კონტრაქტი. ან იქნებ უცხოეთიდან მქონდეს კარგი წინადადება,“ – განუცხადა რიკენმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ბარსელონა. ახალი ამბები კატალონიელთა ბანაკიდან

რაიკაარდს ვადა 22 დეკემბრამდე მისცეს

კაპელო, მოურინიო, ვან გასტენი, თუ კლემენტე?

ბოლო დღეებია, მუდმივად "ბარსელონის" პრობლემებზე საუბარი გვიწევს. საამისო მიზეზი რა თქმა უნდა, კატალონიური გრანდის ნარუმატებელი თამაშია. სიტუაცია განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ფრანკ რაიკაარდის ბიჭებმა "ხეტაფესთან" ამაზრზენად ითამშეს და 0:2 წააგეს. წაგებაცაა და წაგებაც, მიმომხილველებმა სრულიად სამართლიანად აღნიშნეს, რომ მადრიდელებმა "ბარსელონა" აბსოლუტურად ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. მსოფლიო ფეხბურთის გრანდმა ვერაფერი გააკეთა. ამ გარემოებას გუნდში დიდი დაძაბულობა მოჰყვა. ესპანურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, რაიკაარდს წყალი შეუდგა. დიახ, მისი მომავალი ეჭვქვეშაა.

ფრანკ რაიკაარდს წყალი შეუდგა

გემახსოვრებათ, მსგავსი რამ სეზონის დასაწყისში ერთხელ უკვე მოხდა, თუმცა მაშინ "ბარსამ" ზედიზედ სამი თამაში მოიგო და საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. როგორც ხედავთ, მხოლოდ დროებით. რაიკაარდის ბიჭები კვლავ არასტაბილურად ასპარეზობენ, რაც ჰაერივით საჭირო ქულების უმნიშვნელო ფლანგვას განაპირობებს. ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან შეშფოთებულია და გამოსავალს ეძებს. დირექტორატთან დაახლოებული პირების თქმით, **ჩიკი ბეგირისტაინი** და **ჟოან ლაპორტა** სამშაბათს ორი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა ერთი-ერთზე თათბირობდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ მათ გაიგეს, რომ პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი მთავარი მწვრთნელისთვის ახალი ულტიმატუმის წაყენებას აპირებენ. თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, რაიკაარდთან კონტრაქტს ვადამდე განწყვეტენ.

დირექტორატის მაღალჩინოსნებს აინტერესებთ, როგორი რეაქცია მოჰყვება მათ მკვახე სიტყვებს. ეს სიტყვები კი შემდეგში მდგომარეობს: ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელს 2007 წელს ჩასატარებელი შეხვედრებიდან სამი ყველაზე რთული მატჩის მოგება მოსთხოვა, იგულისხმება "ესპანიოლი", "ვალენსია" და "რეალი". იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თამაშში "ბარსა" ქულას დაკარგავს, ჰოლანდიელ სპეციალისტს სამსახურიდან გაუშვებენ. აქედან გამომდინარე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რაიკაარდს 22 დეკემბრამდე მისცეს ვადა. გამორიცხული არ არის, მან მანამდე დაკარგოს თანამდებობა, თუმცა გულშემატკივრებსა და გუნდის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ საქმე ამდენად არ გართულდება, "ბარსა" ყველა მატჩს მოიგებს და რაიკაარდი მუშაობას გააგრძელებს.

მოარული ხმების თანახმად, ლაპორტას ბატონი ფრანკის შესაძლო შემცვლელებზე მკაფიო წარმოდგენა აქვს. ამბობენ, ის **მარკო ვან ბასტენთან, ფაბიო კაპელოსთან, ხავიერ კლემენტესა** და **ჟოზე მოურინიოსთან** აწარმოებს მოლაპარაკებებს. სხვათა შორის, "ხეტაფესთან" მატჩში კაპელოს საპატიო ლოჟაში გამოჩენას სპეკულაციების უდიდესი ტალღა მოჰყვა. ხალხი ფიქრობს, რომ იტალიელი სპეციალისტი მიზნობრივად ტაპატიჟეს, რათა გუნდის ამჟამინდელმა დამრიგებელმა ზურგს უკან დონ ფაბიოს სუნთქვა იგრძნოს. გამოგიტყდებით, ჩვენთვის რაიკაარდისადმი ასეთი დამოკიდებულება ძნელად დასაჯერებელია. არ გვგონია, ლაპორტა იმდენად პრიმიტიული ადამიანი იყოს, მწვრთნელს ასე უპატივცემულოდ მოეპყროს. თუმცა წამყვანი ესპანელი მიმომხილველები თავდაჯერებით წერენ, რომ პატივცემულ ფრანკს ცხოვრება დღითი-დღე კიდევ უფრო გართულდება. ჰოლანდიელმა დირექტორატის უდიდესი ნაწილის ნდობა დაკარგა. ისინი ფიქრობენ, რომ მწვრთნელს წინსვლისა და განვითარების ეფექტური გეგმა არ გააჩნია. მისი ხედვა ძველმოდური და მოძველებულია. დირექტორებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე ფეხბურთი საოცრად სწრაფად ვითარდება, იცვლება და რაიკაარდი ამ დინამიკას ვერ მიჰყვება. უდავოა, მხოლოდ "კამპ ნოუზე" მოპოვებული ქულებით კმაყოფილი ვერავინ იქნება.

გუშინ გვიან ღამით "დიარიო სპორტში" ლაპორტას მოკლე განცხადება გამოქვეყნდა. ალბათ, უკეთესი იქნება, თუ პრეზიდენტის სიტყვებს სტილის დაცვით შემოგთავაზებთ: *"შეშფოთებული ვარ. ცხადია, გულგრილი ვერ ვიქნები იმ ყოველივეს მიმართ, რაც გუნდში ხდება. ძალიან ბევრ ქულას კარგავთ. ჩვენ დიდი მიზნები გვაქვს და ვშიშობ, რომ თუ ასე გავაგრძელებთ სეზონის ბოლოს სერიოზულ პრობლემებს წავაწყდებით. მიუხედავად ყველაფრისა, არ მინდა იფიქროთ, რომ რაიკაარდს პრესინგში ვამყოფებთ. ხელმძღვანელობა მზადაა ყველანაირად დაეხმაროს მათ, რათა რთული სიტუაცია უახლოეს მომავალში გამოსწორდეს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ უსასრულოდ არაფერი გრძელდება. თითოეული ჩვენგანის ბედი ჩვენს მიერვე შესრულებულ სამუშაოზეა დამოკიდებული. თუ საქმეს კარგად ვერ გავაკეთებთ, საზოგადოების ნდობას დავკარგავთ. ეს კი ჩვენი ხელისუფლების დასასრული იქნება. მჯერა, საქმე აქამდე არ მივა. ახლა ყველა ერთად უნდა დავდგეთ და "ბარსელონას" სტაბილურობა დავუბრუნოთ. მიმაჩნია, რომ ტაქტიკა უნდა შეიცვალოს. ალბათ, სტუმრად უფრო ფრთხილად უნდა ვიასპარეზოთ. მაგალითად, 4-3-3 ნაცვლად 4-4-2 უფრო მართებულად მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, თუ გასვლით შეხვედრებს არ მოვიგებთ, ჩემპიონები ვერ გავხდებით. ამას კი ვერავინ შეეგუება."*

მართალია, ლაპორტას არ უთქვამს, რაიკაარდს 22 დეკემბრამდე მივეცით ვადაო, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ პრეზიდენტი უკმაყოფილოა და ღიად მიგვანიშნებს, რომ უსასრულოდ არაფერი გრძელდება. სხვათა შორის, ლაპორტა ამგვარ განცხადებას ყოველთვის ერიდებოდა. როგორც ჩანს, საზოგადოების უკმაყოფილებამ მასზე სერიოზული გავლენა მოახდინა.

გუშინ "ელ პერიოდიკოში" **იოჰან კრუიფის** სვეტი გამოქვეყნდა. რა თქმა უნდა, ლეგენდარული ჰოლანდიელი როგორც ყოველთვის "ბარსელონაში" მიმდინარე მოვლენებს შეეხო. მის მოსაზრებასაც სტილის დაცვით გაგაცნობთ: *"ეს სტატია 15 დღის წინ, "ვალიადოლიდთან" მატჩის წინ რომ გამოქვეყნებულიყო, განსხვავებას ვერ დაინახავდით. უბრალოდ, მხოლოდ განსხვავებული გუნდების სახელები გენიშნებოდათ. ახლა "ხეტაფესთან" განცდილ კრახზე ვმსჯელობთ, მაგრამ განა "ვალიადოლიდთან" უკეთესი რამ ვიხილეთ? არადა, მას შემდეგ 15 დღე გავიდა და აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა, თუმცა არც ესაა ყველაზე დიდი პრობლემა. გუნდმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. "ხეტაფესთან" მატჩში "ბარსელონამ" ყველა ის შეცდომა გაიმეორა, რომელიც გასული სეზონიდან იმ დღის ცათვლით გასვლით პაექრობებში დაუშვია. პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად ეკისრება, იქნება ეს მთავარი მწვრთნელი, თუ ფეხბურთელი. მათ აუცილებლად უნდა გაანალიზონ ეს თამაში და სწორი დასკვნები გამოიტანონ. ვიმეორებ, "ხეტაფესთან" "ბარსელონამ" ბოლო ნლინახევრის განმავლობაში დაშვებული შეცდომები ერთად დაუშვა. ანუ წარსულში გასვლაზე წაგებულ თითოეულ თამაშს საკუთარი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ამ ბოლო ბიასკომ ყველა ის მიზეზი საკუთარ თავში გააერთიანა. ეს ამაზრზენი სანახაობა იყო. "ბარსელონას" შეცდომის უფლება აღარ დარჩა. მიმაჩნია, რომ გუნდი უფრო გაბედული და თავმოყვარე უნდა გახდეს. ნახევარდაცვამ ათი მეტრით წინ უნდა წაინიოს, სათამაშო რგოლები უფრო უნდა შედუღაბდნენ. თუმცა თუ გუნდმა მოძრაობა და სირბილი არ დაიწყო ყველაფერი ფუჭი იქნება. ამ შემთხვევაში "ბარსას" არანაირი ტაქტიკა არ უშველის. თამაშის განმავლობაში ერთი ორი დრიბლინგი არც სირბილია და არც მოძრაობა. "ბარსა" ბურთს დროის 60 პროცენტის განმავლობაში ფლობს, მაგრამ ამ გასაოცარ უპირატესობას ხშირად ვერ იყენებს. საკმარისია, მათ ბურთი დაკარგონ, იმავე წამს კოშმარი იწყება. რონალდინიომ უნდა ირბინოს, ახლა ის სეირნობს. მესის მეტი დახმარება სჭირდება. თავად ლეომაც მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს და დაცვას მაქსიმალურად დაეხმაროს. ეს არ არის იოლი, მაგრამ საჭიროება მოითხოვს, რომ მესიმ ფლანგი გააკონტროლოს. არ შეიძლება "კამ ნოუსა" და გასვლითი შეხვედრების "ბარსელონა" არსებობდეს. პრინციპში მსგავსი რამ არც არსებობს. გუნდი საშინაო მატჩებსაც არადამაჯერებლად ატარებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ "კამპ ნოუზე" ჩამოსული გუნდები შიშის თანხლებით თამაშობენ. მოკლედ, თუ სასწრაფო ცვლილებებს ვერ ვიხილავთ, "ბარსელონა" ყველა ტიტულის მოპოვების შანსი დაიკარგება."*

ამასობაში, კატალონიურ გრანდს უცხოეთშიც შეუტიეს. ფრანგულმა "ლე მონდმა" სკანდალური სტატია გამოაქვეყნა, სადაც წერია, რომ "ბარსელონა" მადრიდის "რეალთან", "ვალენსიასა" და "ბეტისთან" ერთად ავადსახსენებელ **ეუფემიანო ფუენტესთან** თანამშრომლობდა. შეგახსენებთ, ესპანელ ექიმს ველოსპორტში დოპინგის გავრცელებაში ადანაშაულებენ. "ლე მონდი" სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ "ბარსას" მესვეურებმა ფუენტესს სერიოზული ფული გადაუხადეს იმისთვის, რათა მას კლუბის ექიმებისთვის დოპინგის მიღების ინსტრუქციები მიეცა. ფრანგულმა გაზეთმა ინფორმაციის წყაროს გამხელისგან თავი შეიკავა, რადგან თურმე მას სიკვდილით ემუქრებიან.

დაგვეთანხმებით, უსერიოზულესი ბრალდებაა. ბუნებრივია, კატალონიელები ამ გამოხდომის მიმართ გულგრილნი ვერ დარჩებოდნენ. ჩიკი ბეგირისტაინმა სკანდალურ სტატიასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა: *"ლე მონდმა" უდიდესი შეურაცხყოფა მოგვაყენა. ეს გაუგონარი ცილისწამებაა. დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გარეშე გვაბრალებენ, რომ ფეხბურთელებს დოპინგს ვაძლევდით. რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ, ეს მოვითმინოთ. საკუთარ უფლებებს ბოლომდე დავიცავთ. უახლოეს დღეებში დანაშაულის დაბრალებისთვის სასამართლოში სარჩელს შევიტანთ. ამ სტატიის გამო სერიოზული ზიანი მოგვადგა. ამას დავამტკიცებთ და "ლე მონდს" 3 მილიონ ევროს მოვუგებთ. კარგად გვესმის, რომ სიტყვის თავისუფლება ხელშეუხებელია, მაგრამ იმას, რაც ფრანგულმა გაზეთმა გაკეთა თავისუფალ სიტყვასთან არაფერი აქვს საერთო. ეს დანაშაულის დაბრალებაა. ჩვენ კი კანონი არ დაგვირღვევია. ადვოკატები სარჩელის მომზადებაზე მუშაობენ. უახლოეს დღეებში დოკუმენტი მზად იქნება და სასამართლოში წავალთ."*

როგორც ხედავთ, "ბარსას" პრობლემები ყოველი მხრიდან დაუგროვდა. გულშემატკივრები ძალიან ღელავენ, თუმცა დარწმუნებულები არიან, ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერს მოუვლიან და პირენეული გრანდი ჩვეულად ათამაშდება.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

პედიამ ახალი მესი იპოვნა

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელები **ლიონელ მესის** ნიჭითა და ულამაზესი თამაშით აღფრთოვანებას არ მალავენ, თუმცა ამავდროულად აცნობიერებენ, რომ არგენტინელის გადაბირების არანაირი შანსი არ გააჩნიათ. არადა, **რამონ კალდერონსა** და **პრედრაგ მიატოვიჩს** ძალიან უნდათ, რომ მესის კლასის ფეხბურთელმა "სანტიაგო ბერნაბეუზეც" ითამაშოს. მადრიდელებმა გასული თვეები გამალებულ სასელექციო მუშაობაში გაატარეს და გუშინ გულშემატკივრებს ახარეს, რომ შესანიშნავ შედეგს მიაღწიეს. *"რეალმა" ახალი მესი აღმოაჩინა"* - აცხადებს პრედრაგ მიატოვიჩი. საუბარია 15 წლის ბრაზილიელ **კუტინიოზეა**. თინეიჯერი სამხრეთამერიკელი "ვასკუ დე გამას" აღზრდილია. ის ახლაც ამ გუნდის საყმაწვილო კოლექტივში თამაშობს. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ კუტინიო უნიჭიერესია და უდიდესი მომავალი ელის. მიატოვიჩი "ვასკუ დე გამასთან" მოლაპარაკებას პირადად აწარმოებს. გენერალური დირექტორი დარწმუნებულია, რომ უახლოეს დღეებში ბრაზილიელ კოლეგებთან შეთანხმებას მიაღწევს და პატარა ფეხბურთელს სამეფო კლუბის სკოლაში მიაბარებს.

"რეალი" კიდევ ერთი მარგალიტისთვის იბრძვის. "პორუ ალეგრეს" აღსაზრდელის **ფელიპეს** გადაბირება ერთბაშად რამდენიმე ევროპულ გრანდს სურს. თავად განსაჯეთ, 14 წლის ბიჭუნაში მილიონების გადახდის მზადყოფნას ისეთი გუნდები გამოთქვამენ, როგორებიც "ბარსელონა", "მილანი", "ინტერი" და "მანჩესტერ იუნაიტედია". კონკურენცია მართლაც უდიდესია, მაგრამ მიატოვიჩი გვარწმუნებს, რომ სამეფო კლუბი ფელიპესთვის ბრძოლაში სერიოზულ უპირატესობას ფლობს. გენერალურ დირექტორს თუ დავუჯერებთ, ყმანვილის მამა "რეალის" სტაჟიანი ფანია და სხვა გუნდების სახელის გაგონებაც არ სურს. სავარაუდო სატრანსფერო თანხად, 4 მილიონი ევრო სახელდება.

უსტარი იჯარით გაშვებას ითხოვს

მიმდინარე სეზონის დაწყების წინ "ხეტაფეს" ხელმძღვანელობამ **ოსკარ უსტარი** დიდი ზარ-ზეიმით გადაიბირა. ახალგაზრდა არგენტინელ გოლკიპერს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და მისი შეძენა "ხეტაფეს" წარმატებად ჩაუთვალეს... თუმცა გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა გოლკიპერის არსებობა პრობლემად იქცა. საქმე ის არის, რომ ძირითადი შეკრე **რობერტო აბონდანსიერი** იმდენად კარგად თამაშობს, რომ უსტარის შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი არ ეძლევა. უთამაშებლობა კი ოსკარისთვის უდიდესი საფრთხეა. მისი კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე კლუბის ხელმძღვანელობამ საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებაზე მუშაობა დაიწყო. მოსალოდნელია, რომ არგენტინელი, რომელიმე პრიმერადივიზიონურ გუნდში გააგრძელებს კარიერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები NBA-ში

ფაჩულია თუ პარფორდი? ფაჩულია და პარფორდი!

„ატლანტა ჰოქსის" ქართველმა ცენტრმა **ზაზა ფაჩულიამ** NBA-ს წლევანდელ სეზონში პირველად ითამაშა. NBA-ში მის დაბრუნებას ჯორჯიულმა გაზეთმა „ჯორნალ კონსტიტუშენმა" მცირე პუბლიკაცია უძღვნა. დარწმუნებულნი ვართ, ამ სტატიის თარგმანი ევროპელ ჯორჯიელებსაც დააინტერესებთ.

ამჯერად სტატიის (რომლის სათაურია „ფაჩულია წინსვლისთვის მზადაა") ავტორად არა **სეკუ სმიტი**, არამედ **კაროლ როჯერსი** გვევლინება.

ბავშვისთვის პირველი ნაბიჯის გადადგმა განსაკუთრებით მაშინაა რთული, როცა 49 ზომის ფეხსაცმელი აცვია. თუმცა 212 სმ. სიმაღლის ზაზა ფაჩულია მზადაა ტრავმის შემდეგ ყველაფერი ახლიდან დაიწყოს და „ატლანტას" ძირითად შემადგენლობში თამამად შეაბიჯოს.

მან მუხლი და იდაყვი 18 ოქტომბერს დაიზიანა, რის გამო 3 კვირა გაუცდა და პირველი მატჩი კვირას „ვაშინგტონის" წინააღმდეგ ითამაშა, 7 წუთში 2 ქულა და 3 მოხსნა გაიფორმა. შეხვედრის მეორე დღეს, „ჰოქსის" ვარჯიშზე მან ხმამაღლა გამოაცხადა - არანაირი ტრავმა არ მაწუხებს და სათამაშოდ 100 პროცენტით მზად ვარო.

„ყველაფერი კარგადაა, არც მუხლში და არც იდაყვში ტკივილს არ ვგრძნობ. სრულიად ჯანმრთელი ვარ. ერთადერთი პრობლემა სათამაშო დროა, რადგან სამი კვირა გამიცდა და გუნდის სქემებში სათანადოდ დასაბრუნებლად დროა საჭირო." - განაცხადა ორშაბათ საღამოს ზაზა ფაჩულიამ.

რამდენად კარგ ფორმაშია ზაზა და რა ოდენობის სათამაშო დროს იმსახურებს, ამას დღეს „შარლოტ ბობქეთსთან" მატჩში ვნახავთ. ამასობაში „ატლანტას" ახალწვეული **ელ ჰარფორდი** ზაზას ნაცვლად გუნდის სასტარტო შემადგენლობაშია და ოქტომბრის შედეგების მიხედვით საუკეთესო ახალწვეულად დასახელდა. მისი მონაგარი ასე გამოიყურება: საშუალოდ 8.5 ქულა, 10 მოხსნა, 1.3 დაფარება.

ქართველი ცენტრის ტრავმამ გუნდის თავკაცს **მაიკ ვუდსონს** იოლი პასუხი მისცა კითხვაზე - სად უნდა ითამაშოს ელ ჰარფორდმა. ახალწვეულმა მწვრთნელს უჩვენა, რომ კარგად შეუძლია როგორც ცენტრის, ასევე მძიმე ფორვარდის ფუნქციების შესრულება. ასე რომ, მისი გამოყენება შეიძლება როგორც ფაჩულიას, ასევე **ჯოშ სმიტის** შემცვლელად.

„ჰარფორდი ბევრი ახალგაზრდასგან განსხვავებით მშვიდი კალათბურთელია, როცა საჭირო არაა, არ ჩქარობს. ფიზიკურად ძლიერი და საიმედოა." - ასე ახასიათებს ელს მაიკ ვუდსონი.

...მაგრამ მწვრთნელი ასევე უარყოფს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ჰარფორდის კარგი გარჯა ზაზა ფაჩულიას სათამაშო დროს მოაკლებს. „ჰოქსის" თავკაცს ჯერ არ გადაუწყვეტია, „შარლოტის" წინააღმდეგ სასტარტო ხუთეულში ზაზა დააყენოს, თუ ელი:

„სათამაშოდ ყველა მზად უნდა იყოს. ამჟამად ნაკლებად მაფიქრებს ვინ დაიწყებს თამაშს, უფრო ის მაღელვებს, „შარლოტთან" ვინ გამამარჯვებინებს. დამწყებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, მათი ვინაობა, ვინც მატჩს დაასრულებს, სწორედ მათზე იქნება ბევრი რამე დამოკიდებული."

მაიკ ვუდსონი ელ ჰარფორდს ზაზა ფაჩულიას უშუალო კონკურენტად არ მიიჩნევს, რადგან მისი აზრით, ელი უფრო მძიმე ფორვარდია, ვიდრე ცენტრი:

„ჰარფორდს ცენტრად თამაში რომ შეუძლია, ამაში უკვე დამარწმუნა, მაგრამ მისი ნატურალური ამპლუა ფორვარდია. ზაზა ფაჩულიას გუნდში დაბრუნება საშუალებას მოგვცემს ელი უკან, მეოთხე ნომრად დავწიოთ, საჭიროების შემთხვევაში კი ცენტრადაც გამოვიყენებთ."

მწვრთნილის სიტყვების დასტური ორშაბათის ვარჯიში იყო - იგი ზაზასა და ჰარფორდს გვერდიგვერდ ათამაშებდა და აშკარა იყო, რომ ურთიერთგაგების მხრივ პრობლემა არ ჰქონდათ. საინტერესო იყო მათი დაცვითი თამაშის ხილვა: ფაჩულია ფარქვეშ იდგა და კალათს იცავდა, ხოლო, ჰარფორდი საჯარიმოს გარე ზოლს აკონტროლებდა და სამქულიანი ტყორცნის უფლებას არავის აძლევდა.

„მწვრთნელის გადაწყვეტილება მისასალმებელია - მე და ელი ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ და მოედანზე ერთურთს ვეხმარებით. ვფიქრობ, მწვრთნელის ეს იდეა რეგულარულ ჩემპიონატში შედეგს გამოიღებს." - აცხადებს ზაზა, რომელიც ქულათა საშუალო მაჩვენებელს ყოველწლიურად აუმჯობესებს. შარშან იგი მატჩში 12.2 ქულას აგდებდა. მწვრთნელ, მაიკ ვუდსონს იმედი აქვს, რომ ქართველი ამ მაჩვენებელს წელს კიდევ უფრო გაზრდის.

„ჩვენ დიდ გუნდს ვაშენებთ. ზაზა ფაჩულია კი ამ მშენებლობის ნაწილია. მის თამაშზე ბევრია დამოკიდებული, ამიტომ სეზონის საწყის ხუთ შეხვედრაში ზაზა ძალიან გვაკლდა. მოხარული ვარ, რომ იგი მალე გამოჯანმრთელდა. ახლა წინა ხაზში პრობლემები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს." - ასე დაასრულა ფაჩულიაზე საუბარი „ატლანტა ჰოქსის" მთავარმა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა."

მოამზადა
ვახტანგ ტყეშელაშვილმა

რუსთავის აზოტი

ნეტავ რივერსი დაბრუნდებოდეს...

გასულ კვირას რუსთავის „აზოტმა" ევროთასზე გამოსვლა დაასრულა. ქვემოქართლელებმა ჰოლანდიის „ამსტერდამთან" საკვალიფიკაციო ეტაპის ორივე მატჩი წააგეს და მეორე ეტაპისკენ მიმავალი გზა ნიდერლანდელებს დაუთმეს.

„აზოტის" ევროპული ვოიაჟის შესახებ უახლოეს დღეებში ერთ სტატიას კიდევ გამოვაქვეყნებთ, ახლა კი ქართველთა მთავარი მწვრთნელის, დავით უსტიაშვილის შეხედულებას გაგაცნობთ. იგი საუბრობს როგორც ევროთასის ორი მატჩის, ასევე „აზოტის" მომავლის შესახებ.

ამჟამად მთავარი **ბელტონ რივერსის** საკითხია. ამ ამერიკელის სანახავად სპორტის სასახლესა და რუსთავის დარბაზში სპეციალურად მოდიოდნენ ქომაგები. რივერსის საქართველოში დარჩენა ქართულ კალათბურთს დიდ სამსახურს გაუწევდა, მაგრამ...

„ბელტონთან წინასწარი შეთანხმების მიხედვით, იგი საქართველოში მანამ დარჩებოდა, სანამ „აზოტი" ევროთასზე იასპარეზებდა. სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებას პირველივე ეტაპიდან გამოვემშვიდობეთ და რივერსის გაჩერების უფლებაც არ გვქონდა. მას ესპანეთიდან და საფრანგეთიდან ჰქონდა მიწვევები და, ალბათ, ამ სეზონს რომელიმე წამყვან ევროპულ ქვეყანაში ჩაამთავრებს." - გვითხრა დავით უსტიაშვილმა და იქვე დასძინა, ბელტონი საქართველოდან კმაყოფილი წავიდა და თუ ევროპის რომელიმე კლუბში ვერ დამკვიდრდა, შეიძლება მოგვიანებით კვლავ შემოგვიერთდესო. ...მაგრამ ამისი თავად მწვრთნელსაც ნაკლებად სჯერა და ჩვენც, იმიტომ რომ მინიმალურია შანსი რივერსის დონის კალათბურთელზე რომელიმე საშუალო დონის ფრანგულმა კლუბმა უარი თქვას. მისი თამაშის შემხედვარე, ბევრს გაუჩნდა აზრი - ტაირონ ელისის ნაცვლად ნაკრებში რივერსი ხომ არ მოვიწვიოთო. დავით უსტიაშვილი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია და რივერსის ელისთან შედარების საკითხში მასზე კომპეტენტური არავინაა:

„ორივე კარგი კალათბურთელია. რიგ ეპიზოდებში რივერსმა უმაღლესი დონის თამაში გვიჩვენა. იგი ძლიერია როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდური თვალსაზრისით. თუმცა, ვერ ვიტყვი რომ 23 წლის ბელტონი ნაკრებისთვის ელისზე სასარგებლო იქნება, რადგან ტაირონს ზურგს ევროპულ კალათბურთში მიღებული გამოცდილება უმაგრებს, უთამაშია როგორც გერმანიაში, ასევე იტალიასა და ესპანეთში. ბელტონ რივერსს კი ევროპაში თავისი შესაძლებლობები დასამტკიცებელი აქვს."

რამდენადაც ვრცლად შეიძლება საუბარი რივერსზე, იმდენად არაფერია სათქმელი „აზოტის" მეორე ამერიკელ ახალწვეულზე **ანვარ ფერგიუსონზე**. დავით უსტიაშვილი დანანებით აღნიშნავს, რომ ანვარის სხვა ცენტრით ჩასანაცვლებლად დრო არ ჰქონდა. ფერგიუსონი ფარქვეშ ვერაფრით დაგვეხმარა და გუნდიდან საპასუხო მატჩის წინ დავითხოვეთ. უკეთესი ცენტრი რომ გვყოლოდა, მეტოქე 20-ით მეტ მოხსნას არ გააკეთებდა და თბილისში „ამსტერდამის" დამარცხებაც შესაძლებელი იქნებოდაო.

„ფარქვეშ აშკარად გაგვიჭირდა. ორივე მატჩიც წავაგეთ, მაგრამ ბიჭებს ვერ ვუსაყვედურებ, რადგან მათ ყველაფერი გაილეს იმისთვის, რომ „აზოტი" ევროთასზე ღირსეულად გამოსულიყო. პირველ მატჩში მეტოქეს არაფერი დავუთმეთ და ბოლო წუთებამდე გამარჯვების შანსს ვინარჩუნებდით. ამსტერდამში მასპინძლებს საწყისი სამი პერიოდის განმავლობაში ვებრძოლეთ, მაგრამ ბოლოს ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც იქონია გავლენა, გადავიღალეთ კიდეც და ჰოლანდიელებს დიდი სხვაობით გამარჯვების საშუალება მივეცით." - იხსენებს „აზოტის" მწვრთნელი.

გასვლით შეხვედრას გუნდის ხელმძღვანელობაც ესწრებოდა, შედეგით შეიძლება უკმაყოფილო, მაგრამ კალათბურთელებს თავდადებული ბრძოლით კმაყოფილი დარჩა. იმედია, ეს მათ სტიმულს მისცემს და გაისად ევროთასზე გაცლებით უკეთეს „აზოტს" ვიხილავთ.

მანამდე კი საქართველოს ჩემპიონატია, რომელშიც რუსთაველები ერთადერთი ლეგიონერით იასპარეზებენ. მათ სერბი **იოვან სტეფანოვი** სეზონის ბოლომდე დაეხმარებათ. დავით უსტიაშვილს ვკითხეთ, ბელტონ რივერსის გარეშე შიდა პირველობაზე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ხომ არ გაგიჭირდებათ-თქო? „აზოტის" თავკაცმა მშვიდად მოგვიგო:

„დუდუ დადიანის მემორიალზე ბელტონის გარეშე ვითამაშეთ. თან გადამწყვეტ მატჩში ნამგზავრმა სტეფანოვმა ითამაშა და ჩემპიონობა მაინც არავის დავუთმეთ. არც საქართველოს ჩემპიონის ტიტულის დათმობას ვაპირებთ, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებთ, რომ სხვა გუნდებიც გაძლიერდნენ და იოლი გასეირნება არავის ელის."

ვაჟა სიმონიშვილი

ამსტერდამი-აზოტი. საპასუხო მატჩი

სამგო



უშანგი კუზანაშვილი



მირიან პავლიაშვილი



ლევან წიკლაური



ზვიად ჩინჩალაძე



კახა მამულაშვილი

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. პრესკონფერენცია

უშანგი, მირიანი და ჯიუტი მინდია

ქართველმა სამბისტებმა წარმატებით იჭიდავეს პრაღაში ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოინადავლეს. მსოფლიო ჩემპიონები **უშანგი კუზანაშვილი** (52) და **მირიან პავლიაშვილი** (100) გახდნენ. **ლევან წიკლაურმა** (72) და **ზვიად ჩინჩალაძემ** (მძიმე) მხოლოდ ფინალური შეხვედრები დათმეს, ბრინჯაო კი **კახა მამულაშვილმა** (74) მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მესამე ადგილზე გავიდნენ. გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე სამბისტთა ნაკრების თავკაცმა **ოლეგ იაძემ** შეგვახსენა, რომ პრაღაში წასვლამდეც 5-6 მედლის, მათ შორის, 2 ოქროს მოპოვებას გეგმავდა, ამდენად, ნაკრების გამოსვლით კმაყოფილია.

კუზანაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი მონგოლ **ამავტურშინ დაშდვაასთან** და აზერბაიჯანელ **ისლამ გასიმოვთან** დამაჯერებელი გამარჯვებებით ფინალში გავიდა. იქ მისთვის უხერხული მეტოქე ელოდა - რუსი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ბესლან მუდრანოვი**, რომელთანაც რამდენჯერმე წაუგია. ორი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, კუზანაშვილი მუდრანოვს მოუგებს, არასერიოზულად აღვიქვამდით, რადგან რუსი უფრო ახალგაზრდაცაა და კარგად მომზადებულიც, მაგრამ ნამდვილად მისაბაძია და პროფესიონალური მიდგომის ნიმუში, რაც ამ ორ წელიწადში კუზანაშვილმა იშრომაო, აღნიშნა იაძემ. კუზანაშვილს შრომა დაუფასდა და ამჯერად მუდრანოვს ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა მოუგო.

იაძემ ჩეხეთში წასვლამდე გამართული პრესკონფერენციიდან კიდევ ერთი სიტყვები გაგვახსენა, ამჯერად პავლიაშვილთან დაკავშირებით - იგი ან მსოფლიო ჩემპიონი გახდება, ან ვერაფერსაც ვერ იზამსო. საბედნიეროდ, მისი სიტყვები კარგი მხრიდან ახდა და პავლიაშვილი მსოფლიო ჩემპიონად დაგვიბრუნდა. იგი ძალიან ძლიერი მოჭიდავეა და განსაკუთრებულად ლამაზი სტილითაც გამოირჩევა. ერთ სიამოვნებად ღირს, რომ იგი ქართულს ჭიდაობს, თუმცა - სამბოშიც არანაკლებ ლამაზად და როგორც იაძემ აღნიშნა, მას ჩემპიონატში მონაწილე 44-ვე ქვეყნის წარმომადგენელი ქომაგობდა. იგი ფინალში უკრაინელ **კირილ ვოლოვიკს** შეხვდა, ვისაც ევროპის წლევანდელ პირველობაზე 15:0 მოუგო. ფინალის დაწყებამდე თურმე იაძე მის უკრაინელ კოლეგას გვეხუმრა, პავლიაშვილი ან წმინდად მოიგებს, ან საერთოდ წააგებსო. უკრაინელს გასცინებია, რადგან ისიც თურმე ზუსტად იგივეს ფიქრობდა საკუთარ შეგირდზე. მოვლენები მთლად ასე არა, მაგრამ ჩვენთვის არასასურველად წარიმართა - პავლიაშვილი 0:6 ჩამორჩა, მაგრამ, საბედნიეროდ, მერე აკრიფა და საბოლოოდ 12:6 მოიგო.

ვოლოვიკი და ფინალი თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ პავლიაშვილმა მანამდეც ჩინებულად იჭიდავა და ფინალამდე 3 ორთაბრძოლა მოიგო წმინდად, პირველ შეხვედრაში კი დამაჯერებლად - 7:1 დაამარცხა ტიტულოვანი ფალავანი, ბელარუსი ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი ძიუდოში **სერგეი კუხარენკო**. აღსანიშნავია, რომ იგი ერთი ხანობა ამ წონაში ბელარუსის ძიუდოისტთა ნაკრების ლიდერიც გახლდათ, მაგრამ პავლიაშვილმა იოლად მოუგო. ასევე დამაჯერებლად გაუსწორდა ბერძენ **პერიკლის ფსალიდუსს** და აზერბაიჯანელ **რუსტამ რუსტემოვს**, ფინალზე კი წინასწარ მოგახსენეთ.

კარგა ხანია, ზვიად ჩინჩალაძე ჩვენი ნაკრების ლიდერად ჩამოყალიბდა და გასაკვირი არაა, მისგან ახლაც მედალს რომ ელოდნენ. მით უფრო, ხალიჩიდან ნავიდა ლამის უძლეველი რუსი, მსოფლიო 11-გზის ჩემპიონი **მურად ხასანოვი**. უკრაინელ **ვლადიმირ ბეგეზასთან** გამარჯვების შემდეგ ჩინჩალაძემ მის შემცვლელ **მიხაილ სტარკოვს** სძლია მეორე წრეში, მაგრამ ფინალში ბელარუსიის ძიუდოისტთა ნაკრების კიდევ ერთ ყოფილ წევრთან, მსოფლიო პრიზიორ **იური რიბაკთან** დამარცხდა. მას შემდეგ, რაც რიბაკმა ძიუდოს გუნდში საბოლოოდ დაკარგა ადგილი და სამბოში გადმოინაცვლა, აქ ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ჩინჩალაძემ პრაღაში კიდევ ერთი შეხვედრა ჩაატარა და ძალზე საინტერესო მეტოქესთან - ნახევარფინალში 43 წლის (!)გერმანელი **ედუარდ გრამსი** დაამარცხა, თუმცა კი შებერებულმა გერმანელმა მედგარი ბრძოლა გაუმართა.

იაძე ძალზე გულდაწყვეტილია წიკლაურის ვერცხლით, რადგან ლამის მოგებული ფინალი ბელარუს ევროპის ჩემპიონ **მოგამედ აბდულგანილოვთან** გამოუცდელობით თუ ელემენტარული შეცდომით წააგო. შეხვედრა მთავრდებოდა და წიკლაურის მოგნებას წინ თითქოს არაფერი ედგა. დარჩენილ წამებში მას დროის გაყვანაზე რომ ეჭიდავა, ოქროს ვერავინ ნაართმევდა, მაგრამ იმ საბედისწერო მომენტში მეტოქე ფეხზე წაეტანა. ამან თავდაცვის ნაცვლად, მეტოქე ზურგსუკან მშვენიერ 4-ქულიანზე გადააგდო, მაგრამ ძიუდოს ან თავისუფალი ჭიდაობისგან განსხვავებით, სამბოში ასეთი ქულა მეტოქეს ეთვლება. ასე მიიღო ბულარუსმა 4-ქულიანი საჩუქარი, რომლის ამოქაჩვაც წიკლაურმა ვერ შეძლო. რატომ აჩუქა ის ქულა, ვერ ვხდებიო, დანანებით განაცხადა იაძემ. წიკლაურმა, რომელმაც ბოლო თვეებში თავი უფრო ძიუდოდან გაგვაცნო და აგვისტოში გერმანულ ბრაუნშვაიგში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტუნირშიც გაიმარჯვა, პირველ წრეში სწორედ ძიუდოისტი დამაარცხა - აზერბაიჯანელი **ზაურ ფაშაევი**, მერე - ყაზახი **გასულან დოსიმოვი** და იტალიელი **ლუკა პალატინი**, ნახევარფინალში კი ფრანგი **ნიკოლას ბერნარდი** დაამარცხა.

წიკლაურის არ იყოს, მამულაშვილმაც მოგებული შეხვედრა დათმო მონგოლ **დაშდავაა განტუმურთან**, ოღონდ ნახევარფინალში და ესეც 4-ქულიანით. არადა, მანამ ბრწყინვალედ დამაარცხა ძალიან ძლიერი სომეხი **აშოტ დანიელიანი**, ყაზახი **მაქსატ მაზობაევი**, დამამშვიდებლის ფინალში კი ესპანელი **ხოსე მარია იდალგო** დაჯაბნა.

მწვრთნელი იმედგაცრუებულია ისეთი ტიტულოვანი ფალავნების წარუმატებლობით, როგორებიც ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **დავით სვიმონიშვილი** (62), ევროპის ორგზის და მსოფლიო ჩემპიონი **მინდია ბოდაველი** (90) ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონ **გელა ბარათაშვილი** (57) და **ნოდარ მჭედლიშვილია** (68). თუმცა იაძეს მჭედლიშვილზე ნაკლებად სწყდება გული, რადგან მისგან მედალს მხოლოდ საუკეთესო შემთხვევაში თუ ელოდა. ამდენად, მისი მეხუთე ადგილი რეალობას შეეფერება. აი, დანარჩენებისგან კი მედალს ელოდა, მაგრამ ყველაზე დიდი გაწბილება მაინც ბოდაველის მარცხია. შეგახსენებეთ, რომ მან შარშან ევროპის პირველობაც მოიგო და მსოფლიოსიც, წლეულს კი მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. ცხადია, მისგან ახლაც ოქროს მედალს ელოდნენ, თუმცა იაძე გუშინ იმაშიც გამოტყდა, მისთვის დიდად მოულოდნელი არც ეს წაგებაა. მისი თქმით, ამდენი წარმატებების შემდეგ ბოდაველს „ვარსკვლავური ავადმყოფობა“ შეეპარა და თუმცა ძველებური შემართებითა და თავდადებით ვარჯიშობდა, ხშირად მწვრთნელებს არ ეპუებოდა და წმინდა სპორტულ ასპექტებში არ უჯერებდა. „ფიზიკა მე არ ვიცი და მათემატიკა. ერთი ეს საქმე ვიცი და როცა გეუბნები, უნდა დამიჯერო“- მიმართა იაძემ შეგირდს, მაგრამ მხოლოდ ვირტუალურად, რადგან ბოდაველი პრესკონფერენციას არ დასწრებია. იაძემ ესეც მისი ხასიათით ახსნა: „ცოტა ჯიუტია, მაგრამ პასუხისმგებლობას გრძნობს და წაგებას განიცდის. აეროპორტში ხალხში გამოჩენაც არ უნდოდა. მან პრაღაშივე აღიარა შეცდომები და ვიმედოვნებ, მომავალში დამიჯერებს“. ბოდაველი თავიდან ისვენებდა, მერე კი ლატვიელ **ვიქტორ რეშკოს** და უკრაინელ **დმიტრი მარკოვს** აჯობა, ნახევარფინალში კი რუს **ალსიმ ჩესნოკულოვთან** დამარცხდა. სამწუხაროდ, ვერც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იყოჩაღა უზბეკ **აკობირ კურბანოვთან**, ვისაც 1997 წელს თბილისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზეც უჭიდავია.

შესაძლოა, კურბანოვმა 2009 წელსაც იჭიდაოს თბილისში ისევ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომლის მასპინძლობისთვის ბრძოლას საქართველო ისევ აგრძელებს. ჩვენებმა საერთაშორისო ფედერაციაში განაცხადიც წარადგინეს და ეს საკითხი პრაღაშივე, მსოფლიო ჩემპიონატამდე გამართულ კონგრესზე განიხილეს კიდეც, მაგრამ იმ პირველობის მასპინძლობა საბერძნეთს ანდეს, საქართველოს კი 2010 წლის ახალგაზრდებისა და ჭაბუკების მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება დაავალეს. მაგრამ იაძეს პრაღაშივე გაუმართავს წინასწარი მოლაპარაკება საბერძნეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტთან, საქართველოდან წასულ მერაბ ილიადისთან ამ ტურნირების გაცვლის თაობაზე. იაძის თქმით, ის წინააღმდეგი არაა, მაგრამ საკითხავია, დათანხმდება თუ არა საერთაშორისო ფედერაცია უკვე დამტკიცებული კალენდარის შეცვლას.

ეს თემა მოგვიანებით თავის მისალმებელ სიტყვაში ფედერაციის პრეზიდენტმა, სახალხო ბანკის მმართველმა **გიორგი გოგუაძემაც** განავრცო, რომელმაც ჯერ სპორტსმენებს წარმატება მიულოცა, მერე კი გამოთქვა იმედი, რომ საქართველო 2009-ში უმასპინძლებს უფროსთა მსოფლიო ჩემპიონატს. ნაკრების ასეთი წარმატებების გამო გოგუაძემ პირობა დადო, რომ გაისად სამბისტებს უფრო მეტად დაეხმარება, ხოლო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავამ** განმარტა, მუშავდება პროექტი, რომლის მიხედვითაც გაისად სახელმწიფო არაოლიმპიურ სახეობებშიც დაანწესებს პრემიებსო.

პრემიები ვახსენეთ და ცოტა გაგვიკვირდა, გოგუაძემ დიპლომებით და პრემიებით მხოლოდ ოქრო-ვერცხლის მფლობელნი რომ დაასაჩუქრა, მამულაშვილს კი არაფერი ერგო. მართალია, მას მოგვიანებით ფედერაცია დააჯილდოებს, მაგრამ ასეთი დაყოფა მაინც უცნაურად გვეჩვენება.

ირაკლი თავაძე

სუმო



ქილვაში გაიპარსეო

ალმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა **კოკაი** კუნძულ კიუშუს ბაშოს მესამე დღეს გამარჯვებული გამოვიდა. ქართველმა ფალავანმა მე-11 მაეგაშირა **ტოსანოუმი** დაამარცხა ჰატაკიკომის ილეთით. კოკაი ძლიერი დაჯახებით შეეცადა 170-კილოანი ვეტერანის გაგდებას დოჰიოდან, თუმცა რომ არაფერი გამოუვიდა, ტქატიკა შეცვალა, მეტოქეს გამოეცალა და ძირს დასცა. წლის უკანასკნელ ტურნირზე კოკაის მიზანი ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება, უძლიერესთა დივიზიონში ადგილის შენარჩუნება და კარიერაში უცუდესი სეზონის დადებით ნოტზე დასრულებაა. დღეს, ტურნირის მეოთხე დღეს, კოკაის მეტოქე მე-16 მაეგაშირა **კასუგანიშიკი** იქნება. ეს ორი რიკიში ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ, სექტემბრის ბაშოზე შეხვდა, მაშინ კოკაიმ იმარჯვა და ახლაც ქართველია შეხვედრის ფავორიტი. სხვათა შორის, კოკაიმ ტურნირი ახალი „ვარცხნილობით“ - ქილვაშით დაიწყო, თუმცა ოზუმოს ხელმძღვანელობამ მას მკაცრი მითითება მისცა და ქართველიც იძულებული გახდა ბაკენბარდები გაეპარსა.

მესამე დღე სენსაციების გარეშე დასრულდა, მონღოლმა იოკოძუნა **ჰაკუჰომ** უმძიმესი რიკიში **მიაბიამა** შესანიშნავი ილეთით დაამარცხა. გაიმარჯვა ოთხივე ოძეკიმ, მათ შორის ჯერაც დაუმარცხებელმა **ჩიოტაიკაიმ**. ჩიოტაიკაი სამ დაბალი რანგის მაეგაშირასთან ერთად (ვეტერანი **ვაკანოსატო**, ყველაზე პოპულარული რიკიში **ტაკამისაკარი** და ესტონელი **ბარუტო**) დაუმარცხებლად ლიდერობს. კოკაის და კიდევ 16 რიკიშის ორ-ორი მოგება აქვს. ოძეკი **კოტომიცუკი** ბაშოს შემდეგ ხაოპერაციო მაგიდაზე დაწვება, მას ექიმებმა თირკმელში კენჭი აღმოუჩინეს.

20 წლის **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**) კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ძურიოს დივიზიონისკენ. რანგით მესამე, მაკუშიტას დივიზიონის პირველმა რიკიშიმ მეორე ნომერი, ჩინელი **ტამავაში** დაამარცხა. ტოჩინოშინმა უვატენაგეს ილეთი გამოიყენა და მეტოქეს ცრხამატჩიანი მოგებათა სერია შეუწყვიტა. ქართველს 2-0 ბალანსი აქვს და მეორე ელიტარულ დივიზიონში გადასასვლელად დარჩენილი ხუთიდან ორი შეხვედრის მოგება ჰყოფნის. სანდანმეს დივიზიონში ისვენებდა **თეიმურაზ ჯუღელი** (**გაგამარუ**, 1-0). დღეს გაგამარუ სანდანმეს მე-12 ნომერ ენაცუკასას (1-0) შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კიუშიუს ბაშო

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

III დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტოსანოუმი 1:0 (ჰატაკიკომი), ჰაკუჰო-მიაბიამა 1:0, კოტომიცუკი-ჰომაშო 1:0, კაიო-კოტოშოგიკუ 1:0, კოტომიცუკი-დეჯიმა 1:0, ჩიოტაიკაი-კისენოსატო 1:0, ტოკიტენკუ-ამინიშიკი 1:0, ასასეკირიუ-ამა 1:0, ტოიონოშიმა-კაკურიუ 1:0, ტაკეკაძე-კიოკუტენჰო 1:0, კასუგაოტოჩინონადა 1:0, გოეიდო-ტამანოშიმა 1:0, ტაკამისაკარი-ტოიოჰიბიკი 1:0, ვაკანოსატო-ფუტენო 1:0, ტამაკასუგა-ჰოკუტორიკი 1:0.

საბურნირო მდგომარეობა. 3-0: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ტაკამისაკარი (მაეგაშირა 8), ვაკანოსატო (მ 8), ბარუტო (მ 16); - 2-1: კოკაი (მ 13)

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-კასუგანიშიკი, ჰაკუჰო-კისენოსატო, კაიო-ჰომაშო, კოტომიცუკი-მიაბიამა, ჩიოტაიკაი-ამა, კოტოოშუ-დეჯიმა, ასასეკირიუ-ტოკიტენკუ, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ, კიოკუტენჰო-კაკურიუ, ტოიონოშიმა-კასუგაო, ტაკეკაძე-გოეიდო, ტამანოშიმა-ტოჩინონადა, ტოიოჰიბიკი-ფუტენო, ტაკამისაკარი-იოშიკაძე, ვაკანოსატო-ჰოკუტორიკი.

ჩემპიონი

LOYALCAPITAL group

ქვიარციტი QUARTZITE

BTA Silk Road Bank

საქართველოს ჩემპიონატი

ყოჩებმა წინ წაიწიეს

13 ნოემბერი, შევარდენი

გასაკვირდნი ფინალი

ყოჩები-უნივერსიტეტი 35:10

ყოჩები: (15-9) გ. კაჭარავა (მახარაშვილი 61), გეგენავა, დ. კაჭარავა, ადანაია (გრძელიშვილი 50), კ. ელოშვილი, მალაღურაძე, ხელაძე (ს. ნიჟარაძე 46); (1-8) ყალიჩავა (ბარათაშვილი 68), გ. ნიჟარაძე სბ 58, ასეიშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, გენებაშვილი სბ 62, ახვლედიანი (თოთაძე 48), კახა კობახიძე (ნიკოლაიშვილი 44) - *5ლ: (ყალიჩავა 2, გ. კაჭარავა, გეგენავა, ელოშვილი), 5ვ: (მალაღურაძე)*

უნივერსიტეტი: (15-9) კავთიძე, ნიკლაური (გოგია 66), ნუცუბიძე, ლუკა კილასონია, ხუციშვილი (ჯაში 56), ბაირამაშვილი, ა. ზამბახიძე; (1-8) კაკოვინი, გ. ზამბახიძე, ალადაშვილი, სურგულაძე, კოტე კობახიძე, ლადო კილასონია, ჯმუხაძე, ტუჩაშვილი - *ლ (ა. ზამბახიძე), გ (ნიკლაური), ს (ბაირამაშვილი)*

მსაჯი: მ. ჩაჩუა

როგორც მოსალოდნელი იყო, უცხოეთიდან მობრუნებული ლეგიონერებით გაძლიერებულმა „ყოჩებმა“ მეტოქე იოლად დაამარცხეს და ახლა საჩემპიონო ფინალში გასასვლელად 19 ნოემბერს "ლიგამუსს" შეხვდებიან. პირველი ფინალისტი კი უკვე ცნობილია - "ლელო". რაც შეეხება "უნივერსიტეტს", ამ გუნდმა წლევანდელი სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულა.

„უნივერსიტეტი“ ამ მეტად მნიშვნელოვან შეხვედრას საკმაოდ შეთხელებული შემადგენლობით შეხვდა. ტრავმების გამო **ბადრი ბოხუას** ძირითადი შემადგენლობის შვიდი მოთამაშე დააკლდა. მოედანზე ცხრა თვრამეტწლამდელი მორაგბე იყო.

თუმცა, უნივერსიტეტელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ანგარიშის გახსნა ყოჩებმა მხოლოდ მე-18 წუთზელა შეძლეს. უკრაინიდან მობრუნებულმა ლაშა მალაღურაძემ ცენტრიდან მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში გადაკიდა, იქ ბურთი ხელიდან **ლუკა კილასონიას** გაუვარდა და იქვე ყოჩების პირველხაზელმა **ბაჩო ყალიჩავამ** აიტაცა. მან ათი მეტრი ირბინა, მონინააღმდეგის ორი მცველის წინააღმდეგობა იოლად დაძლია და ლელოში შეაღწია. მალაღურაძემ კიდიდან გარდასახვა ზუსტად დაარტყა 10:0.

„ყოჩებმა“ იგრძნეს, რომ მეტოქეს ფიზიკურად ჯაბნიდნენ, უფრო სწრაფად და მეტწილად ხელდახელ ათამაშებდნენ. შეტევის მიმართულების ხშირი ცვლა მონინააღმდეგის დაცვას რევდა და რიცხვობრივ უპირატესობას ქმნიდა. 21-ე წუზე უნივერსიტეტელები საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში დაჯარიმდნენ. მალაღურაძემ ბურთი სწრაფად გაათამაშა და გრძელ ფრთაზე გაიტანა. იქ შუამარბის პოზიციაზე უეცრად ბურჯი ყალიჩავა აღმოჩნდა და თავისი მეორე ლელოც მიითვალა. მალაღურაძემ ისევ გარდასახა - 14:0.

ამის შემდეგ „ყოჩებმა“ ოდნავ შეარბილეს ზენოლა. „უნივერსიტეტს რამდენჯერმე კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში, როცა „ყოჩებმა“ თამაშის წესი დაარღვიეს, საჯარიმოდან კარში დარტყმა ამჯობინეს. **ლაშა ბაირამაშვილმა** 20 მეტრიდან გაიტანა 3:14. პირველი ტაიმის 30-ე წუთი იყო.

დარჩენილ ათ წუთში „ყოჩებმა“ ორი ლელოს გატანა მოახერხეს. ამჯერად თავი უკვე უკანახაზელებმა გამოიჩინეს. 33-ე წუთზე ფულბეკმა **გიორგი კაჭარავამ** გარემარბ **ირაკლი გეგენავას** ფეხით გადაკიდებულ ბურთს ლელოში ყველაზე ადრე მიუსწრო, მალაღურაძემ ზუსტად გარდასახა - 21:3. 5 წუთში „უნივერსიტეტმა“ საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში აუტი უხეიროდ მიაწოდა. არბიტრმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა „ყოჩების“ სასარგებლოდ, რომელიც სწრაფად გაათამაშეს და გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს. გეგენავამ ლელო ზედ ალამთან გაიტანა. მალაღურაძემ კიდედან ისევ ზუსტად დაარტყა გარდასახვა - 28:3. გამარჯვებულის ვინაობა ფაქტობრივად პირველ ტაიმშივე გაირკვა.

„ყოჩებმა“ უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაზარდეს. 43-ე წუთზე ხელდახელ გათამაშებული კომბინაცია ამჯერად მარჯვენა გარემარბმა **კახა ელოშვილმა** დაასრულა და მალაღურაძემ მეხუთედაც გარდასახა - 35:3.

51-ე წუთზე უნივერსიტეტელებმა მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში საჯარიმო მოიპოვეს. 9 მერმა **ალეკო ზამბახიძემ** სწრაფად გაათამაშა. ცრუ მოძრაობით აჩვენა, რომ თითქოს ბურთს ხაზზე უშვებდა და ლელოსკენ გაიქცა. არდასახვა **ბექა ნიკლაურმა** დაარტყა ზუსტად -10:35.

თამაშის დარჩენილი დრო უსისტემო, ქაოტურ ბრძოლაში წარიმართა. ორივე გუნდში ხშირად სცოდავდა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

19 ნოემბერს „ყოჩები“ „ლიგამუსს“ დაუპირისპირდება. გამარჯვებული მთავარ ფინალში 25 ნოემბერს „ლელოს“ შეხვდება ჩემპიონის ტიტულისთვის.

ბესიკ ჯანგავაძე

ჭიდრაკი

პირველისთვის შეირჩა...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა ვაჟთა საჭადრაკო ტურნირი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ეტაპი გახლდათ. რამდენიმე კვირით ადრე ასეთივე შერჩევა ქალებმა გაიარეს, რამაც მათ მისცათ საშუალება ვაჟთა ტურნირშიც ეთამაშათ და ამით უფრო წარმომადგენლობითი გაეხადათ შეჯიბრი.

პირველი ლიგის საგზურს 10 პირველი ადგილი იძლეოდა.

სულ 63 მონაწილე შეგროვდა. ყველაზე მოულოდნელი ალბათ მეოთხე ნომრად განთესილი **ნონა დათუაშვილის** საბოლოო შედეგია – მან მეთხუთმეტე ადგილზე დაასრულა ტურნირი 5.5 ქულით. განთესვით ათეულში მყოფებმა საგზურები მოიპოვეს, თუმცა ცხრილში სხვადასხვა საფეხურებზე განლაგდნენ: პირველობა მეცხრე ნომერმა **დიმიტრი კვარაცხელიამ** მოიპოვა 7 ქულით. ამდენივე დააგროვა, მაგრამ კოეფიციენტით მეორეზე გავიდა უმთავრესი ფავორიტი **ირაკლი ჯანიაშვილი**. მესამე ადგილი ერგო **ალეკო მინაშვილს** - მან 6.5 ქულა დააგროვა. გამორჩევას იმსახურებს 11 წლის **ირაკლი ბერაძის** შედეგი - 6.5 ქულა დააგროვა, მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო და კოეფიციენტით მეოთხეზე გავიდა.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 5. **დავით ურუშაძე** - 6.5; 6. **გიორგი ნიკოლიშვილი**-6; 7. **ზურაბ ჯავახაძე**-6; 8. **მეგი ესებუა**-6; 9. **გიორგი ლომიძე**-6; 10. **რევაზ თოფურია** – 6.

დებულების თანახმად, თუკი პირველ ლიგაში მონაწილეთა რაოდენობა კენტი იქნება, მაშინ შესარჩევ ტურნირში მეთერთმეტე ადგილზე გასულ მოჭადრაკეს მიეცემა თამაშის საშუალება. ეს უფლება კი **გიორგი ბარიაშვილს** მიენიჭება, რომელმაც 6 ქულით მეთერთმეტე ადგილი დაიკავა.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

ჩახნაშვილი გავარდა, ჭატიშვილი იწყებს, ოქსანა ამთავრებს

გამოჭვეყნდა ITF-ის ახალგაზრდული (18-წლამდელთა) ახალი რეიტინგლისტი. გოგონათა შორის კვლავ მე-12 ადგილზეა 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელსაც 695 ქულა აქვს. როგორც ჩანს, ოქსანა მომავალი წლიდან აღარ აპირებს ახალგაზრდულ ასპარეზზე თამაშს (არადა ასაკით ამის უფლება კიდევ აქვს), რის დასტურიც დეკემბერში გასამართი „ორანჟ ბოულია“, რომელშიც ოქსანა მონაწილეობას არ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ კალაშნიკოვამ ახალგაზრდულ რეიტინგში მე-11 ჩოგნობას მიაღწია, მან **ანა ტატიშვილის** შედეგი გააუმჯობესა – ანა ყველაზე მაღლა მე-19 ადგილზე იყო. გოგანათა რეიტინგის ათასეული კიდევ ორი ქართველია: **ეკა გორგოძე** (614) და **ანა ჯიქია** (787). ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილი** 237 ქულით 149-ე ადგილზეა (საუკეთესო შედეგი 36-ე), ახლახან ქრის ევერტის კორტებზე ნახევარფინალში გასული **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 342-ე (+24) ადგილზეა. სხვა ქართველები: 450. **ნიკოლოზ ქურდაძე**, 610. **გიორგი ხმიადაშვილი** და 641. **რევაზ ოსაძე**.

17 წლის ანა ტატიშვილი კალიფორნიაში ლა ქუინტას ტურნირში (50 ათასი დოლარი) აპირებდა თამაშს, თუმცა მისი გვარი საკვალიფიკაციო ბადეში ვერ ამოვიკითხეთ. საბედნიეროდ, ანა ტურნირში ითამაშებს, უბრალოდ რამდენიმე ჩოგბურთელის გამოკლების შემდეგ ქართველი ჩოგბურთელი ეგრევე ძირითად აბდეში მოხვდა. პირველ ნრეში ტატიშვილი ამერიკელ **ალექსა გლაჩს** (269) შეხვდება. ტატიშვილი 18 წლის გლაჩს შარშან სან-ფრანცისკოს ტურნირში შეხვდა და სამ სეტში დამარცხდა (არადა პირველი სეტი 6:0 მოუგო). ანა ტატიშვილი რუს **ეკატერინა აფინოგენოვასთან** (242) ერთად წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშია. მათ საკვალიფიკაციო წრეში ამერიკულ დუეტს (**გემბეილი, რაკერტი**) აჯობეს - 4:0, 4:2. პირველ წრეში ტატიშვილი და აფინოგენოვა კვლავ ამერიკულ დუეტს (**ჰეინესი, ვაშინგტონი**) შეხვდება. ანა მსოფლიოს 278-ე ჩოგანია, მან ერთეულთა თანრიგში ერთი ეტაპიც რომ გადალახოს პირად მიღწევას (267-ე პოზიცია) გააუმჯობესებს.

ფრანგულ დიუველში 50 ათასი დოლარის საპრიზო ფონდის საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. სამწუხაროდ, საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** პირველივე წრეში დამარცხდა, მან მესამე ნომრად განთესილ უზბეკ **აკგულ ამანმურადოვას** (93) დიოდი ბრძოლა გაუმართა (ხუთი მატჩ-პოინტი გადაარჩინა), მაგრამ სამ სეტში დამარცხდა - 2:6, 6:3, 2:6. წყვილთა თანრიგში მაკა არ თამაშობდა.

ესპანურ მალიორკაში ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გავიდა **სოფიო ქვაცაბაია**, რომელიც საკვალიფკაციო ტურნირში მე-4 ნომრად განთესეს. ბოლო წრეში სოფიომ ესპანელ **ფარა აბუგეიბ-სელოს** (946) აჯობა - 6:1, 6:3. სოფიო ქვაცაბაიამ ძირითად ბადეშიც მოასწრო გამარჯვება. მისი მეტოქე „უაილდ ქარდით“ მინვეული ესპანელი **მარტა ესპიგადო** იყო, ქართველკმა იოლად იმარჯვა - 6:1, 6: 1. ტურნირის მერვედფინალში ქვაცაბაიას სერიოზული მეტოქე ჰყავს მეორე ნომრად განთესილი **ევა ფერნანდეს-ბრუგესის** (444) სახით. სოფიო შარშან ბაქოში შეხვდა დღევანდელ მეტოქეს და პირწმინდად წაგო - 0:6, 0:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰანლენდერი-2008

იგეგმება საგაისო ღონისძიებები

გია გალდავა, ბეჟან ხუციძე, ვიტალი გრძელიშვილი

იწურება 2007 წლის სპორტული სეზონი, თუმცა ჯერ კიდევ არაერთი საინტერესო და პრესტიჟული ასპარეზობა გველის სპორტის რამდენიმე სახეობაში მინ თუ გარეთ, საშინაო თუ საერთაშორისო. ამავე დროს წლის ბოლო კვარტალი საგაისო გეგმების დალაგების პერიოდიცაა და ამ მხრივ ინტენსიური, ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დაპერტამენტში. მთავარი საკითხია ახალი სპორტული სეზონის სპორტლონისძიუბათა კალენდრის შედგენა, რომელიც სასწავლო-სპორტული შეკრებებსა და ყველა რანგის შეჯიბრებებს მოიცავს.

ყოველდღიურად რიგრიგობით სტუმრობენ დეპარტამენტს ეროვნული ფედერაციები, ზუსტდება ყველა დეტალი. მომავალ კალენდართან დაკავშირებით „ლელოს“ უახლოეს ნომერში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან **გიორგი გალდავასთან** ინტერვიუს შემოგთავაზეთ. სწორედ ის უწევს კოორდინაციას კალენდრის შედგენას.

დეპარტამენტში ჩვენი მისვლისას გ. გალდავასკაბინეტში ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი **ბეჟან ხუციძე** და ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი **ვიტალი გრძელიშვილი** სტუმრობდნენ. მათგან შევიტყვეთ, რომ საქართველოს ოლიმპიურ ნიჩბოსნებს შეიძლება მემკვიდრე გამოუჩნდეს და თუ ლიცენზიას ვერ მივიღებთ, საერთაშორისო ფედერაცია ე.წ. „ველურ ბარათს“ გვპირდება, რაც ისეთ ქვეყნებს ეძლევათ, სადაც სპორტის ესა თუ ის სახეობა ვითარდება, მაგრამ სპორტსმენები ჯერ ვერ ახერხებენ ლიცენზიის მოპოვებას.

თეირილი

ჯოკია გუგავა. 14.11.1925, ლასკადურა, ლენტეხი - 02.09.1999, ლენტეხი. ალპინიზმი. სსრკ სამგზის ჩემპიონი ტრავერსების კლასში (1960, ზულუმარტისა და იმიერალაის ქედები; 1965, აილამა-მისესტაუ) და ტექნიკურ კლასში (1964, უშბის სარკე), სსრკ ორგზის მეორე პრიზიორი, სასიმაღლო (1955, პიკი როსია) და ტრავერსების (1958, ფარის მთა-ჯანღა) კლასში. განახორციელა 26 ასვლა 7 000 მეტრზე მაღალ მწვერვალებზე. საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე. ღირსების ორდენის კავალერი.

მილოცვა

საქართველოს ვეტერანი მოჭიდავეები დაბადებიდან 75 წელს ულოცავენ თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორს **გიორგი სხირტლაძეს.**

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲔᲑᲘ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲜᲔᲜ

ჰოკეის ეროვნული ლიგის დიდების დარბაზი რამდენიმე ახალი წევრით შეივსო. მათ შორის არის NHL-ის ოთხი ლეგენდარული ჰოკეისტი - **მარკ მესიე**, რომელმაც კარიერა „ნიუ იორკ რეინჯერსში" დაასრულა, **რონ ფრენსისი** („ტორონტო") და აგრეთვე ორი მცველი: **ელ მაკინისი** („ტორონტო") და **სკოტ სტივენსი** („ნიუ ჯერსი").

ᲚᲘᲜᲓᲠᲝᲡᲘ ᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ცნობილმა კანადელმა თავდამსხმელმა **ერიკ ლინდროსმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

ლინდროსი დიდი ხანი არ დარჩენილა უმუშევრად. ჰოკეის ეროვნული ლიგის პროფკავშირმა ის ჰოკეისტების უფლებების დამცველად დანიშნა. ლინდროსმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კარიერის დასრულების შემდეგ, NHL-ის სტრუქტურაში რჩება სამუშაოდ.

„ვამაყობ იმით, რომ ლიგის პროფკავშირში ასეთ მაღალ პოსტზე მომიწევს მუშაობა. ის ადამიანები, რომლებმაც ეს ორგანიზაცია შექმნეს, დიდ პატივისცემას იმსახურებენ. ამიერიდან მე შემიძლია დახმარება გავუწიო ჩვეულებრივ მოთამაშეებს. ის, რომ ომბუდსმენის პოსტზე სწორედ ჩემი კანდიდატურა აირჩიეს, უდიდესი პატივია ჩემთვის. რაც კი შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჰოკეისტთა უფლებები ყოველთვის დაცული იყოს", - განაცხადა ლინდროსმა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲐ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲪᲘᲚᲐ

ორი დღის წინ, ევროლიგის მონაწილე პოლონეთის „სოპოტმა" ორ კალათბურთელთან გაწყვიტა კონტრაქტი. გუნდი დატოვეს NBA-ის ყოფილმა კალათბურთელებმა, ამერიკელმა გამთამაშებელმა **ტრევის ბესტმა** და არგენტინელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა **რუბენ ვოლკოვისკიმ**.

„ინდიანას" ყოფილმა მცველმა **ტრევის ბესტმა** ევროლიგაში სამი მატჩის გამართვა მოასწრო და საშუალოდ 9.3 ქულა და 2 შედეგიანი პასი დააგროვა. რაც შეეხება ვოლკოვისკის, ასევე სამ მატჩში მისი მონაგარი 5.7 ქულასა და 1.3 მოხსნას შეადგენდა.

კალათბურთელების გუნდიდან გაშვების მიზეზი არ გახმაურებულა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲛᲐ ᲰᲘᲜᲒᲘᲡᲘ ᲒᲐᲐᲛᲮᲜᲔᲕᲐ

მარტინა ჰინგისის დიდი სპორტიდან სკანდალურად წასვლას გამოეხმაურა მამაკაცებს შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, რომელიც ამჟამად ჩინეთის ქალაქ შანხაიში ნლის შემავჯამებელ ტურნირში იღებს მონაწილეობას. როგორც ცნობილია, წლევანდელი უიმბლდონის დროს ჩატარებული დოპინგ-ტესტის შემდეგ, ჰინგისი კოკაინის მიღებაშია ეჭვმიტანილი.

„იმედი მაქვს, რომ ეს საშინელი ბრალდება უბრალოდ გაუგებრობაა და სხვა არაფერი. წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ მარტინას ნარკოტიკების მიღება შეეძლო. დარწმუნებული ვარ, რომ ის შეძლებს თავის გამართლებას და თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას. მე მის გვერდით ვარ", - განუცხადა სააგენტო „როიტერს" ფედერერმა და ისიც დაამატა, რომ ჰინგისთან მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს.

ᲚᲝᲚᲨᲠᲐᲘᲑᲔᲠᲘᲪ ᲔᲭᲕᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ

ჩოგბურთში ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალის კიდევ ერთი მსხვერპლი შესაძლოა გერმანელი ჩოგბურთელი **ფილიპ კოლშრაიბერი** გახდეს. გერმანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კოლშრაიბერი საბუკმეიკერო კანტორების ინტერესებიდან გამომდინარე ჩაწყობილ თამაშებში იღებდა მონაწილეობას.

ჩოგბურთელი უკვე გამოეხმაურა ამ ბრალდებას და განაცხადა, რომ ყოველთვის მხოლოდ მოგებაზე თამაშობდა. *„შოკირებული ვარ ამ სკანდალური და არასამართლიანი ბრალდებების გამო. ამან ჩემს რეპუტაციას სერიოზული ზარალი მიაყენა. მე პროფესიონალი ვარ და ყოველთვის მოსაგებად გავდიავარ კორტზე. დასამალი არაფერი მაქვს: მზად ვარ გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციისა და ATP-ის ნებისმიერ კითხვას გავცე პასუხი"*, - აცხადებს კოლშრაიბერი.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲖᲛᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲓᲝᲞᲘᲜᲒᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ

პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშები ისტორიაში შევიდა: აქ პირველად შეიქმნა ოლიმპიური ანტისადოპინგო სააგენტო, რომელიც ოლიმპიურ სოფელში იქნება განთავსებული.

როგორც სააგენტო „როიტერი" იტყობინება, ამ ორგანიზაციის შექმნას თვალს ადევნებდნენ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები. გარდა ამისა, ქვეყანაში მიმდინარეობს აკრძალული პრეპარატების მწარმოებელი იატაკქვეშა ლაბორატორიების გამოვლენისა და მათი ლიკვიდაციის ფართომასშტაბიანი კამპანია.

„დოპინგის პრობლემა - ეს არის ყველაზე სერიოზული ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ოლიმპიური მოძრაობის განვითარებას", - განაცხადა ოლიმპიური ანტისადოპინგო სააგენტოს დირექტორმა **დუ ლი იანმა**.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲔᲠᲐᲡᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲡ ᲒᲐᲜᲣᲓᲒᲐ

ესპანური „ვუელტას" ყოფილმა ჩემპიონმა **რობერტო ერასმა** დოპინგის გამოყენებისთვის მისჯილი ორნლიანი დისკვალიფიკაციის ვადა მოიხადა, მაგრამ ესპანელმა ველომრბოლმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ აპირებს პროფესიული კარიერის გაგრძელებას.

„სხვადასხვა გუნდებისგან ბევრი წინადადება მივიღე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც დღეს ველოსპორტში ხდება, გადავწყვიტე, რომ კარიერის გაგრძელება უაზრობა იქნებოდა", - განუცხადა ერასმა გაზეთ „ელ პაისს".

ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡ ᲣᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ

უახლოეს დღეებში, ბრაზილიამ შესაძლოა ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწროს დოპინგის მიღების დამტკიცებული შემთხვევების რაოდენობით. როგორც გაზეთი Globoesporte იუწყება, თუ უახლოეს ხანებში დადასტურდება, რომ XV პანამერიკული თამაშების ჩემპიონი, 50 და 100 მეტრზე მოცურავე **რებეკა გუსმაო** აკრძალულ პრეპარატებს იღებდა, მაშინ ეს ბრაზილიელი სპორტსმენების მხრიდან დოპინგის გამოყენების მეცხრე შემთხვევა იქნება.

დღეისათვის, 2002 წლიდან მოყოლებული, ასეთი „რეკორდი" რვა შემთხვევას უტოლდება და ის აშშ-ის სპორტსმენთა კუთვნილებაა.

ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲔᲑᲘ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ

შანხაიში მიმდინარე მასტერსის თასის გათამაშებაზე რამდენიმე, მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. ტურნირის დაწყებიდან სულ ექვსი შეხვედრაა ჩატარებული, რომელთაგან ოთხი მსოფლიოს პირველმა სამმა ჩოგბურთელმა წაგებულმა დატოვა კორტი. მარცხი იწვნიეს შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. ამასთან, ამ უკანასკნელმა ორივე თამაში წააგო და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსიც დაკარგა.

ყველაზე დდი მოულოდნელობა კი მაინც მსოფლიოს პირველი ჩოგნის მარცხია. ჯერ ერთი, ის ძალიან იშვიათად აგებს. მეორეც, ალბათ თვითონაც არ ახსოვს, ბოლოს ზედიზედ ორი თამაში როდის წააგო. მესამეც, იგივე შეიძლება ითქვას ტურნირის პირველივე მატჩის წაგებაზე. მეოთხეც, ფედერერს მასტერსის თასზე ადრე არასოდეს წაეგო ჯგუფური ეტაპის თამაში. დაბოლოს, ჩილელ **ფერნანდო გონსალესთან** ნათამაშები წინა 10-ვე შეხვედრა შვეიცარიელს ჰქონდა მოგებული.

ფედერერის "მწყენინებელი" სწორედ გონსალესი გახდა, რომელმაც პირველი სეტის წაგების შემდეგაც კი არ დაყარა ფარ-ხმალი. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი ფედერერმა თავისი წაგება მეტოქის შესანიშნავ თამაშს დააბრალა, თუმცა ისიც აღნიშნა, რამდენჯერმე არარეალური ბურთი ჩამიგდოო.

ასე იყო თუ ისე, შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი იოლად მოიგო. თუმცა, მეორე სეტიდან პრობლემები დაეწყო. მან შეცდომებს უხშირა, გონსალესმა კი თავისი საოცარი დარტყმებით საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. აქ კი ფედერერს ნერვებმა უმტყუნა, რის გამოც, გონსალესმა ზედიზედ ექვსი გათამაშების მოგება შეძლო და სეტებში ანგარიშიც გათანაბრდა.

დდი სლემის ტურნირების 12 ტიტულის მფლობელმა ფედერერმა გადამწყვეტ სეტში აგრესიას უმტა, მაგრამ მეტოქის სასწაულ დარტყმებს მაინც ვერაფერი მოუხერხა. ამ სეტში შვეიცარიელმა ხუთი ბრეიკ პოინტი ვერ გამოიყენა, რისი მიზეზიც ისევდაისევ, გონსალესი გახდა. როცა ქლის დაკარგვის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა, გონსალესი უმალ გამოზობილი დარტყმებით პასუხობდა მეტოქეს და ქულასაც ასე ინარჩუნებდა.

"ჩემს ბექჰენდებს ის ყოველთვის უზუსტესი ფორჰენდებით პასუხობდა. თანაც, ბურთს ხან ერთ კუთხეში გზავნიდა, ხანაც მეორეში. ასე კი შეტევაზე გადასვლის შანსს მისპობდა. როცა ის ასე თამაშობს, ქულების დაგროვება ძალიან ძნელია. ამ თამაშში სწორედ ბექჰენდმა წამაგებინა. როცა მას შანსი უჩნდება, უმეტეს შემთხვევაში იყენებს. მას ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია", - განაცხადა ფედერერმა.

გონსალესმა აღიარა, რომ თავის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა. თანაც, აღიარა, რისკის ზღვარზე ვთამაშობდი, ოდნავ ზედმეტი მოძრაობა და შეცდომა გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ამ ზღვარს იშვიათად გადავდიოდიო. თანაც: "გასახდელში მწვრთნელს ვუთხარი, ზედიზედ 11 თამაში არავისთან წამიგია და ეს ტრადიცია რაღა ახლა უნდა დავარღვიო-მეთქი", - ნამატჩევს ხუმრობდა ჩილელი მეჩოგნე, ვინც გასულ სეზონში, ფედერერთან ავსტრალიის ღიას ფინალში დამარცხდა.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე სეტის მე-11 გეიმი, რომელშიც გონსალესმა ზედიზედ სამი ფანტასტიკური დარტყმა განახორციელა, ბრეიკი მოიპოვა და 6:5 დანინაურდა. მომდევნო გეიმში კი საკუთარ სერვისზე ქულის აღება აღარ გასჭირვებია. თამაშის შემდეგ ჩილელმა განაცხადა, ბოლო ორი გეიმი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო, მთავარი კი ისაა, რომ ჩემს მოწოდებაზე ქულების დაკარგვის შიში არ მქონიაო.

წაგების მიუხედავად, გუშინ ფედერერი ოფიციალურად აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნედ. ამ რანგში ის ზედიზედ მეოთხე სეზონს ამთავრებს. ამჯერად, ეს წოდება მან მაშინ გაინაღდა, როცა ორი კვირის წინ, ბაზელში საშინაო ტურნირი მოიგო.

"ეს სეზონი ჩემთვის განსაკუთრებული იყო, რადგან თავიდან წინ ნადალი იყო და მე მდევრის როლში ყოფნა მიწევდა. მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის წოდებას ზედიზედ მეოთხედ ვღებულობ და ყველაფერს ვღონებ, რომ ის მერმისაც შევინარჩუნო", - განაცხადა ფედერერმა.

გუშინ კი ნადალმა თანამემამულა **დავიდ ფერერისგან** იწვნია მარცხი. ამჯერადაც უფრო მაღალი სარეიტინგო ადგილზე მყოფმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი მოიგო, მაგრამ შემდეგ უპირატესობა ხელიდან გაუშვა. ამ მოგებით, ფერერმა ფაქტობრივად გაინაღდა შემდგომ წრეში გასვლა, ნადალს კი ნახევარფინალში გასასვლელად, კონკურენცია ფრანგ **რიშარ გასკესთან** მოუწევს, ვინც ორ სეტში აჯობა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**.

ფერერი გამარჯვებას ზეიმობს

ნადალისა და ფერერის შეხვედრის პირველი სეტი ნამდვილი ლატარეა გამოდგა. მასში მეტოქეებმა სულ ხუთი ბრეიკი აიღეს. უფრო ზუსტი და აგრესიული ნადალი იყო, მაგრამ მსოფლიოს მეორე ჩოგანს სიზუსტემ მეორე სეტის მიწურულს, ყველაზე კრიტიკულ მომენტში უღალატა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნადალს ორივე მუხლი შეხვეული ჰქონდა – ორივეს სახსარში მას ცოტა ხნის წინ ანთებითი პროცესები ჰქონდა, რის გამოც ის კორტზე სრულფასოვნად ვერ ირჯება.

გადამწყვეტ სეტში კი ფერერი შეუდარებელი იყო. ის უკანა ხაზიდან თითქმის შეუცდომლად გზავნიდა ბურთს მეტოქის მხარეს და ხშირად, ნადალს შეცდომების დაშვებას აიძულებდა. შედეგად, რაფაელმა წინააღმდეგობის განევა პრაქტიკულად ვეღარ შეძლო. აღსანიშნავია, რომ ფერერმა ნადალი გასულ სეზონში, აშშ-ის ღიაზეც დაამარცხა.

ATP

ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

შანხაი (ჩინეთი).

ᲭᲐᲠᲘᲯᲕᲔᲨᲐ ᲢᲐᲠᲐᲤᲚᲔᲥᲡᲘ

საპრიზო ფონდი: 4 450 000 დოლარი

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 7)-როჯერ ფედერერი (შვეი, 1) 3:6, 7:6(1), 7:5

ენდი როდიკი (აშშ, 5)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 6:3, 4:6, 6:2

ᲝᲧᲠᲝᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

რიშარ გასკე (საფრ, 8)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3) 6:4, 6:2

დავიდ ფერერი (ესპ, 6)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2) 4:6, 6:4, 6:3

NHL ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ 82:84

21:26, 16:323, 30:16, 15:19

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (32 ქ. 6 მ. 2 ჩ), კიდი (14 ქ. 9 მ. 10 პ), რაიტი (12 ქ), კრსტიჩი (12 ქ. 10 მ).

ნიუ ორლეანი: პოლი (27ქ. 6 მ. 7 პ. 3 ჩ), ჩენდლერი (14 ქ. 12 მ. 3 დ), უესტი (13 ქ. 8 მ. 5 მ), სტოიაკოვიჩი (12 ქ), პეტერსონი (10 ქ).

ᲘᲣᲢᲐ-ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ 93:117

35:18, 30:24, 24:34, 28:17

იუტა: ბუზერი (32 ქ. 10 მ), კირილენკო (15 ქ. 8 მ. 8 პ. 3 დ), ბრიუერი (13 ქ), ოქური (12 ქ), გირჩეკი (12 ქ), ჰარპრინგი (10 ქ).

საკრამენტო: სალმონსი (22 ქ. 4 პ), მარტინი (21 ქ), გარსია (19 მ), უდრიხი (11 ქ. 5 პ).

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ-ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ 122:100

21:18, 37:25, 30:25, 34:32

დენვერი: აივერსონი (37 ქ. 8 პ. 2 ჩ), სმიტი (29 ქ), ენტონი (22 ქ. 9 მ. 6 პ. 2 ჩ).

კლივლენდი: ჯეიმსი (27 ქ. 4 პ. 2 ჩ), ნიუბლი (17 ქ. 8 მ), ბრაუნი (12 ქ).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ

მორიგი სათამაშო კვირის შედეგების მიხედვით, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ საუკეთესო კალათბურთელებად ბოსტონელი **კევინ გარნეტი** და ჰიუსტონელი **იაო მინი** დაასახელა. პირველმა მათგანმა აღმოსავლეთში აჯობა ყველას, მეორემ - დასავლეთში.

გასულ კვირას გარნეტი საშუალოდ მატჩში 22.7 ქულას, 15.3 მოხსნას და 6.3 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. თავისი ახალწვეულის კარგი თამაშის წყალობით, „სელტიქსს" ამ სეზონში 5-დან 5 მოგება აქვს.

გარნეტმა წინა კვირას ჩატარებულ სამივე მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა.

დასავლეთის ლაურეატ იაო მინის სტატისტიკური მაჩვენებლები 27.8 ქულას, 10.5 მოხსნასა და 2.8 დაფარებას უდრიდა. „როკეტსმა" გასულ კვირას 4-დან 3 მატჩი მოიგო.

ლაურეატობაზე სხვა პრეტენდენტები იყვნენ: **ჟიდრუნას ილგაუსკასი, ლებრონ ჯეიმსი** (ორივე - „კლივლენდი"), **რაშიდ უოლასი, რიჩარდ ჰემილტონი** (ორივე - „დეტროიტი"), **ლეანდრო ბარბოზა** („ფინიქსი") და **მანუ ჯინობილი** („სან ანტონიო").

NHL ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲩᲘᲙᲐ�გᲝ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 3:2

2:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 პერო-3 (ლანგი-10), 2:0 კეინი-7 (ლანგი-11, ჯეისონ უილიამსი-9), 2:1 ჰუდლერი-5 (კოპეცკი-3, ზეტერბერგი-14), 3:1 ტოევზი-7 (ჯეისონ უილიამსი-10, კეინი-14), 3:2 ლიდსტრიომი-2 (ჰუდლერი-3).

ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲕᲘᲜᲘᲞᲔᲒᲘ 4:2

1:0, 2:2, 1:0

გოლები: 1:0 რ. სმიტი-6 (ჰენენი-3), 2:0 შჩასტნი-8 (საკიკი-13, რ. სმიტი-7), 2:1 ბელანჟე-5 (პერიში-1, როლსტონი-6), 3:1 შჩასტნი-9 (ვოლსკი-8, ზაური-3), 3:2 ბუშარი-5 (ნუმელინი-3, ბერნსი-6), 4:2 ვოლსკი-7 (გიტი-5, შჩასტნი-13).

ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

- "დეტროიტ რედ უინგზმა" შეწყვიტა 9-მატჩიანი მოგებათა სერია. მე-10 გამარჯვების შემთხვევაში, "დეტროიტი" საკლუბო რეკორდს დაამყარებდა. "რედ უინგზმა" არსებობის ისტორიაში მეშვიდედ მოახერხა ზედიზედ 9 მატჩის მოგება.

- "დეტროიტს" სეზონში 4 ნაგება აქვს და აქედან სამჯერ მას სწორედ "ჩიკაგომ" მოუგო.

- "ბლეკჰოქსმა" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო.

- გრძელდება "დეტროიტის" შვედი ლეგიონერის, **ჰენრიკ ზეტერბერგის** ფანტასტიკური სერია. ამ ფორვარდმა წლევანდელი სეზონის 17-ივე მატჩში მოახერხა მინიმუმ ქულის დაგროვება.

- "ჩიკაგოს" დებიუტანტმა **ჯონათან ტოევზმა** ამ სეზონის 15-დან 13 მატჩში შეძლო მინიმუმ ერთი ქულის მოხვეჭა.

■ ■ ■

- "კოლორადოს" შარშანდელმა დებიუტანტმა **პოლ შჩასტნიმ** კარიერაში მე-100 ქულა დააგროვა. ახალგაზრდა ფორვარდმა ამ ზღვარის მიღწევას 99 მატჩი მოანდომა. შჩასტნი ლიგის ისტორიაში მეექვსე მოთამაშე გახდა, ვინც 100 ქულა 100-ზე ნაკლებ თამაშში დააგროვა. სხვათა შორის, ამ ექვს მოთამაშეში შედის პოლის ლეგენდარული მამა - **პეტერ შჩასტნი** (100 ქულა 73 მატჩში), აგრეთვე მისი არანაკლებ ლეგენდარული ბიძეები - **მარიან** (82 მატჩი) და **ანტონ** (95 მატჩი) შჩასტნები.

- "კოლორადოს" ვეტერანმა **ჯო საკიკმა** ბოლო 12 მატჩში 12 შედეგიანი პასი დააგროვა.

- "ეველანშს" დასავლეთი კონფერენციის გუნდებს შორის, საუკეთესო შედეგი აქვს საშინაო მატჩებში - 9 მოგება და 1 ნაგება.

ტეფანო დომენიკალი

ფერარი

ფერარის ახალი შეფი ჰყავს

სულ რამდენიმე საათი გავიდა მას შემდეგ, რაც "ჰონდას" ტექნიკურ დირექტორად ინგლისელი **როს ბრაუნი** დასახელდა და გასული სეზონის ტრიუმფატორმა, იტალიურმა გუნდმა "ფერარიმ" გამოაცხადა, რომ თავისი გუნდის შეფის პოსტზე, ცნობილ ფრანგ მენეჯერ **ჟან ტოდტს** მომავალ სეზონში **სტეფანო დომენიკალი** შეცვლის.

ყველა მოელოდა, რომ ერთწლიანი შვებულების შემდეგ, ბრაუნი "ფერარის" დაუბრუნდებოდა. მითუმეტეს, ამას ინგლისელი სპეციალისტიც ადასტურებდა. თუმცა მან გადაწყვეტილება შეცვალა და როგორც ჩანს, მოვლენათა მსგავსი განვითარებისთვის მარანელოში მზად იყვნენ.

ტოდტს ადრეც არაერთხელ უთქვამს, რომ მომავალი სეზონიდან აღარ აპირებდა თავის პოსტზე დარჩენას. უფრო მეტიც, გასულ სეზონში ის "სკუდერიას" შეფის მოვალეობის შემსრულებლის რანგში მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი პოსტი დატოვა, "ფერარიდან" წასვლას სულაც არ აპირებს. პირიქით, იტალიური კომპანია თავის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მენეჯერს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე ნიშნავს. ამგვარად, "ფერარის" სპორტული საქმიანობის გარდა, ფრანგი სპეციალისტი იტალიური კომპანიის საწარმოო პროგრამასაც უხელმძღვანელებს.

იტალიურ გუნდში კიდევ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, **მარიო ალმონდო** გუნდის ოპერაციების დირექტორად დაინიშნა, ტექნიკური დირექტორის პოსტს **ალდო კოსტა** დაიკავებს, ძრავების განყოფილების დირექტორის თანამდებობაზე კი კვლავაც ფრანგი **ჟილ სიმონი** იმუშავებს. დომენიკალის დაწინაურება ნიშნავს, რომ "ფერარის" კვლავაც იტალიელი მენეჯერი უხელმძღვანელებს, რაც ბოლო 12 სეზონში პირველად მოხდება.

შეგახსენებთ, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ, "ფერარიმ" კვლავაც შეძლო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. თუმცა, კონსტრუქტორთა პირველობაზე "მარანელოელი კვიცების" გამარჯვება მათი კონკურენტი "მაკლარენის" დისკვალიფიკაციის შედეგია. სამაგიეროდ, გუნდის ფინელმა პილოტმა **კიმი რაიკონენმა** სეზონის ბოლო ეტაპის მოგებით, ჩემპიონის ტიტული ცხვირწინ ააცალა ბრიტანელ **ლუის ჰემილტონსა** და მის ესპანელ თანაგუნდელს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოს**.

თუმცა, ჯერჯერობით რაიკონენის ჩემპიონობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საქმე ისაა, რომ "მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა** ბოლო ეტაპის შედეგები გააპროტესტა. არსებობს ვარაუდი, რომ ფინიშთან ჰემილტონზე წინ მისული პილოტებიდან, სამის ბოლიდი არ შეესაბამებოდა ტექნიკურ რეგლამენტს. თუ ეს ვარაუდი დამტკიცდა, მაშინ სამივე პილოტის შედეგები გაუქმდება, ჰემილტონი წინ წაინევს და ჩემპიონის წოდებაც მას გადაეცემა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ჰონდა

ჰონდას როს ბრაუნი უხელმძღვანელებს

როს ბრაუნი

ფორმულა ერთის იაპონურმა გუნდმა "ჰონდამ" თავის ახალ ტექნიკურ დირექტორად ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი **როს ბრაუნი** დანიშნა, ვისი დახმარებითაც, ლეგენდარულმა **მიხაელ შუმახერმა** "ბენეტონთან" და "ფერარისთან" ერთად, მსოფლიოს ჩემპიონის შვიდი ტიტული მოიპოვა.

ბრაუნი სარბოლო სტრატეგიის შემუშავების მაესტროდაა მიჩნეული. სწორედ მის მიერ შემუშავებული სტრატეგიის წყალობით ახერხებდა "ბენეტონის" ბოლიდით მოასპარეზე შუმახერი გაცილებით ძლიერი "უილიამსებით" მოასპარეზე მეტოქეების დამარცხებას. 1999-2004 წლებში კი მისი ხელმძღვანელობით "ფერარიმ" ზედიზედ ექვსჯერ მოიპოვა კონსტრუქტორთა თასი. ბრაუნმა გასული სეზონი შვებულებაში გაატარა, იქიდან დაბრუნებულს კი "ფერარიში" ელოდნენ, მაგრამ მან იაპონურ გუნდში გადასვლა არჩია.

ახალ პოსტზე მუშაობას ბრაუნი 26 ნოემბერს შეუდგება. იმავდროულად, "ჰონდაში" მუშაობას გააგრძელებს ყოფილი ტექნიკური დირექტორი **ნიკ ფრაი**, ვინც ამიერიდან საჯინიბოს მთავარი აღმასრულებელი იქნება. ბრაუნი "ჰონდაში" ბოლიდების კონსტრუირებას, აწყობას, ტესტირებას, დახვეწას და გუნდის სარბოლო პროგრამას გააკონტროლებს.

"მოუთმენლად ველი ჩემთვის ახალ გუნდში საქმიანობის დაწყებას. "ჰონდას" ფორმულა ერთში გამოსვლების უზარმაზარი გამოცდილება აქვს და მის ხელმძღვანელად მუშაობა ჩემთვის საინტერესო გამოწვევაა. ეს ამბიციური გუნდია, შეუზღუდავი შესაძლებლობებითა და უძლიერესი საინჟინრო შემადგენლობით. ვეცდები, გავამართლო მისი ხელმძღვანელობის მიერ ჩემს მიმართ გამოჩენილი ნდობა", - განაცხადა ბრაუნმა.

შეგახსენებთ, რომ "ჰონდამ" პილოტებად ბრაზილიელი **რუბენს ბარიკელო** და ბრიტანელი **ჯენსონ ბატონი** დაიტოვა. მათგან პირველს "ფერარიში" რბოლები მაშინ აქვს მოგებული, როცა იქ ტექნიკურ დირექტორად ბრაუნი მუშაობდა. ისიც სათქმელია, რომ გასული სეზონი იაპონური გუნდისთვის მეტად წარუმატებელი იყო. მთელი სეზონის განმავლობაში, "ჰონდამ" მხოლოდ შვიდი ქულის აღება შეძლო და ყველა ქულა გუნდს ბატონმა შესძინა.

ბატონმა "ჰონდასა" და მის წინამორბედ "ბარ-ში" (ბრიტიშ ამერიკელ რეისნგში) ხუთი სეზონი გაატარა, ახლა კი ერთგვარი ულტიმატუმი წამოაყენა – თუ მომავალ სეზონშიც ასეთი უვარგისი მანქანა გვეყოლება, კონტრაქტს აღარ გავაგრძელებო.

"ამ სეზონში ისეთი მანქანა გვყავდა, უარესის წარმოდგენაც შეუძლებელია. კარგი იქნება, თუ ასეთი მანქანით მერმის მაინც არ მოგვიწევს ასპარეზობა. გუნდთან დადებულ ჩემს კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის ძალითაც, მომავალი სეზონის ბოლოს მე მისი გაწყვეტის უფლება მექნება. და თუ ისევ მაჩანჩალებს შორის მოგვიწევს ყოფნა, ამ უფლებას აუცილებლად გამოვიყენებ", - ამბობს ბატონი.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შუა სეზონში, ბრაუნი ირწმუნებოდა, შვებულიდან დაბრუნებისას, ჩემთვის ადგილს მხოლოდ "ფერარიში" ვხედავო. თუმცა, ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში, პადოკში დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ ინგლისელი სპეციალისტი "ჰონდაში" გადასვლაზეც ფიქრობდა. მაშინ იაპონურ გუნდთან მოლაპარაკებას "ფერარისა" და "მაკლარენის" გამოცდილი ინჟინრები, შესაბამისად **ნაიჯელ სტეპნი** და **მაიკ კოფლენიც** ანარმოებდნენ. მაგრამ მოგვიანებით ეს ორი ცნობილ სკანდალში გახვეული აღმოჩნდა, რის გამოც, მათ თავიანთ გუნდებშიც დაკარგეს ადგილები და აღარც "ჰონდაში" მიესვლებათ.

მერაბ ლორთქიფანიძე

14 ნოემბერი. ოთხშაბათი

NTV-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:55 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
19:50 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
21:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
00:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

09:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:33 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:36 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-კაროლინა.
13:25 სპორტდოსიე. თხილამურები.
13:52 ფეხბურთი. Barca TV.
14:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. გლაზგო. შოტლანდია.
18:00 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სტოკჰოლმი. შვედეთი.
20:02 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ცსკა-ოლიმპიაკოსი (LIVE).
23:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სტ. ლუისი-დეტროიტი.
01:02 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:33 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი.
03:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:23 ფეხბურთი. Barca TV.
04:30 სპორტდოსიე. თხილამურები.
05:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ნიურნბერგი-ევერტონი.
06:48 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ბრაზილია-მექსიკა. ტრანსლაცია.
14:00 სპიდვეი. ჩეხეთის გრან-პრი.
15:00 სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი.
16:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
17:00 სნუკერი.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-შოტლანდია.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-სერბეთი.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-იტალია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:20 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ვერონა. იტალია.
22:20 ცხენოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ბელგია.
22:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:55 მულტისპორტი.
23:00 გოლფი. ევროპის ტური. ვოლვო მასტერსი.
23:30 გოლფ-კლუბი.
23:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
23:40 მულტისპორტი.
23:45 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ინგოლშტადტი. გერმანია.
01:45 მულტისპორტი.
02:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ფინალი. ბელფასტი.
04:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. II ტური. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-პანიონიოსი (საბერძნეთი).
14:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. II ტური. ოსტენდე (ბელგია)-დინამო (რუსეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. II ტური. სკაილაინერსი (გერმანია)-ანვილი (პოლონეთი).
18:00 სუპერკროსი. პარიზი. საფრანგეთი.
19:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. მექსიკა.
20:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. რუსეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
23:30 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
00:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. რუსეთი.
01:00 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ექსტრემალური სპორტი.
03:30 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

LEAGUE TROPHY

სუონსი-ბეოვილი	1:0
ქარლაილი-სტოკპორტი	0:3
პარტლეიელი-ფორეკამბი	1:1 პენ. 2:4
გრიმსბი-დონკასტერი	2:2 პენ. 5:4
ბორნმეთი-ფილბორო	0:2
ჯილინგჰემი-დაგენჰემი	4:0
ლიდსი-ბარი	1:2

ესპანეთის თასი

ალკორიანო-ბარსელონა	0:3
დენია-სევილია	1:1
ერკულესი-ბილბაო	2:2

გერმანია

II გუნდესლიგა

კოლენი-პადერბორნი	0:0

რეგიონალლიგა (ჩრ)

ლორბეუნდი A-ემდენი	3:2

პოლონეთის ლიგის თასი

ლესი-პოლონია	0:0
ბელხატოვი-ბურნიკი	2:2

ეიმეი

გერმანია

ალმანერი-ალბერგი	4:3
ბანაკიი-კიელი	3:1

სლოვაკეთი

ზვოლენი-ალკლიგა	4:2
ბარანინი-სლოვანი	1:4
ბრატისლავა-ქალნა	4:5
პოპარადი-ნიტრა	6:2
ბრეზნიკი-ალეგარდი	0:3

ფინეთი

ჰიკეო-ლუკო	3:1
ეეკ-ალბატროსი	3:4
ზალეკი-ბპს	1:6
იეზიასკ�ილა-საიკა	4:2

ჩეხეთი

პარდუბიცე-სლავია	1:3

შვეიცარია

ციურიხი-ლოზანი	1:3

შვედეთი

ფრიოლუნდა-იერგორდენი	5:4

კალათბურთი

ULEB-ის თასი

აზოვმაში-ხიმკი	88:93
ლუკოილი-ერბლანდი	109:65
გრიუფფი-ეეკეილი (გ-ე)	84:68
გურა ბელეკომი-ბოსნა	95:82
ცრვენა ზვეზდა-პანელინიოსი	79:69
პანიონიოსი-ზლიონსკი	72:61
ბეშიკთაში-კიოლნი	79:60
ჰიკეი-რიგა	79:67
სკაილაინერსი-ანვილი	65:67
კეთიგალზი-გალათასარაი	60:93
ალბა-შიაელა	85:70
გეუნდენი-ფრიბურგი	85:71
ზადარი-ბურეკი	85:74
ნანი-ეალენსია	81:86
ეიფელ ბაუერსი-ეეკეილი (ი)	101:94
შარლეროა-ასკოფუნი	64:58
ანგეერეენი-ბუდეინოსი	76:79
ვილერბანი-ალეკი	91:95
ბილბორდი-ხეენგული	61:95
ალიგამიო-ნიმბურკი	82:71
ოსტენდე-დინამო (ბ)	89:83
პო ორეფეზი-ბენეფონი	89:84
სტრასბური-ულიმი	78:66
ზალონი-ქალეზნიკი	96:79
ხირონა-ალეფუნერი	87:61
ბრან კანარია-ლიუდეიგბურგი	89:73

ჩოგბურთი

ATP. შანხაი

გასკე-ჯოკოვიჩი 6:4, 6:2

პორტრეტი

უცხოპლანეტელი

მას ყველაფერი შეუძლია

დღეს, ხშირად გაიგონებთ ჩოგბურთის გულშემატკივრების წუწუნს იმის თაობაზე, რომ ქალთა ჩოგბურთს ერთგვარი უძრაობის პერიოდი უდგას. „დიდი სლემის“ ტურნირებს ერთი და იგივე ჩოგბურთელები იგებენ, მინიმუმამდე დავიდა საინტერესო მატჩების რაოდენობა, ხოლო იმ ტურნირებში, რომლებშიც ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** იღებს მონაწილეობას, გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ არის ცნობილი.

არსებობს კიდევ ერთი პრობლემა. თუ თანამედროვე ჩოგბურთელები ნიღბებს გაიკეთებენ, თამაშის მიხედვით უმეტესი მათგანის ცნობა თითქმის შეუძლებელი იქნება. ყველანი ძალიან ერთფეროვანნი და ერთმანეთს მიმსგავსებულნი გახდნენ. პირველ რიგში, გულშემატკივარს სწორედ ეს ერთფეროვნება და ტექნიკური არსენალის სიმწირე თრგუნავს. ბევრი მოთამაშე, უკანა ხაზზე თამაშსა და ძლიერ დარტყმებს ანიჭებს უპირატესობას და ცოტა თუ დარჩა ისეთი ჩოგბურთელი, ვინც თამაშის სტრატეგიის დაგეგმვისას ტაქტიკურ მრავალფეროვნებას ირჩევს. ერთ-ერთი ასეთი იშვიათი გამონაკლისია ჟუსტინ ანენი.

მათ, ვინც ეს ბელგიელი ფენომენი ცოტა ხნის წინ გაიცნეს, შეიძლება არც უკვირდეთ მისი ასეთი თამაში, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. მოდით, გავარკვიოთ როგორ ყალიბდებოდა წლების განმავლობაში ჟუსტინის თამაში, რა სათამაშო პრობლემების გადალახვა უხდებოდა მას.

არ არის აუცილებელი ბევრი ვწეროთ ჟუსტინის მიზანმიმართულობაზე, შრომის სიყვარულსა და სუპერმოტივაციაზე. კითხვაზე - *„საიდან აქვს მას ეს ყველაფერი?“*, საკმარისია წავიკითხოთ ანენის ავტობიოგრაფია. 12 წლის გოგონამ უკვე ბავშვობაში გააცნობიერა, რომ ყველაფერი მხოლოდ მასზე იქნებოდა დამოკიდებული და მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებსა და ძალაზე უნდა გაკეთებინა აქცენტი.

მრავალფეროვნებისადმი მიდრეკილება

პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა წლების განმავლობაში ბელგიელის თამაში. მის მოქმედებაში მრავალფეროვნება თავიდანვე შეინიშნებოდა. მაგრამ იმ პერიოდში, როცა ჟუსტინი პროფესიულ ტურში გამოჩნდა, მოდაში შევიდა ძალისმიერი ჩოგბურთი. ანენს არ გააჩნდა დები **უილიამსებისთვის** დამახასიათებელი ფიზიკური შესაძლებლობები და ამიტომაც, უჭირდა ისეთი ჩოგბურთელების წინააღმდეგ მოქმედება, ვინც თამაშის წარმართვის ძალისმიერ მანერას ანიჭებდა უპირატესობას. ანენს ისიც კარგად ესმოდა, რომ უკანა ხაზიდან ძირითადად მეორე ტემპით თამაში, მას დიდ ტურნირებზე წარმატებებს ვერ მოუტანდა. ამიტომაც, ჟუსტინმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ გაეფართოებინა დარტყმების არსენალი, ემუშავა უსწრაფეს ტემპში თამაშის წარმართვის მანერაზე... ასევე ცხადი იყო ის, რომ თუ სტაბილური არ ექნებოდა პირველი ან მეორე მოწოდება, უილიამსებთან თანაბარი ჭიდილი შეუძლებელი გახდებოდა. და დაიწყო ტიტანური შრომა, რომელსაც ბევრი ვერ გაუძლებდა და ვერც კი გაბედავდა ასეთი სამუშაოს დაწყებას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლაში ჟუსტინი მარტო არ ყოფილა - ბელგიელის უცვლელი მწვრთნელი **კარლოს როდრიგესი** ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი გახდა. საერთოდ, მოქმედი ჩოგბურთელის ტექნიკის შეცვლა ერთ-ერთ ყველაზე დიდ სამწვრთნელო კოშმარად ითვლება. თავად ჩოგბურთელებიც იშვითად მიესალმებიან ამგვარ ნოვაციებს. მიუხედავად ამისა, დუეტმა ანენი-როდრიგესი მსგავსი ნაბიჯის გადადგმა გაბედა.

მთავარი მეორე მოწოდებაა

პირველი და ალბათ, ყველაზე მთავარი ნოვაცია მოწოდების ტექნიკას შეეხო. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ტექნიკური ცვლილება. პროფესიონალებს შორის მოწოდების ხარისხი იზომება არა იმით, თუ რა სიჩქარით მიფრინავს ბურთი პირველი მოწორდების შემდეგ, არამედ უფრო იმით, რამდენად საიმედოა მეორე მოწოდება. მეორე მოწოდებისას უმაღლესი კლასის მაჩვენებელია, როცა ბურთი თითქმის ისეთივე ძალით მიფრინავს, როგორც პირველი მოწოდებისას, თანაც თუ ჩოგბურთელს შეუძლია მეორე მოწოდების დროს ბურთის მიმართულების ვარირება. 2002-03 წლებში ჟუსტინი მეორე მოწოდებას შიშით ასრულებდა - არ იგრძნობოდა ძალა, საკმარისად არ ახვევდა ბურთს, არ ვარგობა დარტყმის მიმართულება. სამაგიეროდ დღეს, ბევრი ვერ შეედრება ანენს მეორე მოწოდების შესრულების ხარისხში.

მაგრამ მსოფლიო ჩოგბურთში ბატონობისთვის მხოლოდ მოწოდება და უკანა ხაზზე საიმედო თამაში არ იყო საკმარისი. დღის წესრიგში დადგა ბადესთან თამაშის სრულყოფა. დღეისათვის, ჟუსტინი პრაქტიკულად ერთადერთი მოთამაშეა ქალთა ტურში, რომელიც არა მხოლოდ ფლობს, არამედ იყენებს კიდეც ჰაერიდან კლასიკურ დარტყმებს. აქ მწვრთნელის ძირითადი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი შეგირდი დაარწმუნა იმაში, რომ ბადესთან გასვლა თამაშის აუცილებელი კომპონენტია. შემდეგ ყველაფერი ნაცნობი სცენარით განვითარდა: მრავალსაათიანი ვარჯიშები, ბადესთან ჯერ მაღალი და შემდეგ დაბალი დარტყმების მოგერიება, მოჭრილი დარტყმები - ყველაფერი ეს თვეების განმავლობაში იხვეწებოდა. ბადესთან თამაშისას, ბელგიელის კოზირია ის, რომ პირველ ბურთზე აგრესიულად თამაშობს: ძალა და სიზუსტე იდეალური გახლავთ. თანამედროვე ჩოგბურთელებისგან განსხვავებით, ანენი შედარებით დაბალია და ამიტომაც უჭირს ბადესთან მთელი მოედნის გადაკეტვა, მაგრამ ამ ნაკლს ის პოზიციის კარგად შერჩევით აკომპენსირებს. მის დადებით მხარედ ითვლება აგრეთვე კომბინაციის მსვლელობის პროგნოზირება და ფეხების შესანიშნავი მუშაობა.

სამაგალითო ვარჯიში

ჟუსტინ ანენის ვარჯიშები მკვეთრად განსხვავდება სხვა ჩოგბურთელების ვარჯიშებისგან. ეს არის ზუსტად დაგეგმილი (ანენი ვარჯიშზე ფურცელზე ჩამოწერილი გეგმით მიდის) და რაც მთავარია, მიზანმიმართული მეცადინეობა. ამ ვარჯიშებში შეიმჩნევა ერთგვარი შორსმჭვრეტელობა და ცხადი ხდება, რომ ამ სამუშაოს შედეგებს ჩოგბურთის მოყვარულები თანდათანობით დაინახავენ. საინტერესოა ვარჯიშზე კარლოს როდრიგესის ქცევაც. ის ზედმეტ სიტყვას არ იტყვის, ყველა შემჩნევა, რჩევა თუ მითითება დროულად კეთდება და მისი ფრაზები ამა თუ იმ სათამაშო კომპონენტის დასახვეწად აუცილებლად საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს.

2006 წლის დასაწყისში, როდრიგესმა გამოაცხადა, რომ ანენის მარჯვნიდან დარტყმა შეიცვლებოდა. პრობლემა ნათელი იყო: ჟუსტინი მარჯვნიდან დარტყმების ფართო არსენალს ფლობდა და ამათგან რთული იყო საჭიროს ვარიანტის არჩევა. ამიტომაც, ისეთი მოთამაშეების წინააღმდეგ, რომლებიც ძლიერი ღრმა დარტყმებით გამოირჩევიან, ანენი პასუხს გაცემას ვერ ასწრებდა. გარდა ამისა, დღევანდელი ჩოგბურთის სწრაფი ტემპიდან გამომდინარე, ბელგიელი დარტყმის წინ ძალიან შორიდან იქნევდა ხელს, რაც დასწრებაზე თამაშისას პრობლემებს ქმნიდა. კარლოსმა ხელის მოქნევის მანძილი შეამცირა და თავისი შეგირდი აიძულა უფრო ფართოდ და აგრესიულად ეთამაშა.

ამ კონკრეტული სამუშაოს შედეგი მაშინვე არ მოუტანია: იყო ბევრი გაუმართლებელი შეცდომა, ხანდახან ჩოგანზე ასხლეტილი ბურთი კორტიდან შორს მიფრინავდა. მიუხედავად ამისა, ჟუსტინი ყოველ მატჩში ცდილობდა დარტყმის ახალი ვარიანტის სრულყოფას. და როცა ბელგიელი ახერხებდა კორტში ბურთის ჩაგდებას, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანდა, რომ ასეთი სიჩქარით თამაში მხოლოდ მას შეუძლია. ამიტომაც, პროგნოზი ცხადზე ცხადი იყო: როგორც კი ასეთი დარტყმებისას ჟუსტინი სტაბილურობას შეიძენდა, მასსა და ტურის სხვა მოთამაშეებს შორის სხვაობა კოლოსალური გახდებოდა. და გახდა კიდეც 2007 წლის სეზონში.

მას ყველაფერი შეუძლია

კიდევ რამდენიმე სიტყვა ჟუსტინის ტაქტიკური არსენალის შესახებ. რატომღაც, დღეს ჩოგბურთელებს შორის მოდურად ითვლება გამოთქმა: *„მე ჩემს თამაშს ვითამაშებ. მეტოქის თამაშის მანერა კი, არც ისე პრინციპულია“*. ამ ფრაზის პირველ ნაწილს უნდა დავეთანხმოთ - მართლაც უნდა შეეცადო შენთვის ჩვეული მანერით წარმართო მატჩი. მაგრამ ამასთან, არ უნდა დაივიწყო მეტოქის შესაძლებლობები და ინდივიდუალური თვისებები. ეჭვგარეშეა, რომ ჟუსტინი და კარლოსი ყოველი მატჩის წინ არჩევენ ტაქტიკას იმის გათვალისწინებით, თუ ვინ იდგება ბელგიელის წინააღმდეგ კორტის მეორე მხარეს. თანაც, თავიანთი არჩევანით, ისინი ხშირად გაკვირვებულს ტოვებენ მოწინააღმდეგეებს, მათ მწვრთნელებსა და სპეციალისტებს. გასულ წელს, მადრიდში, წლის შემაჯამებელ ტურნირზე აშკარად ჩანდა, რომ უკანა ხაზზე თამაშისას, ბელგიელი არც ისე დამაჯერებლად გრძნობდა თავს. მაგრამ მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ნახევარფინალში **მარია შარაპოვას** წინააღმდეგ, ჟუსტინი serve&volley-ის სტილში (მოწოდება და ბადესთან გასვლა) წარმართავდა შეხვედრას. ვერავინ, გარდა ანენისა და როდრიგესისა. მსგავსმა ტაქტიკამ არამარტო მაყურებელი, არამედ თავად შარაპოვაც გააოცა, რომელიც ანენისგან უკანა ხაზზე ხანგრძლივი გათამაშების ტაქტიკას ელოდა. ცოტა ვინმე თუ შეძლებს გამოიცნოს ის ვარიანტი, რომლითაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამა თუ იმ მატჩში იმოქმედებს - ანენის დარტყმების არსენალი იმდენად დიდია, ხოლო კორტზე მიღებული გადაწყვეტილებები იმდენად მოულოდნელი, რომ მისი მეტოქეები მუდმივად ჩიხში ექცევიან ხოლმე.

2007 წლის აშშ-ის ღია პირველობის წინ, ჩოგბურთელთა შანსების შეფასებისას, ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი ამბობდა: *„ჟუსტინი სხვა პლანეტიდანაა. შეგიძლიათ დამისახელოთ დედამიწაზე ჩოგბურთელი, ვინც ასე თამაშობდეს ჩოგბურთს?!“*

კვლავ გავიხსენოთ შარშან მადრიდში, **მარია შარაპოვას** წინააღმდეგ გამართული ნახევარფინალი. მეორე სეტში, ერთ-ერთ ეპიზოდში რუსმა კარგად მოიგერია ანენის უძლიერესი მოწოდება და ბურთი პირდაპირ ბადისკენ წასულ ბელგიელს დაუმიზნა. თითქოს პასუხის შანსი აღარ იყო, მაგრამ ჟუსტინმა რაღაც არაბუნებრივი მოძრაობით მოახერხა ოდნავ გვერდზე გასვლა და ჰაერიდან მოკლე დარტყმით აიღო ქულა. „ევროსპორტის“ ინგლისელმა კომენტატორმა წამოიძახა: *„She Can Do Anything!“* მართლაც, მას ყველაფერი შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგიშვილი

ძარღვული სპორტი
ნიკოლოზ ნეშარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოზრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაფი

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით ფალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით ფაიფურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ძეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაბარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(ლილოები, ახალი კოსმოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა